



აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია, როგორც წინა მოსამზადებელი დოკუმენტი, ევროკომისიის მეთოდოლოგიით განსაზღვრული „2025-2027 წლების ეკონომიკური რეფორმების პროგრამის“ შემუშავების მიზნით და მიზნად ისახავს ამ დოკუმენტის, არსებულ საბიუჯეტო პროცესში სრულ ინტეგრაციას. ევროკომისიის მეთოდოლოგიის მიხედვით მომზადებული შესაბამისი დოკუმენტი ევროკომისიას წარედგინება 2025 წლის 15 იანვარს, ევროკომისიის მიერ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებისთვის დადგენილი ვადების შესაბამისად. შესაბამისად წინამდებარე დოკუმენტი არ წარმოადგენს „2025-2027 წლების ეკონომიკური რეფორმების პროგრამის“ პირდაპირ ქართულ თარგმანს, ევროკომისიაში წარსადგენი დოკუმენტი, მეთოდოლოგიის თანახმად მზადდება ინგლისურ ენაზე და მასზე მუშაობა გაგრძელდება მისი ევროკომისიაში წარდგენამდე, 2025 წლის 15 იანვრამდე.

შინაარსი

1. პოლიტიკის ზოგადი ჩარჩო და მიზნები.....	3
2. ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულება.....	4
3. მაკროეკონომიკური ჩარჩო	25
ა) მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები	27
ბ) საშუალოვადიანი პერიოდის მაკროეკონომიკური სცენარები.....	36
გ) ალტერნატიული სცენარები და რისკები	40
4. ფისკალური ჩარჩო	45
4.1. პოლიტიკის სტრატეგია და საშუალოვადიანი მიზნები	45
4.2. 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება	46
4.3. ERP-ს წარდგენის წლის ბიუჯეტის გეგმა - 2025.....	51
4.4. საშუალოვადიანი ბიუჯეტის მიმოხილვა.....	59
4.5. სტრუქტურული ბალანსი	63
4.6. ვალის დონე და მისი ცვლილება, ხაზს ქვემოთ ოპერაციების და მარაგი-ნაკადების ანალიზი 67	
4.7. სენსიტიურობის ანალიზი და წინა პროგრამის პროგნოზთან შედარება	74
4.8. საჯარო ფინანსების ხარისხი	76
4.9. საბიუჯეტო ჩარჩო და ფისკალური მმართველობა	79
4.10. საჯარო ფინანსების მდგრადობა.....	89
5. სტრუქტურული რეფორმები 2025-2027	95
5.1 საქართველოში სტრუქტურული რეფორმების არსებული ჩარჩო.....	95
5.2 შერჩეული სტრუქტურული რეფორმები	96
5.2.1. კონკურენტუნარიანობა	96
5.2.2. მდგრადობა და მედეგობა.....	100
5.2.3. სოციალური პოლიტიკა და ადამიანური რესურსები.....	105
5.3 რეფორმების შეჯამება	109
გამლიერებული დაკავშირებადობა	111
6. დანართები	114

1. პოლიტიკის ზოგადი ჩარჩო და მიზნები

ეკონომიკური რეფორმების პროგრამა (ERP) საქართველოში მოქმედი, პოლიტიკის დაგეგმვის ეროვნული პროცედურების კონტექსტში

საქართველო, როგორც ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა, ეკონომიკური რეფორმების პროგრამის (Economic Reform Programme) მომზადების პროცესს პირველად 2023 წლის ბოლოს შეუერთდა, მას შემდეგ რაც ქვეყანას კანდიდატის სტატუსი მიენიჭა. ეკონომიკური რეფორმების პროგრამა (ERP) 2024-2026 წლებისთვის მომზადებული იქნა ძალიან შემჭიდროვებულ ვადებში, ვინაიდან დოკუმენტი მზადდება ევროკომისიის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიითა და ვადებით და წარედგინება ევროკომისიას ყოველი წლის 15 იანვრამდე. დოკუმენტი, მეთოდოლოგიის თანახმად წარმოადგენს მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების საშუალოვადიან ჩარჩოს და მეტწილად იმეორებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტით (BDD) გათვალისწინებულ მოთხოვნებს საშუალოვადიანი დაგეგმვის მიზნებისათვის, რომელიც თავის მხრივ გამომდინარეობს ქვეყნის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტიდან „ხედვა 2030“ და წარმოადგენს წლიური საბიუჯეტო კალენდრის განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს პირველი „ეკონომიკური რეფორმების პროგრამა“ 2024-2027 წლებისათვის მომზადდა რეკორდულად მცირე დროში და ეფუძნებოდა ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტს 2024-2027 წლებისათვის და „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის“ შესახებ საქართველოს კანონს და მის პროგრამული ბიუჯეტის დანართს. საქართველოს მთავრობის მიერ დოკუმენტი მოწონებული იქნა 2024 წლის 15 იანვრის #41 დადგენილებით და წარედგინა ევროკომისიას.

რაც შეეხება 2025-2027 წლების ეკონომიკური რეფორმების პროგრამას, მისი მომზადების კოორდინირების და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის წარსადგენი ინფორმაციისთვის ვადებთან დაკავშირებული რეგულაციები დაემატა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ საბიუჯეტო კალენდარს და განისაზღვრა „2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 1 მარტის #62 დადგენილებაში. როგორც მოგეხსენებათ მსგავსი დადგენილების მიღება, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსითაა განსაზღვრული, ყოველი საბიუჯეტო წლის 1 მარტამდე, რათა უზრუნველყოს შემდეგი საბიუჯეტო წლის და საშუალოვადიანი პერიოდის მაკრო-ფისკალური პარამეტრების დაგეგმვის კოორდინირება.

პოლიტიკის ზოგადი ჩარჩო და მიზნები

პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში პროგნოზირებულთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები იყო. როგორც 2021 წელს, ასევე 2022 წელს ეკონომიკური პარამეტრები ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა და ორივე წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ ორნიშნა მაჩვენებელს მიაღწია.

2021 წელს რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ თავდაპირველად პროგნოზირებული 4,3%-ის ნაცვლად 10,6%, ხოლო 2022 წლისთვის პროგნოზირებული 6,0%-ის ნაცვლად 11,0% შეადგინა. ორი წლის

განმავლობაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შედეგად მაღალი საბაზო მაჩვენებლების მიუხედავად დადებითი ტენდენციები შენარჩუნდა 2023 წელსაც, კერძოდ თავდაპირველად პროგნოზირებული 5,0%-ის ნაცვლად რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 7.8% შეადგინა.

ჯამში 2021-2023 წლებში ეკონომიკის რეალური ზრდის ჯამურმა მაჩვენებელმა 32,0% შეადგინა (საშუალო წლიური ზრდა 9.9%), ხოლო ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 2020 წელთან შედარებით 62%-ით გაიზარდა და 80 მილიარდ 882 მილიონ ლარს გადააჭარბა.

დაგეგმილთან შედარებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციებია 2024 წელსაც, კერძოდ 2023 წლის ბოლოს, მიმდინარე წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი განისაზღვრა 5,2%-ის ოდენობით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებლის პროგნოზი 85 მილიარდ 980 მილიონ ლარს შეადგენდა. წლის პირველ ნახევარში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 9,1% შეადგინა, ხოლო 10 თვის წინასწარი მაჩვენებლების მიხედვით რეალური ეკონომიკური ზრდა 10%-ია. აღნიშნულის გათვალისწინებით გადაიხედა წლიური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი და ნაცვლად თავდაპირველი 5,2%-ისა განისაზღვრა 9,0%-ის ოდენობით, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებლის პროგნოზი 90 მილიარდ 895,0 მილიონ ლარს შეადგენს.

მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა შესაძლებელი გახადა უმოკლეს ვადებში განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია და შედეგად შემცირებულიყო მთავრობის ვალის მაჩვენებელი, კერძოდ, 2020 წელს პანდემიის შედეგად მშპ-ს 9,3%-მდე გაზრდილი ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი, 2022 წლის ბოლოსთვის დაუბრუნდა კანონით განსაზღვრულ 3%-იან მაჩვენებელს, ხოლო 2023 წლიდან მისი მაჩვენებელი მშპ-ს 2,5%-ის დონეზეა (ნომინალურ გამოხატულებაში დეფიციტი შემცირდება 2 მილიარდ 300 მილიონ ლარზე მეტით). მთავრობის ვალის მოცულობა 2020 წლის 60 პროცენტთან ნიშნულიდან 2022 წელს ჩამოვიდა უსაფრთხო, მშპ-ს 40%-იან მაჩვენებელზე დაბლა და მას შემდგომ გრძელდება მისი შემცირების კლებადი დინამიკა და 2024 წლის ბოლოსთვის 37%-ის ფარგლებშია პროგნოზირებული და ინარჩუნებს კლებად ტრენდს 34%-35% ნიშნულის ფარგლებში საშუალოვადიან პერიოდში.

2. ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულება

2024 წლის 14 მაისს ევროპის კავშირის საბჭოს მიერ მიღებული იქნა პირველი ერთობლივი დასკვნები ევროკავშირის, დასავლეთ ბალკანეთის პარტნიორებს, თურქეთს, საქართველოს, მოლოდოვის რესპუბლიკასა და უკრაინას შორის ეკონომიკური და ფინანსური დიალოგის შესახებ, რომელშიც მონაწილეობდნენ ახალი კანდიდატი ქვეყნები, მათ შორის საქართველო.

აღნიშნული დასკვნები მომზადდა საქართველოს ეკონომიკური რეფორმების პროგრამის (2024-2026) შეფასების საფუძველზე, რომელიც საქართველომ, როგორც კანდიდატმა ქვეყანამ პირველად წარადგინა 2024 წლის 15 იანვარს ევროკავშირში, შესაბამისი მეთოდოლოგიისა და ვადების დაცვით. დასკვნების ფარგლებში ევროკავშირის მიერ გაიცა რეკომენდაციები 2025-2027 წლების ეკონომიკური რეფორმების პროგრამის მომზადების პროცესში სახელმძღვანელოდ.

რეკომენდაციებით ევროკავშირი საქართველოს მოუწოდებს:

1. უზრუნველყოს 2024 წლის დეფიციტის დაცვა ბიუჯეტით დადგენილი სამიზნე მაჩვენებლის ფარგლებში და უზრუნველყოს საშუალოვადიან პერიოდში მისი შემდგომი შემცირება ფისკალური ბუფერის შექმნის მიზნით. საგადასახადო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდის მიზნით უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სფეროში საგადასახადო ხარჯების (საგადასახადო შეღავათების ეფექტის) ანალიზის გამოქვეყნება და კონკრეტული საბიუჯეტო რეკომენდაციების შემუშავება ანალიზის შედეგად მიღებული მიგნებების პრაქტიკაში დასაწერად და სხვა საგადასახადო დანახარჯების ეკონომიკური და ფისკალური ეფექტების ანალიზზე მუშაობის დასრულება. საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგიის მიღება და გამოქვეყნება და მისი ეტაპობრივი შესრულება.
2. საინვესტიციო პროექტების მართვის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით თანშრომელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება და ელექტრონული სისტემის დანერგვა. ვალის მართვის სტრატეგიის შესაბამისად მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარება, კერძოდ ადგილობრივი ვალუტის ინსტრუმენტების დიაპაზონის გავრცობა, როგორც კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საკასო ოპერაციების მართვის და მონიტორინგის ჩარჩოს შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ფისკალური ზედამხედველობის გაძლიერება საბიუჯეტო ორგანიზაციებად კლასიფიცირებულ სახელმწიფო საწარმოებზე, მათ შორის ყველაზე მსხვილი საწარმოების ანგარიშების ხაზინის ანგარიშთა ერთიან სისტემაში გადმოყვანით.
3. საკმარისად მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება ინფლაციის მოლოდინების სწორი მართვისთვის ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რომელიც გამყარებულია მეორადი ეფექტების მყარი ანალიზით. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მათ შორის თანამდებობაზე არჩევის სათანადო პროცედურების და ცენტრალური ბანკის მტკიცე მმართველობით უზრუნველყოფით. რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის განმტკიცების გაგრძელება საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის გამოცდილებებზე დაყრდნობით, ასევე ადგილობრივი ვალუტის გამოყენების შემდგომი წახალისება და არაჰეჯირებული სესხების ლიმიტირება.
4. სოფლის მეურნეობის სექტორში კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის გაძლიერების მიზნით მიწის მართვის სისტემის არქიტექტურაზე მუშაობის დასრულებისა და მისი დაფარვის არეალის გაზრდისკენ. უზრუნველყოს ირიგაციის სექტორის რეფორმის გაძლიერება, მათ შორის წყლის ტარიფის გადახედვა. არაფორმალური ეკონომიკის ჰოლისტური მიდგომით გაანალიზების მიზნით, მათ შორის საგადასახადო, შრომის, სოციალური და ფინანსური პოლიტიკის მიმართულებით გადადგას ნაბიჯები, რათა მომზადდეს პოლიტიკის გეგმა სათანადო უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნით და სექტორული და რისკების შეფასებით.
5. ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის ხელშეწყობის მიზნით დაამტკიცოს საკანონმდებლო ჩარჩოს, გააუმჯობესოს ენერგო უსაფრთხოების სტრატეგიული

ნავთობის მარაგების კანონმდებლობის მომზადების დასრულებით და მიღებით, გააგრძელოს ენერგო ბაზრის ლიბერალიზაცია და გადამცემი ხაზების სისტემის გამიჯვნა (ანბანდლინგი) და გახსნას ენერგო ბაზარი შიდა დღიური და ერთი დღით ადრე ბაზრების გაშვებით და მოამზადოს დამაბალანსებელი ბაზრისთვის. ქვეყნის კლიმატური ვალდებულებების შესრულების მიზნით მიიღოს ინტეგრირებული ეროვნული ენერგეტიკის და კლიმატის სამოქმედო გეგმა და მოამზადოს კანონპროექტების მონიტორინგის, ანგარიშგების და დადასტურების სისტემების ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების მიზნით. გააგრძელოს მუშაობა ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მხარდასაჭერად რეფორმებზე და ინვესტიციების განხორციელებაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში (პორტები, რკინიგზა, საგზაო ტრანსპორტი), გააძლიეროს შესაძლებლობები შესაბამის სატრანსპორტო სააგენტოებში, მათ შორის დონორების მხარდაჭერით. ეკონომიკის გაციფრულებისა და პროდუქტიულობის გაძლიერების მიზნით მიიღოს ყოვლისმომცველი ციფრული სტრატეგია, რაც გააძლიერებს ციფრული მმართველობის სფეროში ჩართულ უწყებებს და სამინისტროებს შორის თანამშრომლობას და კოორდინაციას

6. შრომის ბაზრის შედეგების გაუმჯობესების და სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესების მიზნით მიღებული იქნეს შრომის და დასაქმების პოლიტიკის სტრატეგია, განსაკუთრებული აქცენტით იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციალურ საჭიროებებზე და ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებზე, როგორც არიან ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და NEETS დისტანცირებულ რეგიონებში. საქართველოში ადამიანური კაპიტალის გაძლიერების და საჭირო კომპეტენციების შეუსაბამობის (მისმეჩის) შესამცირებლად შრომის ბაზარზე ჩატარდება და დასრულდება განათლების სისტემის დიაგნოსტიკა, მათ შორის პროფესიული განათლების და გადამზადების მიმართულებით, ევროპული გადამზადების ფონდის (European training foundation) დახმარებით. რეგიონალური არათანაბარი განვითარების და სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად, მათ შორის გაძლიერებული თანაბარი ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის დაცვის ეფექტიანობა და წვდომა და სოციალური უსაფრთხოების ჩარჩოს გავრცობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

2024 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობა მუშაობა იმ მიმართულებებზე, რომლებიც საქართველოს მიერ ასახული იქნა „ეკონომიკური რეფორმების პროგრამაში“ 2024-2026 წლისათვის და აქტივობებზე, რომლებიც გამომდინარეობდა ევროკომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციებში.

1. უზრუნველყოს 2024 წლის დეფიციტის დაცვა ბიუჯეტით დადგენილი სამიზნე მაჩვენებლის ფარგლებში და უზრუნველყოს საშუალოვადიან პერიოდში მისი შემდგომი შემცირება ფისკალური ბუფერის შექმნის მიზნით. საგადასახადო პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდის მიზნით უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სფეროში საგადასახადო დანახარჯების (საგადასახადო შეღავათების ეფექტის) ანალიზის გამოქვეყნება და კონკრეტული საბიუჯეტო რეკომენდაციების შემუშავება ანალიზის შედეგად მიღებული მიგნებების პრაქტიკაში დასანერგად და სხვა საგადასახადო დანახარჯების ეკონომიკური და ფისკალური ეფექტების ანალიზზე მუშაობის დასრულება.

საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგიის მიღება და გამოქვეყნება და მისი ეტაპობრივი შესრულება.

2024 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები და საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენილი 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტზე თანდართული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზები სრულად თანხვედრაში მოცემულ რეკომენდაციასთან და მიმდინარე წლის ბიუჯეტის დეფიციტი ნარჩუნდება თავდაპირველად დაგეგმილი 2.5% ფარგლებში და საშუალოვადიან პერიოდშიც ინარჩუნებს იმავე ნიშნულს, რაც ფისკალური წესებით დადგენილ 3%-იან ზღვრული მოცულობის შესანარჩუნებლად დეფიციტის უსაფრთხო დონეა. გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლის პირობები საშუალებას იძლევა ზემოაღნიშნული დეფიციტის შენარჩუნების პირობებში გაგრძელდეს საინვესტიციო პროექტების დაფინანსება და კაპიტალური ხარჯები შენარჩუნდეს 7-8% ის ფარგლებში.

გასათვალისწინებელია, რომ ფისკალური სტაბილურობის მხრივ ვალის წილი მშპ-თან მიმართებაში ასევე უსაფრთხო დონეზეა ჩამოსული, მშპ-ის 36%-37%-ის ფარგლებში და რაც სრულად შეესაბამება ვალის უსაფრთხო დონეს 40%-45% ის ფარგლებში, რითაც შესაძლებელია ფისკალური წესებით განსაზღვრული 60%-იანი ზღვრის სტაბილური დაცვა, საშუალო შოკების შემთხვევაშიც.

სოფლის მეურნეობის სფეროში საგადასახადო ხარჯების დოკუმენტი მომზადებულია, გაზიარებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის და წლის ბოლომდე იგეგმება დოკუმენტის გასაჯაროება და შემდგომი მუშაობის გაგრძელება, როგორც სოფლის მეურნეობის სფეროში ასევე სხვა სექტორების საგადასახადო დანახარჯების შესწავლისა და მასზე რეაგირების მიზნით.

ასევე მომზადდა საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგიის დოკუმენტი, რომელიც აჯამებს საჯარო ფინანსები მართვის რეფორმის და ფისკალურ სფეროსთან დაკავშირებული სხვა სტრატეგიებისა, საკანონმდებლო შეზღუდვებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგნოზებს და წარმოადგენს კონსოლიდირებული სტრატეგიის სახით, თუ როგორ პასუხობს ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილი ხარჯვითი ნაწილით გათვალისწინებული პრიორიტეტების ეფექტურ დაფინანსებას. დოკუმენტის გამოქვეყნება იგეგმება წლის ბოლოს.

2. საინვესტიციო პროექტების მართვის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით თანშემრომელთა კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება და ელექტრონული სისტემის დანერგვა. ვალის მართვის სტრატეგიის შესაბამისად მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარება, კერძოდ ადგილობრივი ვალუტის ინსტრუმენტების დიაპაზონის გაზრდა, როგორც კაპიტალის ბაზრის განვითარების მნიშვნელოვანი ნაბიჯი. საკასო ოპერაციების მართვის და მონიტორინგის ჩარჩოს შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ფისკალური ზედამხედველობის გაძლიერება საბიუჯეტო ორგანიზაციებად კლასიფიცირებულ სახელმწიფო საწარმოებზე, მათ შორის ყველაზე მსხვილი საწარმოების ანგარიშების ხაზინის ანგარიშთა ერთიან სისტემაში გადმოყვანით.

2024 წლის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმაზე, მათ შორის ელექტრონული მოდულის შემუშავებასა და საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს და დარგობრივი სამინისტროების თანამშრომლებისათვის სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. კერძოდ: გაიმართა შეხვედრები საქართველოს ფინანსთა სამინისტროში საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის პროცესის კოორდინაციის მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფთან საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ტექნიკური დახმარების მისიის ფარგლებში. გაანალიზებულ იქნა საინვესტიციო პროექტების მართვის პროცესი, განხილულ იქნა არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების გზები, საერთაშორისო გამოცდილება ელექტრონული სისტემებთან დაკავშირებით. შემუშავდა ანგარიში და რეკომენდაციები საინვესტიციო პროექტების მართვის შემდგომი დახვეწის მიზნით.

მსოფლიო ბანკის ტექნიკური დახმარების ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები ფინანსთა სამინისტროში საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების შეფასების მიზნით შექმნილ სამუშაო ჯგუფის წევრებთან, ასევე სამინისტროების წარმომადგენლებთან, სადაც განხილულ იქნა ელექტრონული საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა და კლიმატის ცვლილებების საკითხების გათვალისწინება საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების დაგეგმვის პროცესში.

2024 წლის განმავლობაში საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მიმართულებით საქართველოს გამოცდილება გაზიარებულ იქნა სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს და ტაჯიკეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებისთვის.

საქართველოს გამოცდილება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის მიმართულებით, მათ შორის საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის თემაზე, გაზიარებულ იქნა სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმებზე: PEMPAL, PEMNA, CEF, ECA WB.

2024 წლის მანძილზე აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა საინვესტიციო პროექტების ანალიზზე, რომელთაც ასახვა პოვნეს 2024-2025 წლების ბიუჯეტებსა და საშუალოვადიან პროგნოზებში. ჯამურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არსებული სამუშაო ჯგუფის მიერ განხილული იქნა 20 მდე პროექტი, ჯამურად 1.3 მილიარდი ლარის ღირებულებით.

აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა კაპიტალი ბაზრის განვითარებაზე. სახაზინო ფასიანი ქაღალდების განვითარების მიმართულებით გასათვალისწინებელია, რომ პორტუგელის გაჯანსაღებისა და ბაზრის ლიკვიდობის გასაზრდელად, ეტაპობრივად ვამცირებთ ISIN-ების რაოდენობას პორტუგელში და ვზრდით ბენჩმარკ ობლიგაციების მოცულობას. ასევე, აღნიშნული მიდგომით საშუალოვადიან პერიოდში მიზნად ვისახავთ საერთაშორისო ინდექსებში (JP Morgan GBI-EM, FTSE Frontier Emerging Markets Government Bond Index) მოხვედრას. 30 ნოემბრის მდგომარეობით, პორტუგელის 94.73% წარმოდგენილია ბენჩმარკ ობლიგაციებით; მათ შორის 6 არააქტიური (Off-the-run bonds) და 4 აქტიური (On-the-run) ბენჩმარკია. ყველაზე დიდი ბენჩმარკის მოცულობა შეადგენს 2,523.6 მლრდ ლარს და მისი წილი პორტუგელში 26.73%-ია (ნარჩენი ვადიანობა 3.16 წელი).

2024 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით სახაზინო ფასიანი ქაღალდების პორტუგელის მოცულობა შეადგენს 9,590.8 მლრდ ლარს (მთავრობის ვალის პორტუგელის 29.2% და მშპ-ის 11%) პორტუგელის საშუალო შეწონილი ვადიანობა 3.39 წელია, ხოლო საშუალო შეწონილი სარგებლიანობა 8.855%;

პორტფელის მართვისა და ბენჩმარკების გამსხვილების მიზნით რეგულარულად ვიყენებთ ვალდებულებების მართვის ოპერაციებს (LMO) - გამოსყიდვა/გაცვლის ოპერაციები. LMO-ების ფარგლებში ბაზრიდან ამოგვაქვს ნაკლებად ლიკვიდური ფასიანი ქაღალდები, კერძოდ 1.5 წელზე ნაკლები ვადიანობის მქონე ობლიგაციები და ვუშვებთ ლიკვიდურ ობლიგაციებს;

2024 წლის განმავლობაში ჩატარდა 3 გაცვლის აუქციონი (SWITCH), რომელთა ფარგლებში გაიცვალა 150 მლნ ლირებულების ობლიგაციები, ასევე 9 გამოსყიდვის (BUYBACK) აუქციონი და გამოსყიდულ იქნა 370 მლნ ლარის ღირებულების ობლიგაციები. პორტფელის 68.5% კომერციული ბანკების, 17%-ეროვნული ბანკის, 12% რეზიდენტი, ხოლო 2.5% არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაშია;

იმ სახელმწიფო საწარმოების ხაზინის ანგარიშთა სისტემაზე გადაყვანისა და ბიუჯეტის და ხაზინის მართვის ელექტრონული სისტემების მომსახურებაზე გადმოყვანის კუთხით გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო საწარმო - შპს წლის კომპანია და შპს ნარჩენების მართვის კომპანია სრულად იყენებს აღნიშნულ სერვისებს. ფუნქციონალის დახვეწის და სახელმწიფო საწარმოების სრული სპეციფიკის სისტემის შესაბამის მოდულებში ასახვის მიზნით მუშაობდა მიმდინარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას დაქვემდებარებულ სახელმწიფო საწარმოებთან. 2025 წელს გაგრძელდება მუშაობა საბიუჯეტო ორგანიზაციებად რეგისტრირებული სახელმწიფო საწარმოების მოცვის გაფართოებაზე.

3. საკმარისად მკაცრი მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება ინფლაციის მოლოდინების სწორი მართვისთვის ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად, რომელიც გამყარებულია მეორადი ეფექტების მყარი ანალიზით. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მათ შორის თანამდებობაზე არჩევის სათანადო პროცედურების და ცენტრალური ბანკის მტკიცე მმართველობით უზრუნველყოფით. რისკზე დაფუძნებული ზედამხედველობის განმტკიცების გაგრძელება საუკეთესო საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის გამოცდილებებზე დაყრდნობით, ასევე ადგილობრივი ვალუტის გამოყენების შემდგომი წახალისება და არაჰეჯირებული სესხების ლიმიტირება.

საქართველოში ფასების სტაბილურობა წარმატებით იქნა მიღწეული, რაც გამოხატულია სამიზნე მაჩვენებელზე დაბალ ინფლაციაში. ოქტომბრის მდგომარეობით ინფლაცია შეადგენდა 0.3%. ფასების სტაბილურობის მიღწევა უზრუნველყოფა მეტწილად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებული თანმიმდევრული მონეტარული პოლიტიკის შედეგია, როგორც მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის დროული გამკაცრების, ისე მისი შემდგომი ფრთხილი და ეტაპობრივი ნორმალიზების მიმართულებით. ამ ქმედებებმა უზრუნველყო გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების ეფექტური მართვა. როგორც ადგილობრივი, ისე ხისტი ფასების ინფლაცია - გრძელვადიანი ინფლაციური მოლოდინების ინდიკატორები - 3%-ზე დაბალ ნიშნულზეა. ამჟამად. ეროვნული ბანკი განაგრძობს მონეტარული განაკვეთის მკაცრი რეჟიმიდან გამოსვლას ფრთხილი ბიჯებით. 2023 წლის მაისის შემდეგ, განაკვეთი შემცირდა ჯამურად 3 პროცენტული პუნქტით, 8%-მდე. შემცირების მიუხედავად, მონეტარული პოლიტიკა რჩება კვლავ გამკაცრებულ დონეზე, რადგან პოლიტიკის განაკვეთი აღემატება მის გრძელვადიან ნეიტრალურ მაჩვენებელს, რომელიც მიმდინარე შეფასებით 7%-ს შეადგენს. ეროვნული ბანკის ბოლო პროგნოზების მიხედვით, სხვა თანაბარ

პირობებში, მოსალოდნელია რომ საშუალო ინფლაცია 1.2%-ის ფარგლებში იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივი მაჩვენებლის, 3%-ის გარშემო დასტაბილურდება.

საქართველოს ეროვნული ბანკის ყველა ქმედება მიმართულია დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად. ფასების სტაბილურობის შენარჩუნება და ინფლაციური მოლოდინების მართვა, ასევე ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა ცალსახად ადასტურებს ეროვნული ბანკის პოლიტიკისა და ინსტრუმენტულ დამოუკიდებლობის. რაც შეეხება საკანონმდებლო ცვლილებებს, გრძელდება მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სათანადო ცვლილებების დასაიდენტიფიცირებლად.

ეროვნული ბანკი აქტიურად აგრძელებს ლარიზაციის პოლიტიკის განხორციელებას. 2024 წლის 1 მაისიდან არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის სესხების ზღვარი გაიზარდა 300 ათასი ლარიდან 400 ათას ლარამდე. ეროვნული ბანკის მიერ მიღებული ზომის შედეგად დოლარიზაცია მნიშვნელოვნად შემცირდა. 2025 წლის 1 იანვრიდან არაჰეჯირებული სესხების ზღვარი კვლავ გაიზარდება 400 ათასი ლარიდან 500 ათას ლარამდე. ლარიზაციის ხელშესაწყობად ეროვნულმა ბანკმა ასევე გაზარდა მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები 5 პროცენტული პუნქტით. პარალელურად, ეროვნული ბანკი ლარიზაციის წასახალისებლად და ეროვნული ვალუტის როლის გასამდიდრებლად, აქტიურად იყენებს მაკროპრუდენციული პოლიტიკის ინსტრუმენტებს (დამატებითი კაპიტალის მოთხოვნები არაჰეჯირებული უცხოური ვალუტის პოზიციებზე, უცხოურ ვალუტაში უფრო მაღალი მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები და უფრო მკაცრი სესხის მომსახურების და სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტები უცხოური ვალუტის სესხებისთვის). საზედამხედველო ჩარჩო და პრაქტიკა სრულ თანხვედრაშია ბაზელის სტანდარტებთან და ევროკავშირის დირექტივებთან. ბოლოდროინდელი ცვლილებებით საქართველოს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები სრულ თანხვედრაშია მოყვანილი ევროკავშირის ბანკების სარეზოლუციო ჩარჩოსთან.

4. სოფლის მეურნეობის სექტორში კონკურენტუნარიანობის და ექსპორტის გაძლიერების მიზნით მიწის მართვის სისტემის არქიტექტურაზე მუშაობის დასრულება და მისი დაფარვის არეალის გაზრდა. ირიგაციის სექტორის რეფორმის გაძლიერება, მათ შორის წყლის ტარიფის გადახედვა. არაფორმალური ეკონომიკის ჰოლისტური მიდგომით გაანალიზების მიზნით, მათ შორის საგადასახადო, შრომის, სოციალური და ფინანსური პოლიტიკის მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, რათა მომზადდეს პოლიტიკის გეგმა სათანადო უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნით და სექტორული და რისკების შეფასებით.

მიწის მართვის სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების მიმართულებით, მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს მიერ, მიწის რესურსების მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნის მიზნით განხორციელდა საქართველოს ტერიტორიის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) 1:2000-ანი მასშტაბის სიზუსტის მიწათდაფარულობის და მიწათსარგებლობის ციფრული ფენის შექმნა. აღნიშნული გეომონაცემთა ბაზა ასევე აინტეგრირებს საქართველოს სამთავრობო უწყებების მიერ შექმნილ, მიწასთან დაკავშირებულ სივრცით მონაცემებს. გეოსივრცითი მონაცემების საწყისი ფენის შექმნის სამუშაოები განხორციელდა საერთაშორისოდ აღიარებული „კორინი“-ს (CORINE) კლასიფიკატორის გამოყენებით.

ზემოაღნიშნული ციფრული ფენის შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნება მიწის ბალანსის შესადგენად, დასრულდა 2024 წლის დეკემბერში, მისმა ფართობმა შეადგინა 5,771 ,275 ჰა.

ირიგაციის სექტორში სახელმწიფო ინვესტიციების გააქტიურებასთან ერთად გრძელდებოდა მუშაობა მელიორაციის სისტემების რეფორმაზე.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ 2019 წლის 19 დეკემბერს მიღებული წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის შესახებ კანონის შესაბამისად საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ადგენს სამელიორაციო ინფრასტრუქტურით სარგებლობისათვის ტარიფებს და დაარეგულირებს პირველად წყალმოსარგებლესა და მომხმარებელს შორის ურთიერთობებს. ამ კანონის მოქმედების სფეროში სემეკის მიერ შემუშავებული „საირიგაციო წყლის მიწოდების წესები“ ამოქმედებულია, ხოლო კომისიის მიერ განახლებული ტარიფების დადგენის ბოლო ვადად განსაზღვრულია არაუგვიანეს 2025 წლის 19 დეკემბერი. ირიგაციის სისტემები გახდა მეოთხე სექტორი, რომელიც დარეგულირდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) მიერ. რეფორმის განხორციელების ფარგლებში:

- სემეკთან ერთად შემუშავდა ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „საირიგაციო წყლის მიწოდების წესები“ და „პირველადი წყალმოსარგებლის მიერ გაწეული მომსახურების ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგია“;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული იქნა “წყლის მიწოდების რეჟიმის განსაზღვრის წესი და მორწყვის ნორმები” ;
- რეფორმის ჩარჩოს ფარგლებში არსებული გამოწვევების საპასუხოდ განხორციელდა ინსტიტუციური ცვლილებები. შეიქმნა “წყლის რესურსების მართვის, ენერგეტიკისა და სემეკთან ურთიერთობის” დეპარტამენტი, შპს „საქართველოს მელიორაციის“ სტრუქტურაში;
- საქართველოს მელიორაციის სტრუქტურაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი საირიგაციო არხებისა და მათთან ასოცირებული მიწის ნაკვეთების ინვეტარიზაციის მიზნით. ჯგუფი აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით;
- როგორც პროფილური, ისე არა-პროფილური მომხმარებლებისთვის შემუშავდა ახალი სააპლიკაციო ფორმები;
- შემუშავდა სემეკში წარსადგენი ანგარიშგებების ფორმების საბოლოო ვარიანტები; ანგარიშგებების ფორმების მიხედვით სემეკი უზრუნველყოფს საქართველოს მელიორაციის საოპერაციო ხარჯების იდენტიფიცირებას და შემდგომში მის ტარიფში ასახვას;
- შემუშავდა სატბორე მეურნეობის ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში გამოსაყენებელი წყლის ნორმა, ტბორის შევსების, ფილტრაციის და აორთქლების კოეფიციენტების გათვალისწინებით;
- სწორი მოლოდინების შექმნის და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ახალი რეგულირების ფარგლებში საქართველოს მელიორაციამ დაამტკიცა და გამოაქვეყნა წყლის მიწოდების რეჟიმები თითოეული სისტემისთვის. წყლის მიწოდების რეჟიმების შემუშავება ხდება ინდივიდუალურად, ირიგაციისთვის, ჰიდროელექტროსადგურებისთვის და თევზის მეურნეობებისთვის;

- სემეკის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, 2024 წლის ბოლო კვარტლიდან დაიწყო და 2025 წლის მეორე კვარტლის ბოლოს უნდა დასრულდეს არა-პროფილური მომხმარებლების (გარდა ჰესებისა) გამრიცხველიანება;
- ახალი წესების შესაბამისად, უნდა განისაზღვროს წყლის მიწოდების წერტილები, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევას კომპანიისთვის. ამ მიზნით, შპს საქართველოს მელიორაციაში შეიქმნა შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია არხების ინვენტარიზაცია, მიწოდების წერტილების განსაზღვრა და მიწოდების წერტილზე ჩამოკიდებული ფართობების იდენტიფიცირება;
- ახალი რეგულირების ფარგლებში არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით საჭიროა ბილინგის სისტემის მოდერნიზება. კომპანია ამ მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს. გაძლიერდა პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ჯგუფი და ამავდროულად დაქირავებულ იქნა კონტრაქტორი კომპანია, რომელიც მუშაობს სრულყოფილი ბილინგის სისტემის შექმნაზე;
- სემეკის მოთხოვნის შესაბამისად, ტარიფების დადგენამდე კომპანიამ შეიმუშავა ერთიანი სატარიფო პოლიტიკა ტექნიკური წყლის მომხმარებლებთან მიმართებაში, რომელიც საჯაროდ განთავსდა როგორც კომპანიის, ასევე სემეკის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
- ახალი რეგულირების ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა განაცხადების / ხელშეკრულებების ერთიანი სტანდარტული ფორმები სხვადასხვა ტიპის მომხმარებლებისთვის, რომლის მიხედვითაც კომპანია უკვე ოპერირებს მომხმარებელთან ურთიერთობის პროცესში;
- დამტკიცებული სატარიფო მეთოდოლოგიის ფარგლებში გრძელდება მუშაობა მარეგულირებელთან და მსოფლიო ბანკთან, რათა მოხდეს დროებითი მექანიზმების შემუშავება არსებული საკასო დეფიციტების საპასუხოდ;
- „საირიგაციო წყლის მიწოდების წესები“-ს ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს მელიორაცია უკვე შეუდგა წესებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. გამომდინარე იქიდან, რომ მელიორაციის სფერო წლების მანძილზე იყო სრულიად დერეგულირებული, საქართველოს მელიორაცია ინტენსიურად მუშაობს სემეკთან, მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან და მომხმარებლებთან, რათა წესებით განსაზღვრული ვალდებულებები მაქსიმალურად იქნეს შესაბამისობაში მოყვანილი პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე 2024 წელს არაერთი ცვლილება განხორციელდა წესებში.

არაფორმალური ეკონომიკის შემცირების საკითხის ყოვლისმომცველი მიდგომით, სამთავრობო პოლიტიკის დონეზე მოგვარების მიზნით, რაც თავის მხრივ მოიცავს საგადასახადო, შრომის, სოციალურ და ფინანსურ პოლიტიკას, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი პოლიტიკის გეგმის შემუშავების თაობაზე. შესაბამისად, სექტორული და რისკების შეფასების მომზადების მიზნით, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შესაქმნელად განხორციელდა სათანადო უწყებათა იდენტიფიცირება. იდენტიფიცირებულ უწყებათა წარმომადგენლების ჩართულობით, დამტკიცდა აღნიშნული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა და დებულება (2024 წლის 9 ოქტომბერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება

“არაფორმალური ეკონომიკის შემცირების ყოვლისმომცველი პროგრამის და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“), რომელმაც მუშაობა დაიწყო არაფორმალური ეკონომიკის მასშტაბისა და საპასუხო ნაბიჯებზე ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით როგორც თავად „არაფორმალური ეკონომიკის“ ცნების განმარტებაზე საქართველოს კონტექსტში, ასევე ამ მიმართულებით სხვადასხვა უწყებების მიერ გაწეული და მიმდინარე აქტივობების და არსებული გეგმების იდენტიფიცირების მიმართულებით. ასევე გაიმართა სამუშაო შეხვედრა ILO-თან, მათ მიერ ამ მიმართულებით დაგეგმილი სამუშაოების უკეთესი კოორდინირების მიზნით.

5. ენერგოეფექტურობის და განახლებადი ენერგიის ხელშეწყობის მიზნით საკანონმდებლო ჩარჩოს დამტკიცება, ენერგო უსაფრთხოების გაუმჯობესება სტრატეგიული ნავთობის მარაგების კანონმდებლობის მომზადების დასრულებით და მიღებით, ენერგო ბაზრის ლიბერალიზაციის გაგრძელება და გადამცემი ხაზების სისტემის გამოჯვანა (ანზანდლინგი) და ენერგო ბაზრის გახსნა შიდა დღიური და ერთი დღით ადრე ბაზრების გაშვებით და დამაბალანსებელი ბაზრისთვის მომზადება. ქვეყნის კლიმატური ვალდებულებების შესრულების მიზნით ინტეგრირებული ეროვნული ენერგეტიკის და კლიმატის სამოქმედო გეგმის მიღება და კანონპროექტების მომზადება მონიტორინგის, ანგარიშგების და დადასტურების სისტემების ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან დაახლოების მიზნით. ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის მხარდასაჭერად მუშაობის გაგრძელება რეფორმებზე და ინვესტიციების განხორციელებაზე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში (პორტები, რკინიგზა, საგზაო ტრანსპორტი), შესაძლებლობების გაძლიერება შესაბამის სატრანსპორტო სააგენტოებში, მათ შორის დონორების მხარდაჭერით. ეკონომიკის გაციფრულებისა და პროდუქტიულობის გაძლიერების მიზნით ყოვლისმომცველი ციფრული სტრატეგიის მიღება, რაც გააძლიერებს ციფრული მმართველობის სფეროში ჩართულ უწყებებს და სამინისტროებს შორის თანამშრომლობას და კოორდინაციას.

საქართველოში ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიების სათანადო მხარდაჭერი სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველყოფის მიზნით 2024 წლის 27 ივნისს მიღებული იქნა ცვლილებები საქართველოს კანონებში „ენერგოეფექტურობის შესახებ“ და „შენობებში ენერგოეფექტურობის შესახებ“;

რაც შეეხება მეორად კანონმდებლობას, ამჟამად მიღებულია 14 კანონქვემდებარე აქტი „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და 4 კანონქვემდებარე აქტი „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ამასთან, მიმდინარეობს მუშაობა მეორადი კანონმდებლობის დარჩენილ ნაწილზე, კერძოდ, „ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის მიხედვით დარჩენილია 4 კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც შემუშავდება 2025 წლის ბოლომდე, ხოლო „შენობებში ენერგოეფექტურობის შესახებ“ კანონის მიხედვით დარჩენილია 8 კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც ასევე 2025 წლის ბოლომდე შემუშავდება.

ენერგეტიკული გაერთიანებისა და EU4Energy პროექტის მხარდაჭერით, ევროპარლამენტისა და საბჭოს 2018 წლის 11 დეკემბრის (EU) 2018/2001 ახალი დირექტივის შესაბამისად, მომზადდა

„განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების პროექტი, რომელიც გადამუშავდა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე. უახლოეს პერიოდში კანონის პროექტი წარედგინება საქართველოს მთავრობას.

რაც შეეხება განახლებადი ენერგიის კანონიდან გამომდინარე კანონქვემდებარე აქტებს, შემუშავდა და მიღებულ იქნა 8 აქტი, ხოლო დარჩენილ აქტებზე გრძელდება მუშაობა. კერძოდ, „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების წახალისების შესახებ“ კანონის მიხედვით დარჩენილია 11 კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც შემუშავდება 2025 წლის ბოლომდე.

საქართველო, როგორც ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყანა, ვალდებულია, შეასრულოს ევროკავშირის 2009/119/EC დირექტივის მოთხოვნები, რომელიც წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ნედლი ნავთობისა ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური მარაგების შენარჩუნების ვალდებულებას. აღნიშნულის შესრულება, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების გაუმჯობესებას.

ამ მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, ენერგეტიკული გაერთიანების მხარდაჭერით, მომზადდა „ნავთობისა ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური ოდენობის შენახვის ვალდებულების შესახებ“ კანონის პროექტი შესაბამის დანართებთან ერთად. ამ ეტაპზე მიმდინარეობს კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, რომლის შემდეგ კანონის პროექტი წარედგინება საქართველოს მთავრობას.

ელექტროენერგიის ბაზრის ლიბერალიზების რეფორმის ფარგლებში, 2024 წლის პირველ ივლისს ამოქმედდა ელექტროენერგიის ბაზრის გარდამავალი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს დღით ადრე და დღიური ბაზრების ამოქმედებას ნებაყოფლობით რეჟიმში. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ, ენერგეტიკულ გაერთიანებასთან შეთანხმებით დაიწყო მუშაობა რეგულირების გავლენის შეფასებაზე/კვლევაზე ელექტროენერგიის ბაზრის სამიზნე მოდელის განსახორციელებელი აქტივობებისა და ღონისძიებების ყველაზე ეფექტური ოფციების შერჩევის მიმართულებით.

გადამცემი სისტემის ოპერატორების განცალკევების (ე.წ. ანბანდლინგი) მიზნით, ენერგეტიკული თანამეგობრობის ჩართულობით, აქტიური ძალისხმევის შედეგად მომზადდა სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც მიღებულ იქნა პარლამენტის მიერ. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება ითვალისწინებს ენერგეტიკული სახელმწიფო კომპანიების მართვის გამიჯვნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის.

საქართველოს პარლამენტის მიერ, 2024 წლის 27 ივნისს დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის დოკუმენტი და მისი დანართი ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა. გეგმა მომზადდა ენერგეტიკულ გაერთიანებასთან თანამშრომლობით ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციის საფუძველზე. NECP შეიცავს განახლებადი ენერგიის, ენერგოეფექტურობის და სათბურის გაზების ემისიის 2030 წლის მიზნებს, რომლებიც შეთანხმებულია ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან და ევროკომისიასთან.

სატრანსპორტო პოლიტიკის და რეფორმების მიმართულებით ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის შემდგომი განვითარების მიზნით, საქართველო ახორციელებს ყოვლისმომცველ რეფორმებს თითოეული სატრანსპორტო დარგის მიმართულებით და უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვას სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მათ შორის, პორტების, რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის გაძლიერების მიზნით. ამასთან, საქართველო აღნიშნული რეფორმების ფარგლებში მიზნად ისახავს შესაბამისი სატრანსპორტო სააგენტოების კომპეტენციის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით საქართველო აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის საერთაშორისო დონორებთან და აგრძელებს რეფორმებს მარეგულირებელი ჩარჩოს მიმართულებით, რომელთა შორისაა: რკინიგზის სექტორის რეფორმა; სატრანსპორტო ოპერატორების სერტიფიცირება; საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემის განვითარება და ა.შ. ამ მიზნით განხორციელდა შემდეგი ნაბიჯები:

სარკინიგზო ტრანსპორტი

- 2023 წლის თებერვალში, საქართველოს მთავრობამ დაიწყო რკინიგზის სექტორის რეფორმის პირველი ფაზა, რომელიც მიზნად ისახავს სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს გაუმჯობესებას ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად. 2023 წლის 1 ივლისს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოს სახით შეიქმნა უსაფრთხოების ეროვნული ორგანო. საწყის ეტაპზე, სააგენტოს დაევალა სარკინიგზო ოპერატორების/ინფრასტრუქტურული მენეჯერების უსაფრთხოების სერტიფიცირების, მატარებლის მემანქანების სერტიფიცირების და სახიფათო ტვირთების ტრანსპორტირების საკითხების მოწესრიგება. აღნიშნული ფუნქციების სრულფასოვანი განხორციელებისთვის გარდამავალი პერიოდი 2025 წლის 1 იანვრამდეა განსაზღვრული. საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტო განისაზღვრა საზოგადოებრივი მომსახურების ხელშეკრულების (PSO) დადებისათვის კომპეტენტურ ორგანოდ. PSO საქართველოს სარკინიგზო ტრანსპორტის სააგენტოსა და „საქართველოს რკინიგზას“ შორის გაფორმდა 2024 წლის ივნისში. ასევე, სატრანსპორტო უსაფრთხოების მოკვლევის ბიურო განისაზღვრა რკინიგზის სექტორში ინიცდენტებისა და უბედური შემთხვევების გამოძიების გამოუკიდებელ ორგანოდ (NIB), 2025 წლის 1 იანვრიდან.
- 2024 წლის 22 ნოემბერს მიღებული იქნა მთავრობის დადგენილება #394 „რკინიგზის უსაფრთხოების წესების“ შესახებ. დაიწყო მუშაობა რეფორმის მეორე ფაზაზე, რომელიც ეხება რკინიგზის მგზავრების უფლებებსა და ვალდებულებების და სარკინიგზო უსაფრთხოების ნაწილს (მოვლა შენახვაზე პასუხისმგებელი უწყებების სერტიფიცირება).

საგზაო ტრანსპორტი

- 1071/2009 რეგულაციის საქართველოს კანონმდებლობაში შემდგომი გადატანის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 2023 წლის ნოემბერში მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს იმ სატრანსპორტო ოპერატორების სავალდებულო სერტიფიცირებას, რომლებიც ახორციელებენ ქვეყნის შიგნით მგზავრთა გადაყვანას და ასევე ავტოსადგურების სავალდებულო სერტიფიცირებას.

- გარდა ამისა, საკანონმდებლო პაკეტის თანახმად, 1071/2009 რეგულაციის მოთხოვნები გავრცელდა სატრანსპორტო ოპერატორებზე, რომლებიც ახორციელებენ ნებისმიერი სახის საერთაშორისო ტრანსპორტირებას საქონლისა და მგზავრების გადაყვანის მიზნით 2024 წლის მაისში მთავრობის №4 განკარგულებაში (2014 წლის 3 იანვარი) შესული ცვლილებების შესაბამისად. 2024 წლის მაისში შესაბამისი ცვლილებები ასევე განხორციელდა 2013 წლის 31 დეკემბრის N442 მთავრობის განკარგულებაში, რომელიც ეხება საქალაქთაშორისო ავტოსადგურების რეგულირებას.
- საგზაო ტრანსპორტის მიმართულებით საქართველო აგრძელებს სხვა მნიშვნელოვანი რეფორმებისა და აქტივობების განხორციელებას, მათ შორის, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრების მონიტორინგს და მძიმე სატრანსპორტო საშუალებების გზისპირა შემოწმებებს. აღნიშნული მიზნით, საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის ივნისში საკანონმდებლო ცვლილებები მიიღო საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

საზღვაო ტრანსპორტი

- საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემის განვითარების მიზნით ჩატარდა მიზანშეწონილობის კვლევა. 2023 წელს დაიწყო სისტემის ფაქტობრივი იმპლემენტაცია. 2024 წლის ოქტომბრიდან დაიწერა ეროვნული საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემა საქართველოში, რაც ამარტივებს გემების გაფორმების პროცედურებს. ამასთან, საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის მაისში მიიღო შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები „საქართველოს საზღვაო კოდექსში“. შესაბამისი კანონქვემდებარე აქტი მიღებულ იქნა მთავრობის მიერ 2024 წლის 28 ოქტომბერს, კერძოდ საქართველოს მთავრობის დადგენილება #371 „საქართველოს ნავსადგურებში საზღვაო ერთი ფანჯრის სისტემის ფუნქციონირებისა და მართვის წესის დამტკიცების თაობაზე“.
- ასევე მიმდინარეობს ნავსადგურების გაერთიანების სისტემის შემუშავება. პროექტი 2023 წლის ოქტომბრიდან მიმდინარეობს და ხორციელდება EBRD-ის მხარდაჭერით.

სიახლე ძირითადი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ

ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური

- ამ ეტაპზე გრძელდება ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტისთვის კერძო ინვესტორის შერჩევის პროცესი. კვალიფიკაციის შესახებ განაცხადის შეფასების შედეგად 2023 წლის 20 სექტემბერს კომისიამ გამოავლინა 2 კვალიფიციური კანდიდატი: (1) „Terminal Investment Limited Holding S.A. (T.I.L Holding S.A) (Luxembourg)“ და (2) „Consortium - China Communications Construction Company Limited (China) & China Harbour Investment Pte. Ltd (Singapore); სუბკონტრაქტორები - China Road and Bridge Corporation და - Qingdao Port International Co., Ltd)“, რომლებსაც დაეგზავნათ მოთხოვნა წინადადებათა წარმოდგენის (RFP) თაობაზე. მხოლოდ ჩინურ სინგაპურულმა კონსორციუმმა წარმოადგინა წინადადება. RFP შეფასება ხორციელდება ტექნიკური, სამართლებრივი, კომერციული და ფინანსური კრიტერიუმების საფუძველზე.

- საქართველოს მთავრობა გეგმავს მსხვილი კაპიტალური შენატანის განხორციელებას საზღვაო ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელებისათვის, რომელიც მათ შორის მოიცავს ტალღმტეხელის და ფსკერდაღრმავების სამუშაოებს. კონტრაქტორის შერჩევის მიზნით ტენდერი გამოცხადდა 2024 წლის 18 მარტს და გამოვლინდა გამარჯვებული ბელგიური კომპანია Jan De Nul. ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურისთვის, საზღვაო ინფრასტრუქტურის სამუშაოები დაიწყო 2024 წლის სექტემბერში.
- ანაკლიის ნავსადგურის პირველი ფაზის გამტარუნარიანობა იქნება 600 ათასი კონტეინერი წელიწადში, ხოლო საორიენტაციო ღირებულება - 600 მლნ აშშ დოლარი.

რკინიგზა

- ამჟამად მიმდინარე რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის 99% შესრულებულია. მოდერნიზაციის პროექტი გააძლიერებს ინფრასტრუქტურას ქვეყნის რთულ, მაღალ ხეობაში სარკინიგზო-საგზაო ოპერაციებისთვის, რის შედეგადაც შემცირდება მგზავრობის დრო და ამალდება უსაფრთხოების დონე. წლიური გამტარუნარიანობა გაიზარდება 27-დან 48 მილიონ ტონამდე. პროექტის უდიდესი ნაწილი დასრულდება 2024 წელს, 2025 წლისთვის ასევე დასრულდება მე-9 გვირაბის სახანძრო უსაფრთხოების სისტემის მოწყობის სამუშაოები, რაც უზრუნველყოფს მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანას.

აეროპორტები

- 2023 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თბილისის საჰაერო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი გაძლიერების ტაობაზე, ვაზიანში (თბილისიდან დაახლოებით 23 კილომეტრში) ახალი საერთაშორისო აეროპორტის აშენების გზით, რომელიც მომდევნო 30 წლის განმავლობაში შეძლებს საქართველოს მიმართულებით და საქართველოდან ფრენებზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ორი ფაზის დასრულების შემდეგ ახალი აეროპორტი შეძლებს მოემსახუროს 20 მილიონამდე მგზავრს.
- ინფრასტრუქტურული სამუშაოები თბილისის საერთაშორისო აეროპორტში: თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დასრულდა შემდეგი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის შედეგადაც შეიქმნა დამატებითი სივრცე საიმპერაციო ზონისთვის; სასაზღვრო კონტროლის ზონა გაიზარდა 44%-ით, ხოლო სასაზღვრო კონტროლის ჯიხურების რაოდენობა გაიზარდა 9-დან 12-მდე. მიმდინარე პროექტები მოიცავს გამგზავრების სივრცეში პრიორიტეტული მოსაცდელი დარბაზების (ბიზნეს ლაუნჯების) გაფართოებას და “Fast Track” ზოლის მოწყობას ბიზნეს კლასის მგზავრებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის, რაც შეამცირებს რიგში დგომის დროს.
- 2024 წლის დასაწყისში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში დასრულდა ავტოსადგომების გაფართოების პროექტი, რომლის შედეგადაც პარკინგის საერთო რაოდენობა გაიზარდა 700-მდე. 2023 წლის ბოლოსთვის გაფორმდა ხელშეკრულება თვითმფრინავების პარკირების პლატფორმის რეკონსტრუქციისა და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი საპარკინგე სქემის მშენებლობის შესახებ, რომლის მშენებლობაც მიმდინარე წელს

დასრულდება. გარდა ამისა, 2023 წელს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მცირე სატვირთო ტერმინალის მშენებლობის თაობაზე, რომლის დასრულება მომავალი წლის დასაწყისში იგეგმება. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს არსებული საჰაერო ტვირთების პოტენციალის ოპტიმიზაციას.

ყოველწლიური ციფრული სტრატეგია

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერით, ქვეყანაში დიგიტალიზაციისა და ეკონომიკის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით, მომზადდა „საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების 2025-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“ პროექტი. აღნიშნული სტრატეგიის პროექტი ეფუძნება ევროკავშირის სტრატეგიულ დოკუმენტებს - ციფრული კომპასი (Digital Compass) და ციფრული ათწლეული (Digital Decade).

სტრატეგიის პროექტი, რომლის დამტკიცებაც დაგეგმილია 2024 წლის ბოლომდე, მიზნად ისახავს საქართველოს საზოგადოებისა და ეკონომიკის ციფრულ ტრანსფორმაციას და მოიცავს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს: ციფრული სამთავრობო სერვისები, ციფრული ფინანსური სერვისები, ციფრული ბიზნესი/მეწარმეობა, ციფრული უნარები, ფართოზოლოვანი ციფრული კავშირი, სამართლებრივი/მარეგულირებელი ასპექტები და ა.შ. ასევე, განსაზღვრავს სტრატეგიის კოორდინირების მექანიზმს.

6. შრომის ბაზრის შედეგების გაუმჯობესების და სოციალური ინკლუზიის გაუმჯობესების მიზნით მიღებული იქნეს შრომის და დასაქმების პოლიტიკის სტრატეგია, განსაკუთრებული აქცენტით იძულებით გადაადგილებულ პირთა სპეციალურ საჭიროებებზე და ნაკლებად წარმოდგენილ ჯგუფებზე, როგორც არიან ქალები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და NEETS დისტანციურებულ რეგიონებში. საქართველოში ადამიანური კაპიტალის გაძლიერების და საჭირო კომპეტენციების შეუსაბამობის შესამცირებლად შრომის ბაზარზე ჩატარდეს და დასრულდეს განათლების სისტემის დიაგნოსტიკა, მათ შორის პროფესიული განათლების და გადამზადების მიმართულებით, ევროპული გადამზადების ფონდის (European training foundation) დახმარებით. რეგიონალური არათანაბარი განვითარების და სოციალური უთანასწორობის შესამცირებლად, მათ შორის გაძლიერებული თანაბარი ხელმისაწვდომობა, ჯანმრთელობის დაცვის ეფექტიანობა და წვდომა და სოციალური უსაფრთხოების ბადის გავრცობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

დასაქმების და სოციალური მიმართულება

დასაქმების პოლიტიკის მიმართულებით, საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „დასაქმების ხელშეწყობისა და შრომის პოლიტიკის 2025-2029 წლების ეროვნული სტრატეგია“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმა (2025 – 2027). ამასთან 2024 წლის აგვისტოში ჯანდაცვის სამინისტრომ ხელი მოაწერა „ქვეყნის ღირსეული შრომის პროგრამას 2024-2025 წლებისათვის“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასა და სოციალურ პარტნიორებთან ერთად, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს და გაამყარებს ქვეყნის პოლიტიკას შრომითი უფლებების მიმართულებით.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ფოკუსირებულია სოციალური დაცვის მდგრადი სისტემის შექმნაზე, რომელიც საშუალებას აძლევს მოსახლეობას ისარგებლონ თავიანი სოციალური უფლებებით. საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა მოიცავს მოწყვლადი ჯგუფების სხვადასხვა მხარდამჭერ პროგრამებს, მათ შორის საპენსიო ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ბავშვების, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის, ობლების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მიმართ. ფულადი დახმარებების გაცემა ხორციელდება სოციალური პენსიის სახით (ასაკით პენსიონერებისათვის), სახელმწიფო კომპენსაციების სახით (სპეციალური კატეგორიის პირები), სოციალური პაკეტი (შშმ პირების) მიმართ.

ამასთან, სახელმწიფო ახორციელებს საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების პროგრამას, რათა ხელი შეუწყოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დასაქმებას როგორც საზოგადოებრივ სამუშაოებზე, ისე ღია შრომის ბაზარზე. ამავდროულად დაიგეგმება უმუშევრობის დაზღვევის სისტემაზე მუშაობის დაწყება, რათა სახელმწიფომ გაატაროს შრომის ბაზრის როგორც პასიური, ისე აქტიური პოლიტიკა.

პარალელურად ხორციელდება საჭირო სოციალური სერვისების მიწოდება ასაკოვანი, მოწყვლადი ბავშვების, მათ შორის მშობლების მზრუნველობა მოკლებული ბავშვების, შშმ პირების და ბავშვების, ოჯახური ძალადობის მსხვერპლების დახმარების მიზნით. ყოველწლიურად იზრდება დახმარებების დაფინანსების ოდენობა და გეოგრაფიული მოცვა. დამატებით ხორციელდება პროგრამების ახალი სახეობების დამატება და მოქმედი პროგრამების გადახედვა მეტი ეფექტურობის მისაღწევად. მაგალითად ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა პერსონალური ასისტენტის და შინმოვლის პროგრამების სრულყოფილი დანერგვისთვის. ამავდროულად დაწყებულია მუშაობა შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის ბიოფსიქოსოციალური მოდელის დანერგვაზე.

ჯანმრთელობის დაცვის მიმართულება

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების - 2030 და ევროკავშირთან ასოცირების ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტი არის მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის და ფინანსური ტვირთის სამართლიანი გადანაწილების გზით.

გასული 10 წლის მანძილზე, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საყოველთაო პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს ძირითად სამედიცინო საშუალებებსა და სერვისებზე წვდომას, მოსახლეობის 95%-ისთვის. პროგრამის დაწყების დღიდან 3.3 მილიონი მოქალაქე და 13.1 მილიონი სამედიცინო შემთხვევა დაფინანსდა, ჯამურად 8.8 მილიარდი ლარის ღირებულებით.

სახელმწიფომ ერთ-ერთ პრიორიტეტად დაისახა ონკოლოგიური პაციენტების სამედიცინო სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. 2022 წელს ონკოპაციენტების სერვისებზე წლიური ლიმიტები (ქიმიო თერაპია, ჰორმონო და რადიაციული თერაპია) 12.0 ათასი ლარიდან - 18.0 ათას ლარამდე და 2023 წლის დასაწყისში 25.0 ათას ლარამდე გაიზარდა ამჟამად კი ლიმიტისა და თანადაფინანსების გარეშე ფინანსდება ქიმიო და ჰორმონო პრეპარატები. 2023 წლის

ბოლოს გაფართოვდა სერვისით მოსარგებლე პირთა წრე და უკვე ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპიის, ასევე ონკოქირურგიის სერვისები ფინანსდება ყველა მოქალაქისთვის.

2024 წელს მოიხსნა წლიური ლიმიტები მედიკამენტებზე ქრონიკული დაავადებებისათვის და გაიზარდა ნოზოლოგიები, კერძოდ, დაემატა გლავუკომის სამკურნალო მედიკამენტები. 2024 წელს ქრონიკული მედიკამენტების დაფინანსებით ისარგებლა 383 187 პირმა; სულ 11 თვის განმავლობაში დაიხარჯა 54.2 მლნ ლარი.

ინოვაციურ მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გასაძლიერებლად მომზადდა საკანონმდებლო ცვლილებები და ჩარჩო მართული დაშვების ხელშეკრულების (Managed Access Agreement) მექანიზმებისათვის. 2024 წლის მანძილზე, 21 ონკოლოგიური მედიკამენტი იქნა შეძენილი Roche and Novartis-გან, ასევე მედიკამენტები ახონდროპლაზიისთვის Biomarin-გან, ზემოაღნიშნული მექანიზმის მეშვეობით.

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის პარალელურად, 2024 წელს დაიწყო B ჰეპატიტის დიაგნოსტიკების და მართვის პროგრამა. C ჰეპატიტის პროგრამის ფარგლებში 86 ათასმა ადამიანმა მიიღო მკურნალობა, 99% იანი გამოჯანმრთელების მაჩვენებლით.

სამედიცინო დაწესებულებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 2025 წლიდან საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ჩართვის წინაპირობა იქნება საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გაცემული ხარისხის სერთიფიკატი. სამედიცინო პერსონალის პროფესიონალური სტანდარტის შემდგომი ამაღლების მიზნით, 2024 წლიდან ექთნებისა და მეანების პროფესია, რეგულირებადი საქმიანობა გახდა.

ამბულატორიული მკურნალობის მიმართულებით, გრძელდება ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, როგორიცაა ტელემედიცინა სოფლის ტიპის დასახლებებში.

2024 წლის მანძილზე, სოფლად მცხოვრებმა 3000-ზე მეტმა პირმა ისარგებლა ტელემედიცინის მეშვეობით გაწეული სამედიცინო მომსახურებით. დამატებით 60 ახალ დაწესებულებაში იგეგმება პროგრამის გავრცელება.

2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, რომელიც 2022 წელს დამტკიცდა, გათვალისწინებულია 2030 წლისთვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მიღწევა, ყოველგვარი ფინანსური გართულებების გარეშე.

პროფესიული განათლება

შრომის ბაზრის შიდა და საერთაშორისო მოთხოვნებთან დასაქმების მსურველთა მეტი შესაბამისობის მიზნით აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა პროფესიული განათლების მიმართულებით. 2024 წელს დამტკიცა პროფესიული განათლების სტრატეგია (2024-2030). სტრატეგია ერთგვარი გაგრძელებაა იმ პროგრესის, რომელიც პროფესიული განათლების განვითარების მიმართულებით ბოლო ათწლეულის მანძილზე განხორციელდა. სტრატეგია ითვალისწინებს მუშაობის გაგრძელებას პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის, ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ბაზართან პროფესიული განათლების პროგრამების თავსებადობის, მთელის

ცხოვრების მანძილზე პროფესიული უნარების განვითარების, პროფესიული განათლების სისტემაში კერძო სექტორის თანამონაწილეობის გაძლიერების და სხვა მიმართულებებით. პროფესიული განათლების რეფორმა მიზნად ისახავს პროფესიული განათლების მიღება ხელმისაწვდომი გახდეს ყველა მსურველისათვის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და შესაბამისობაში იყოს შრომის ბაზრის შიდა და საერთაშორისო მოთხოვნებთან.

2024 წელს ამ რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობამ დაიწყო პროფესიული განათლების პროგრამების ინტეგრირება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურზე, გრძელდებოდა მუშაობა კერძო სექტორის მიერ პროფესიული განათლების მიწოდების პროცესში ჩართვის მიმართულებით, შემუშავდა და ძალაში შევიდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა საქმიანობის მარეგულირებელი აქტები, დაიწყო მასწავლებელთა საერთაშორისო ვიზიტების მხარდაჭერა, განახლდა პროფესიული კვალიფიკაციები, დაიწყო ახალი კვალიფიკაციების შესაბამისი პროგრამების დანერგვა და სხვა.

2023 წლიდან დაწყებული ინიციატივა კერძო სექტორის და სამინისტროს თანამშრომლობის შესახებ პროფესიულ განათლებაში რეფორმის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც გულისხმობს პასუხისმგებლობების განაწილებას და თანაბარი პარტნიორობის მიზნით კერძო სექტორის ჩართვას პროფესიული განათლების სერვისის მართვასა და მიწოდებაში. აღნიშნულმა ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული განათლების სისტემაში, უნარების ეკოსისტემაში ბიზნესის ინტეგრირებას. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში 2024 წელს განვითარდა ახალი ლოკაცია ქ. ვალეში, რომელიც სამშენებლო სფეროს პროფესიონალებს მოამზადებს. ინიციატივა განხორციელდა ა(ა)იპ კოლეჯის „კონსტრუქტ2“, კერძო სექტორიდან სამშენებლო კომპანიასა და სამინისტროს შორის პარტნიორობით. უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სექტორის მხრიდან დაინტერესება საკმაოდ მაღალია და აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის ფორმატის განსაზღვრისა და მათი წინადადებების განხილვის მიზნით.

პროფესიული უნარების სააგენტო ასევე პარალელურად ახორციელებს პროფესიული კვალიფიკაციის განვითარებას და საჭიროების შემთხვევაში ახალი კვალიფიკაციების შემუშავებას, შრომის ბაზრის საჭიროებების გათვალისწინებით. პროცესი წარიმართა კვალიფიკაციის განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ეყრდნობა საერთაშორისო გამოცდილებას. დარგის ექსპერტების, მეთოდოლოგიური მხარდაჭერის სპეციალისტების, დარგობრივი ორგანიზაციების, კერძო კომპანიების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების აქტიური ჩართულობით უკვე დამტკიცებულია 33 პროფესიისა და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, ასევე განვითარდა/განახლდა სხვადასხვა სფეროს 68 პროფესიული კვალიფიკაცია. 2025 წლის ბოლოსთვის იგეგმება, რომ ყველა პროფესიული კვალიფიკაცია შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

პროფესიული განათლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია განათლების ინტერნაციონალიზაცია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის #54/ნ ბრძანების შესაბამისად, რომელიც ადგენს „პროფესიული განათლების გაცვლითი პროგრამების განვითარებისა და განხორციელების წესებსა და პირობებს“, ასევე #55/ნ ბრძანება, რომელიც ადგენს

„პროფესიული განათლების ერთობლივი პროგრამების განვითარებისა და განხორციელების წესებსა და პირობებს“. ვითარდება პროფესიული განათლების სფეროში საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების უკეთესი პრაქტიკა. ეს საშუალებას აძლევს სტუდენტებს მონაწილეობა მიიღონ გაცვლით და ერთობლივ პროგრამებში, გაზარდონ თანამშრომლობის მასშტაბები. აღნიშნული ხელს უწყობს Erasmus+ პროგრამების უფრო ეფექტურ გამოყენებას. Erasmus+ პროგრამა 2022 წლიდან ხორციელდება პროფესიული განათლების მიმართულებით და თანდათანობით იზრდება. ამ მიმართულებით, მიმდინარე ეტაპზე ქართული მხარე ჩართულია 8 სხვადასხვა პროექტის განხორციელებაში. მითითებული პროექტები უკავშირდება პროფესიული მომზადების, ციფრული განათლების, ეკო-ინოვაციური ბიზნეს მოდელების, მშენებლობისა და ტექნოლოგიებში გენდერული თანასწორობის საკითხებს. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული პროექტები ხორციელდება იტალიასთან, გერმანიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან და ირლანდიასთან პარტნიორობით.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმატებით მიმდინარეობს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ჩარჩოს (EQAVET) ინდიკატორების ინტეგრირება. შემუშავდა (EQAVET) ინდიკატორების საშუალებით პროფესიული განათლების ეროვნული სისტემის პროგრესის შეფასების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც განხორციელდა სისტემის საპილოტე შეფასება (EQAVET) 7 ინდიკატორის მიხედვით, ასევე (EQAVET) ინდიკატორების ინტეგრირება მოხდა ავტორიზაციის სტანდარტებში, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის მესამე კომპონენტში პროგრამის შეფასების ფორმის სახით.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ეტაპობრივად ვითარდება ახალი კოლეჯები, მიმდინარეობს მუშაობა ხაშურისა და წყალტუბოს კოლეჯების ავტორიზაციაზე. სამცხე-ჯავახეთში - ახალქალაქში სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე სრული რეაბილიტაცია განხორციელდა, პროფესიული განათლების პროგრამებისათვის სრულყოფილი ბაზის მომზადების მიზნით. დასრულების ეტაპზეა ბორჯომსა და ბოლნისში პროფესიული კოლეჯების მშენებლობა და მიმდინარეობს გურჯაანში გასტრონომიის აკადემიის მშენებლობა. ასევე, განვითარდა კოლეჯის „სპექტრი“ საჩხერეს ფილიალი, ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ფილიალები სამტრედიასა და თეთრიწყაროში.

ასევე, აქტიურ ფაზაშია ბათუმში კოლეჯის „ბლექსი“ ახალი შენობის მშენებლობის პროცესი, რომლის ფარგლებში აშენდება 560 სტუდენტზე გათვლილი სამსართულიანი შენობა, ამასთან, პროექტი 50 სტუდენტზე გათვლილ საერთო საცხოვრებლის მშენებლობასაც ითვალისწინებს. კოლეჯის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოების დასრულება 2025 წელს იგეგმება.

პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზების გამოყენება, პროფესიული განათლების მისაწოდებლად. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, 2024 წელს პირველად დაიწყო საკვანძო მნიშვნელობის პროექტი. კერძოდ, საპილოტე რეჟიმში, საქართველოს მასშტაბით 20 საჯარო სკოლაში დაინერგა ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელშიც 300-ზე მეტი პირი ჩაერთო. ინიციატივა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სკოლაშივე, სრულ ზოგად განათლებასთან ერთად დაეუფლონ პროფესიას.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ასევე აღსანიშნავია საჯარო სკოლების გაძლიერება პროფესიული მომზადების პროგრამების დანერგვის მიმართულებით. მიმდინარე წელს, შესაბამისი უფლების მოპოვების შედეგად, აზიის განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, უკვე შვიდმა საჯარო სკოლამ დაიწყო აღნიშნული პროგრამების განხორციელება სხვადასხვა რეგიონებში (ონი, სამტრედია, მარტვილი, ჭიათურა, ასპინძა, ზესტაფონი, ახალციხე). 2025 წელს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დანერგვა კიდევ 4 საჯარო სკოლაშია დაგეგმილი (თერჯოლა, ნინოწმინდა, აბაშა, საჩხერე). 2026 წლისთვის, აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერით, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამები ჯამში დანერგილი იქნება 20 საჯარო სკოლაში. საგულისხმოა, რომ საჯარო სკოლები შერჩეულია მთელი საქართველოს მასშტაბით, უმეტესად ისეთ მუნიციპალიტეტებში, სადაც პროფესიული განათლება ნაკლებად არის ხელმისაწვდომი.

პროფესიული განათლების მისაღებად სათანადო გარემოს შექმნის მიზნით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს დონორ ორგანიზაციებთან. KfW-სთან თანამშრომლობით მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული განათლების „ექსელენს ცენტრების“ შექმნაზე. 2023 წელს შემუშავდა მშენებლობის საპროექტო და ოპერაციების ბიზნეს მოდელი. მშენებლობის დაწყებისათვის სატენდერო პროცესები 2024 წლის ბოლოსთვის დასრულდა და 2025-2026 წლებში დასრულდება მშენებლობა და სტუდენტებს 2027 წლისთვის მიიღება. ასევე გერმანიის მთავრობის გრანტის დახმარებით ხდებოდა პროფესიული განათლების ხელშეწყობა.

ბოლო წლების მანძილზე მუდმივად ხდებოდა პროფესიული განათლებისთვის ხელმისაწვდომი ადგილების ზრდა.

	2020	2021	2022	2023	2024
ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობა	9 056	13 871	17 183	17 700	22 250
რეგისტრირებულთა რაოდენობა	14 324	18 784	24 449	27 891	29 060

მნიშვნელოვნია აღინიშნოს, რომ დუალური განათლებისთვის 2023 წელს 554 ადგილი იყო გამოყოფილი და დამატებით 62 შპმ პირისათვის. პროგრამებზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდებოდა და 463 სტუდენტი ჩაირიცხა. ხოლო 2024 წელს ჩაირიცხა 400-მდე პირი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზრდასრული მოსახლეობის პოტენციალის გააქტიურება და მათი კომპეტენციების განახლება. ამიტომ ყოველწლიურად იზრდება პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების მიწოდების მასშტაბიც. ამ ეტაპზე სისტემაში ხორციელდება 600-მდე პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამა, რომლებსაც ახორციელებენ როგორც კერძო და საჯარო, ასევე საგანმანათლებლო და არასაგანმანათლებლო ტიპის დაწესებულებები. აღსანიშნავია, რომ 80 პროგრამა სწორედ 2024 წელს ჩაეშვა სისტემაში. 2024 წელს მომზადებისა და გადამზადების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩაერთო 7000-ზე მეტი პირი.

პროფესიული განათლების წარმატებისათვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ბოლო წლების მანძილზე დაფინანსება რეგულარულად იზრდებოდა (2012 წლის შემდეგ 13.9-ჯერ, 9.6 მლნ ლარიდან 133.5 მლნ ლარამდე, გაიზარდა პროფესიული განათლების დაფინანსება (2024 წელს პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 175,0 მლნ ლარზე მეტი, მათ შორის 62 მლნ ლარე მეტი გათვალისწინებულია პროფესიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის). ზრდა ბუნებრივია აისახება პედაგოგთა და ინსტიტუციების ანაზღაურების ზრდაში. ბოლო წლების მანძილზე პროფესიული განათლების პედაგოგების ანაზღაურება გასამმაგდა, მათ შორის 2023 წელს 20% იანი, ხოლო 2024 წელს 10% იანი ზრდით.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის გაუმჯობესების მიზნით, 2024 წელს დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, ასევე მასწავლებლის მომზადების, საკმიანობის დაწყების, შეფასების, უწყვეტი პროფესიული განვითარების, კარიერული წინსვლის მოდელი. ასევე, დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების გაცემის წესი და პირობები. მომდევნო წლებში დაგეგმილია ახალი მარეგულირებელი ჩარჩოს ეტაპობრივი დანერგვა.

ამასთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათ მიერ საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, შემუშავდა ახალი მექანიზმები, რომელიც გულისხმობს პროფესიული განათლების მასწავლებელთა სასწავლო ვიზიტების ორგანიზებას ევროპის წამყვან პროფესიულ სასწავლებლებში. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებების ინსტიტუციური გაძლიერების ფარგლებში, ხორციელდება სხვადასხვა სახის ტრენინგები პროფესიული განათლების მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა თანამშრომლობის ინტერნაციონალიზაციის ხელშესაწყობად დაიგეგმა და განხორციელდა ხუთი სასწავლო ვიზიტი იტალიის, გერმანიის, ლატვიისა და თურქეთის მიმართულებით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო კონკურსის გზით შერჩეულმა 50-ზე მეტმა მასწავლებელმა ოთხი პრიორიტეტული მიმართულებიდან: სოფლის მეურნეობა, სტუმარ-მასპინძლობა, მშენებლობა, ინჟინერია.

პროფესიული განათლების რეფორმის ნაწილია დაფინანსების სისტემის რეფორმირება. გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის დახმარებით მომზადდა დაფინანსების ახალი მოდელი. ახალი მოდელი გულისხმობს შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების კომპონენტების დამატებას და მიღწეული შედეგების შეფასებას, წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების მეშვეობით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო რეგულარულად ახორციელებს რეფორმის ეფექტურობის პროგრესის შეფასებას, პროფესიული განათლების პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევებით. პროფესიული უნარების განვითარების სააგენტოს ასევე ავითარებს შესაბამისი კვლევების მეთოლოგიას. 2022 წლის კვლევის მიხედვით 2020 წლის კურსდამთავრებულების 60%, ხოლო 2021 წლის კურსდამთავრებულების 74% დასაქმდა, მათ შორის 20% თვითდასაქმებულია. 2023 წელს განხორციელებული კვლევის შესაბამისად, გამოკითხულთა 40%-მა აღნიშნა, რომ ამჟამად მუშაობს პროფესიით, 12% კი თვითდასაქმებულია საკუთარი პროფესიით, ხოლო კურსდამთავრებულთა დასაქმების საერთო მაჩვენებელი 81%-ია.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების ფარგლებში გაგრძელდა პროფესიული ორიენტაციის და კონსულტაციების სტრატეგიაზე მუშაობა ფორმალურ სექტორში კარიერის დაგეგმვასთან დაკავშირებით. სტრატეგია მიზნად ისახავს კარიერის მართვის ინკლუზიურობას, რათა ახალგაზრდებსა და ზრდასრულებს თანაბარი შესაძლებლობები ქონდეთ თავიანთ პოტენციალის კარიერაში რეალიზების მიზნით. ზოგად განათლებაში პროფესიული განათლების ინკორპორირებაზე ამ მიზანს ემსახურება და ითვალისწინებს სასერთიფიკაციო კურსების შეთავაზებას და პროფ-ორიენტაციას მერვე-მეთორმეტე კლასელებისათვის. 2023 წელს, 160 საჯარო სკოლაში, 209 მსგავს პროექტში მონაწილეობა მიიღო 3300 სტუდენტზე მეტმა, ხოლო 2024 წელს 157 საჯარო სკოლაში 157 პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 2300-მდე სტუდენტმა.

პროფესიული განათლების ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასევე საჭიროებებზე დაფუძნებული მხარდაჭერა, სპეცილური საჭიროებების მქონე და შშმ პირებისათვის. მხარდაჭერის მიზანია ამ პირებს ხელი შეუწყობს საკუთარი თავის რეალიზებაში. პროცესების სწორად მართვისათვის შემუშავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების განხორციელების წესი. წესი დაეხმარება პროფ-ორიენტაციისა და ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებაში სპეციალური საჭიროებების მქონე და შშმ პირებს.

2023 წლის მეოთხე კვარტალში მოხდა პროგრამების პილოტირება და სპეციალური მენტორთა ჯგუფები შეიქმნა და განაწილდა სპეციალიზაციის მიხედვით. საპილოტე ფაზაში 56 შშმ პირმა ისარგებლა პროგრამებით და მათი 48% შემდგომში ჩაერთო პროფესიული განათლების პროგრამებში. პილოტირება განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში "Better Opportunities for Lifelong Learning through Partnerships," გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით. 2024 წლიდან გაგრძელდა მუშაობა პროექტის საბოლოო გადახედვაზე.

3. მაკროეკონომიკური ჩარჩო

რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მსოფლიო ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის პერსპექტივები გაუარესდა. მაღალი ინფლაციის წინააღმდეგ, მსოფლიოს ძირითადმა ეკონომიკებმა გაზარდეს საპროცენტო განაკვეთები, რათა შეემცირებინათ ინფლაცია. მაღალი ინფლაცია ნარჩუნდებოდა 2022-2023 წლებში, ხოლო 2024 წელს მისი მკვეთრი შემცირება აღინიშნება საქართველოს რიგ სავაჭრო პარტნიორებში. ხანგძლივად შენარჩუნებული მკაცრი პოლიტიკის შედეგად მოხდა ეკონომიკური აქტივობის შემცირება და 2024 წლის შეფასებით, მსოფლიო ეკონომიკური ზრდა სუსტია და კვლავ 3 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

რაც შეეხება ევროკავშირის ეკონომიკურ ზრდას, ევროკომისიის 2024 წლის ნოემბრის პროგნოზის მიხედვით, 2024 წელს მოსალოდნელია ევროკავშირის ეკონომიკური ზრდა 0.9 პროცენტზე დაფიქსირდეს, რაც წინა წელს გაკეთებულ პროგნოზებზე ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის ზრდამ 0.4 პროცენტი შეადგინა. ამასთან, მოსალოდნელია ინფლაციის შემცირება 2023 წლის 6.4 პროცენტიდან 2.6 პროცენტამდე 2024 წელს, ხოლო 2025-2026 წლებისთვის ის მიზნობრივ 2 პროცენტს დაუახლოვდება.

მოსალოდნელია, რომ საგარეო სექტორიდან მომდინარე შოკები დასტაბილურდება, რის შედეგადაც, 2025-2027 წლებისთვის მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიკური ზრდა საშუალოდ 3.2 პროცენტის ფარგლებში, ხოლო ევროკავშირის ზრდა 1.6 პროცენტის გარშემო იქნება. საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებში მოსალოდნელია ეკონომიკის სტაბილურად გაზრდა აღნიშნულ პერიოდში.

ევროპის ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა ნელ-ნელა გამოდის გამკაცრებული პოლიტიკიდან და განაკვეთი შეადგენს 3.0 პროცენტს. ინფლაციის შემცირების ფონზე, ნელ-ნელა შემცირდება პოლიტიკის განაკვეთი და ევროკომისიის პროგნოზით, 2025 წლის ბოლოსთვის 2 პროცენტამდე შემცირდება, რაც 60 საბაზისო პუნქტით ნაკლებია, ვიდრე ეს გაზაფხულზე იყო მოსალოდნელი. საპროცენტო განაკვეთების შემცირების ტენდენცია ასევე ნარჩუნდება აშშ-სა და ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ინფლაციის შემცირება შეინიშნება ასევე საქართველოს ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებშიც, სადაც 2025-2027 წლებში მოსალოდნელია საშუალო ინფლაციის 3.7 პროცენტამდე შემცირება (თურქეთის გამორიცხვით), წინა წლებში არსებული 8.3 პროცენტიდან, IMF-ის ოქტომბრის მიმოხილვის მიხედვით.

მიუხედავად მაღალი ინფლაციისა და თურქული ლირის გაუფასურებისა, თურქეთის ეკონომიკამ აჩვენა მდგრადობა კოვიდ-19-ის შემდგომ, ხოლო მიმდინარე პერიოდში ზრდაში დასტაბილურება შეინიშნება და 2025-2027 წლებში ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელია საშუალოდ 3.1 ფარგლებში. მზარდ ინფლაციასთან საბრძოლველად თურქეთმა გაზარდა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რამაც 2023 წელს 42.5 პროცენტს მიაღწია, ხოლო 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით 50 პროცენტზეა. მეზობელი ქვეყნებისთვის თურქეთიდან მომდინარე ყველაზე მნიშვნელოვან რისკს სწორედ ინფლაცია წარმოადგენს, რაც შეიძლება იმპორტირებული იყოს ამ ქვეყნებშიც, თუმცა ევრიდან მაღალ ინფლაციას თან სდევს ვალუტის გაუფასურებაც, აღნიშნული რისკი მცირდება.

კავკასიის რეგიონში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ინფლაცია მცირდება, რასაც თან ახლავს საპროცენტო განაკვეთების შემცირებაც. ამასთან, ენერგო რესურსების ფასებთან დაკავშირებული გაურკვევლობის შედეგად, შესაძლოა აზერბაიჯანმა ისარგებლოს, ხოლო რუსეთიდან გაზრდილი მიგრაციული ნაკადები უნარჩუნებს სომხეთს მაღალ ეკონომიკურ ზრდას. 2025-2026 წლებში მოსალოდნელია სომხეთის 4.9 და 4.5 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, ხოლო აზერბაიჯანის ზრდა მოსალოდნელია 2.5 და 2.4 პროცენტის დონეზე.

მსოფლიოში არსებული მაღალი ინფლაციის მიზეზს გაზრდილი სასურსათო და ნავთობის ფასები წარმოადგენდა. 2022 წელს მიღწეული პიკის შემდეგ, FAO-ს სასურსათო ფასებმა სტაბილურად დაიწყო შემცირება, რასაც თან ერთვოდა ნავთობზე ფასების შემცირებაც. EIA-სა და ჩვენი მოლოდინებით, მოსალოდნელია, რომ სასურსათო და ნავთობის ფასები დასტაბილურდება, ბრენტის ფასი 1 ბარელ ნავთობზე 74 აშშ დოლარი იქნება 2025 წელს, და სხვა თანაბარ პირობებში მისი ცვლილება არაა მოსალოდნელი საშუალოვადიან პერიოდში.

სამხედრო კონფლიქტები კვლავ რჩება მსოფლიო ეკონომიკის მთავარ რისკებში, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს მსოფლიო მიწოდების ჯაჭვებსა და ნედლეულის მიწოდებას, თუმცა საბაზისო სცენარით, მსოფლიო ეკონომიკა ნორმალიზდება.

ცხრილი 1. ძირითადი დაშვებები საგარეო ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ (საშუალო წლიური)

	2023	2024	2025	2026	2027
მოკლევადიანი საპროცენტო განაკვეთი	5.60%	7.30%	5.40%	4.90%	4.40%
გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთი	6.60%	8.50%	6.60%	6.10%	5.60%
აშშ დოლარი/ევროს გაცვლითი კურსი	1.08	1.09	1.07	1.07	1.07
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	395.9	413.5			
გაცვლითი კურსი ევროსთან მიმართებაში	2.84	2.94	2.94	2.94	2.94
მსოფლიო ეკონომიკური ზრდა, ევროკავშირის გარეშე	3.5	3.3	3.2	3.4	3.4
ევროკავშირის ეკონომიკური ზრდა	0.4	0.9	1.5	1.8	1.6
შესაბამისი საგარეო ბაზრების ზრდა	2.4	3.3	2.7	2.8	2.8
მსოფლიო იმპორტის მოცულობა, ევროკავშირის გარეშე	-	-	-	-	-
ნავთობის ფასები (ბრენტი, აშშ დოლარი/ბარელი)	82.4	81	74	74	74


საშუალოვადიანი პერიოდისთვის ძირითადი საგარეო ეკონომიკური აქტივობის პროგნოზების მთავარი წყარო არის IMF-ის 2024 წლის ოქტომბრის მსოფლიო ეკონომიკური მიმოხილვა და ევროკომისიის 2024 წლის ნოემბრის ეკონომიკური პროგნოზები, რომლებიც ქვეყნდება წელიწადში ორჯერ და მოიცავს მაკროეკონომიკური ცვლადების ფართო სპექტრს. საშუალოვადიანი პერიოდის მაკროეკონომიკური ჩარჩოსთვის საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ განსაზღვრავს ნომინალური გაცვლითი კურსის პროგნოზებს. ამის ნაცვლად, აღნიშნული პროგნოზები მიღებულია უახლესი ოფიციალური მონაცემიდან და ითვლება, რომ საშუალოვადიანი პერიოდისთვის უცვლელი იქნება. გრძელვადიანი და მოკლევადიანი საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების შესაფასებლად გამოყენებულია ბლუმბერგის პროგნოზები და ფინანსთა სამინისტროს შეფასება.

ა) მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

ეკონომიკური ზრდა

2023 წელს საქართველოს ეკონომიკამ მდგრადი ზრდა აჩვენა და ის 7.8 პროცენტზე დაფიქსირდა 2022 წლის 11.0 პროცენტიანი - ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შემდეგ. 2024 წელს პირველ 3 კვარტალში კი ადგილი ჰქონდა 8.7, 9.7 და 11.0 პროცენტიან ეკონომიკურ ზრდებს, შესაბამისად. მიმდინარე წლის ოქტომბერში რეალური მშპ-ს ზრდა ორნიშნა იყო და 11.0% ნიშნულზე დაფიქსირდა. ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2024 წლისთვის 9.0 პროცენტს, ხოლო 2025 წლისათვის კი - 6.0 პროცენტს შეადგენს.


გრაფიკი 1. რეალური ეკონომიკური ზრდა, % წ/წ



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

მნიშვნელოვანი ზრდა. აღნიშნულმა სექტორებმა სერვისების დარგის ზრდაში ნახევარი - 6.4 პ.პ. წვლილი შეიტანა. ასევე, მშენებლობის სექტორში დაფიქსირდა 17.3 პროცენტის ზრდა, რამაც მთლიან ეკონომიკურ ზრდაში 1.1 პ.პ. დადებითი წვლილი შეიტანა. რაც შეეხება მრეწველობის სექტორს, 2024 წლის პირველ 9 თვეში წინა წლის შესაბამის პერიოდთან ის 2.5 პროცენტით გაიზარდა და მთლიან ზრდაში მისი წვლილი უმნიშვნელო იყო.

გრაფიკი 2. რეალური მშპ-ს ზრდა, დანახარჯების მეთოდით (წვლილი მთლიან ზრდაში)



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დანახარჯების მხრიდან, ზრდის ტენდენცია გააგრძელა ინვესტიციების კომპონენტმა, რაც წლიურად 2023 წელს 19.5 პროცენტით გაიზარდა და მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა წლიურ ზრდაში 4.7 პ.პ.-ით. მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ზრდაში ასევე არის საქონლისა და მომსახურების ექსპორტი, რამაც 5.0 პ.პ. დადებითი წვლილი შეიტანა, ხოლო შემდგომ მოდის მოხმარების კომპონენტი, რაც ასევე დადებითი გავლენის მქონეა და მისმა წვლილმა 4.3 პ.პ. შეადგინა მთლიან ზრდაში. ამავდროულად, უარყოფითი წვლილი შეიტანა მთლიან ზრდაში საქონლისა და მომსახურების იმპორტმა 6.2 პ.პ.-ით. რაც შეეხება 2024 წელს, მისი პირველი ნახევრის მონაცემების მიხედვით, ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე დიდი წილი ჰქონდა მოხმარებას, რომლის ცვლილებამ


წარმოების მეთოდით, 2024 წლის პირველ 3 კვარტალში ზრდაში ყველაზე დიდი წილი ჰქონდა სერვისებს. აღნიშნულ პერიოდში მომსახურების დარგები წლიურად 12.8 პროცენტით გაიზარდა და მთლიან ზრდაში 8.2 პ.პ. წვლილი შეიტანა. თავის მხრივ, მომსახურების სფეროში ინფორმაცია და კომუნიკაციის (ზრდა, წ/წ, 22.2%), საბითუმო და საცალო ვაჭრობის (ზრდა, წ/წ, 14.4%), განათლების (ზრდა, წ/წ, 26.4%), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვის (ზრდა, წ/წ, 17.1%), და ტრანსპორტი და დასაწყობების (ზრდა, წ/წ, 10.5%) ქვესექტორებმა განიცადა

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, მან შეინარჩუნა პანდემიის შემდეგ დაფიქსირებული მზარდი ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ 2022 და 2023 წლებში დაფიქსირდა მისი კლება, 2024 წლის პირველ ნახევარში ის 3.8 პროცენტით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. აღნიშნულმა სექტორმა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში უმნიშვნელოდ, 0.3 პროცენტული პუნქტით მოახდინა გავლენა მთლიან ეკონომიკურ ზრდაზე.

წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 20.4 პროცენტი შეადგინა. მოხმარების წონა მშპ-ს ზრდაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 16.0% პროცენტული პუნქტია. აღნიშნულ პერიოდში კლება დაფიქსირდა ინვესტიციებში, რომლის წლიურმა შემცირებამ 11.9 პროცენტი შეადგინა. შესაბამისად, ინვესტიციების წვლილი ეკონომიკურ ზრდაში უარყოფითი იყო და -3.7 პ.პ.-ს გაუტოლდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ექსპორტი უმნიშვნელოდ შემცირდა, ხოლო იმპორტი გაიზარდა 6.1 პროცენტით (წ/წ).

შრომის ბაზარი

გრაფიკი 3. შრომის ბაზრის ინდიკატორები: ნომინალური და რეალური ხელფასის ზრდა და პროდუქტიულობა



2024 წლის მესამე კვარტალში უმუშევრობის დონე 13.8 პროცენტი იყო, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.8 პ.პ.-ით შემცირებას, ხოლო წინა კვარტალთან შედარებით 0.1 პ.პ.-იან ზრდას წარმოადგენს. 2024 წლის მესამე კვარტალში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 1.0 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 54.7 პროცენტით განისაზღვრა, ხოლო დასაქმების დონე გაიზარდა 1.8 პროცენტული პუნქტით და 47.1 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ სამუშაო ძალის მონაწილეობის მაჩვენებელი ქალებსა და მამაკაცებს შორის განსხვავდება.

2024 წლის მესამე კვარტალში სამუშაო ძალის

მონაწილეობის დონე მამაკაცებში იყო 66.1 პროცენტი, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი ქალებში 44.9 პროცენტს შეადგენდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დასაქმებულთა რაოდენობა 3.0 პროცენტით არის გაზრდილი, ხოლო სამუშაო ძალა 0.9 პროცენტით. ამასთანავე, უმუშევართა რაოდენობა შემცირებულია 10.5 პროცენტით წლიურად.


რაც შეეხება პროდუქტიულობას, რაც გამოთვლილია რეალური მშპ-ს დასაქმებულთა რაოდენობაზე შეფარდებით, 2024 წლის მეორე კვარტალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილი 4.8 პროცენტით, აღნიშნული მაჩვენებელი პირველ კვარტალში 1.7 პროცენტით იყო შემცირებული. ამასთან, მეორე კვარტალში საშუალო ნომინალური ხელფასი 11.1 პროცენტით გაიზარდა წლიურად (ხელფასის ზრდა პირველ კვარტალში 13.2 პროცენტზე დაფიქსირდა) და 2004.9 ლარი შეადგინა (663 ევრო).

საგარეო სექტორი

მიმდინარე ანგარიში. მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, საქართველოს საგადასახდელო ბალანსის მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი ქვეყნის მშპ-სთან მიმართებით 4.5% იყო, რომლის

დაფინანსება მეტწილად მოხდა ვალის აღებით. რაც შეეხება მეორე კვარტალს, ამ პერიოდში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა დაახლოებით 594 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც ანალოგიური პერიოდის მშპ-ს 7.4%-ს შეადგენს. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ აღნიშნული მაჩვენებლის დაფინანსება მოხდა როგორც ვალის აღებით, ასევე - წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით, თუმცა ძირითადი წვლილი პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეიტანა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2024 წლის პირველ ნახევარში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 5.9%-იან ნიშნულზე დაფიქსირდა.

გრაფიკი 4. მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება, %-ულად მშპ-სთან



როგორც ცალკეული კომპონენტების ანალიზის შედეგად ჩანს, მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუარესება (აღნიშნული მაჩვენებელი მუდმივად უარყოფითია) სავაჭრო დეფიციტიდან გამომდინარეობს. ამავე დროს, საქონლის დეფიციტის ზრდა, პირველადი შემოსავლის დეფიციტის გაზრდასთან ერთად, ნაწილობრივ დაკომპენსირდა მიმდინარე ტრანსფერებისა და მომსახურების ზრდით.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.


2024 წლის პირველ კვარტალში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 194.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ს 2.7 პროცენტი), ხოლო მეორე კვარტალში აღნიშნულმა მაჩვენებელმა 574.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მშპ-ს 7.1 პროცენტი და 2023 წლის მეორე კვარტალთან შედარებით 10.3 პროცენტის ზრდაა. რაც შეეხება 2023 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირებულია 15.6 პროცენტით და შეადგენს მშპ-ს 6.2 პროცენტს. 2024 წლის მესამე კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 197.7 მლნ აშშ დოლარი იყო, სადაც ნიდერლანდები (171.2 მლნ აშშ დოლარი) იყო ტოპ ინვესტორი ქვეყანა, მთლიან ინვესტიციებში 30.4 პროცენტის წილი. მეორე და მესამე ადგილებს კი მალტა და გაერთიანებული სამეფო იკავებენ, შესაბამისად, 29.5 და 27.8 პროცენტული წილი. რაც შეეხება 2023 წელს, ნიდერლანდები და გაერთიანებული სამეფო არიან ტოპ ინვესტორი ქვეყნები, 20.3 და 19.2 პროცენტის წილი, შესაბამისად.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია და საგარეო ვალი. 2024 წლის პირველ კვარტალში საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო უარყოფითი მდგომარეობა ნომინალურ მაჩვენებლებში გაზრდილია 2.3 პროცენტით წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო მეორე კვარტალში შემცირდა 1.3 პროცენტით 2023 წლის მეორე კვარტალთან შედარებით. რაც შეეხება 2023 წელს, უარყოფითი მაჩვენებელი გაზრდილია 6.2 პროცენტით. 2024 წელს აღნიშნული კლება (რაც საინვესტიციო პოზიციის გაუმჯობესებას გულისხმობს) ძირითადად გამოწვეული იყო საერთაშორისო აქტივებთან შედარებით საერთაშორისო ვალდებულებების შედარებით დაბალი ზრდით, ხოლო პირველ კვარტალში აქტივებთან შედარებით ვალდებულებები უფრო მეტად არის

გაზრდილი. მშპ-სთან მიმართებაში კი საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციამ უარყოფითი, 92.2 პროცენტი შეადგინა 2024 წლის მეორე კვარტალში, რაც 2023 წელს 98.0 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის პირველ კვარტალში 96.1 პროცენტი იყო.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში მთლიანი საგარეო ვალის მშპ-სთან თანაფარდობა 78.0% იყო, ხოლო 2024 წლის მეორე კვარტალში საგარეო ვალი 76.9 პროცენტზე დაფიქსირდა. აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წელს 79.6 პროცენტი იყო, რაც ვალის შემცირების ტენდენციის გაგრძელებაზე მიუთითებს. აღსანიშნავია, რომ პანდემიის შემდეგ, საგარეო ვალი 2021 და 2022 წლებში შესაბამისად 13.8 და 21.4 პროცენტული პუნქტებით შემცირდა. 2023 წელს კი ვალი მშპ-სთან მიმართებაში 16.4 პროცენტული პუნქტით, 95.9 პროცენტიდან 79.6 პროცენტამდე შემცირდა და ძირითადად ამ კლებაში მშპ-ს ზრდამ შეიტანა წვლილი.

გრაფიკი 5. ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი



ტურიზმი. პოსტპანდემიურ პერიოდში 2021 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო ტურიზმის სექტორის გაჯანსაღება. 2021 წლის მეორე კვარტალიდან ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად გაიზარდა, ხოლო მესამე კვარტალიდან ნახევრად აღდგა. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა შემდგომაც. აღსანიშნავია, რომ 2022 წლის მესამე კვარტალიდან ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის დონეს გადააჭარბა და ეს ტენდენცია მიმდინარე პერიოდშიც

გრძელდება. 2024 წლის მესამე კვარტალში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა 1,563.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან 8.0 პროცენტით მეტია, ხოლო 2019 წლის დონეს 38.7 პროცენტით აჭარბებს.

ფულადი გზავნილები. 2023 წელს წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 3,790 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ის წინა წელთან შედარებით 5.9 პროცენტით შემცირდა. ეს შემცირება მაღალი საბაზო ეფექტით და რუსეთიდან წმინდა ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი კლებით (-26.7 პროცენტი წ/წ) იყო გამოწვეული. აღსანიშნავია, რომ 2023 წლის წმინდა ფულადი გზავნილების 39.2 პროცენტი რუსეთიდან შემოვიდა.


რაც შეეხება 2024 წელს, პირველი 10 თვის მონაცემების მიხედვით, წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობა იყო 2,499.6 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 23.0 პროცენტით ნაკლებია. კლებაში ძირითადი წვლილი შეიტანა რუსეთმა 27.8 პპ-ით (წლიური კლება 67.1%). ზრდა დაფიქსირდა აშშ-დან (27.3%-იანი ზრდა, 3.0 პპ), იტალიიდან (8.9%-იანი ზრდა, 1.2 პპ), გერმანიიდან (17.4%-იანი ზრდა, 1.0 პპ), ასევე წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა ისრაელიდან 16.8 პროცენტით, რამაც 0.9 პპ. დადებითი წვლილი შეიტანა ზრდაში და ირლანდიიდან 36.7 პროცენტით, რამაც 0.4 პპ შეიტანა ზრდაში. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში რუსეთიდან ფულადი გზავნილები გაზრდილი იყო და დადებითი წვლილი ჰქონდა გზავნილების ზრდაში.

აღნიშნული დინამიკა შეიცვალა 2023 წლის მეორე კვარტალში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს მაღალ საბაზო ეფექტთან.

მონეტარული პოლიტიკა საქართველოში - ქვეყანაში მონეტარული პოლიტიკის წარმართვაზე პასუხისმგებელია საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ). სებ-ის საბოლოო მიზანი ეკონომიკაში ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფაა. ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსახორციელებლად იყენებს ინფლაციის თარგეთირების რეჟიმს. იგი აცხადებს ინფლაციის მიზნობრივ განაკვეთს და მომდევნო წლის განმავლობაში ცდილობს მის მიღწევას მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებით, როგორიცაა პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების სესხის განაკვეთი), მინიმალური სარეზერვო მოთხოვნები, ღია ბაზრის ოპერაციები, ფულად ბაზარზე ინტერვენციები და ა.შ. 2009 წელს მიზნობრივი ინფლაციის დანერგვის საწყის ეტაპზე მიზნობრივი ინფლაცია 6 პროცენტს შეადგენდა. 2015 წელს მიზნობრივი ინფლაცია 5 პროცენტამდე, 2017 წელს კი 4 პროცენტამდე შემცირდა. 2018 წლიდან ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 3 პროცენტით განისაზღვრა.

გრაფიკი 6. ინფლაცია საქართველოში, 2018-2024

ინფლაცია საქართველოში - CPI-ზე დაფუძნებული საშუალო წლიური ინფლაცია 2022 წელს




წყარო: საქსტატი, ფინანსთა სამინისტრო

შეადგენდა 11.9 პროცენტს და კვლავ აღემატებოდა მონეტარული პოლიტიკის მიზნობრივ მაჩვენებელს, რაც ძირითადად გამოწვეული იყო საერთაშორისო ფასების ზრდით, მიწოდების ჯაჭვის შეფერხებითა და სხვა გლობალური და რეგიონული მოვლენებით. 2023 წელს ინფლაციის დონემ იკლო და წლიურმა ინფლაციამ 2.5 პროცენტი შეადგინა. იგივე ტენდენცია გრძელდება 2024 წელსაც.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველი 11 თვის მონაცემებით ინფლაცია მიზნობრივზე ნაკლებია. მოსალოდნელია, რომ ის შენარჩუნდება მიზნობრივ დონესთან ახლოს მოკლევადიან პერიოდში. საბაზო ინფლაცია საქართველოში 2018-2023 წლებში შედარებით სტაბილური იყო. მას 2022 წლამდე ზრდის ტენდენცია ჰქონდა და 6.9 პროცენტიან დონეს მიაღწია, თუმცა, 2023 წელს 2.0 პროცენტამდე დაეცა. 2024 წლის პირველი 11 თვის საშუალო საბაზო ინფლაცია 1.0 პროცენტია.

რაც შეეხება მშპ-ს დეფლატორს, მას ჰქონდა მზარდი ტენდენცია COVID-ის პანდემიის ფარგლებში. 2021 და 2022 წლებში მან შესაბამისად 10.2% და 8.1% შეადგინა. თუმცა, მშპ-ის დეფლატორიც შემცირდა 2023 წელს და 2.9 პროცენტიან დონეს მიაღწია. მოსალოდნელია, რომ 2024 წლისთვის ეს მაჩვენებელი 3.1 პროცენტით განისაზღვრება. აღსანიშნავია ისიც, რომ მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ მშპ დეფლატორი ახლოს იქნება 3%-იან მაჩვენებელთან.

გრაფიკი 7. REER¹ and NEER²



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

გაცვლითი კურსები საქართველოში - საქართველოში მოქმედებს მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი. ქართული ლარის გაცვლითი კურსი განისაზღვრება სავალუტო ბაზარზე არსებული მოთხოვნითა და მიწოდებით. ბოლო 5 წლის განმავლობაში, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან მერყეობდა ტურიზმზე, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ფულად გზავნილებზე მაღალი დამოკიდებულების გამო.

გლობალური პანდემიისა და გეოპოლიტიკური დაძაბულობის გამო, საქართველოს ეკონომიკაში ადგილი ჰქონდა ძლიერ საგარეო შოკებს, რამაც გამოიწვია კაპიტალის შემოდინების შემცირება და ეროვნული ვალუტის გაუფასურება. 2018-2021 წლებში ლარი ევროსთან მიმართებაში დაახლოებით 11 პროცენტით გაუფასურდა. თუმცა, 2022 წელს ეროვნული ვალუტა ევროსთან მიმართებაში გამყარდა 21 პროცენტით, რაც ასევე გაგრძელდა 2023 წელსაც. აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წელს ლარი ევროსთან მიმართებით გამყარდა 1.4 პროცენტით. რაც შეეხება ლარის გაცვლით კურსს აშშ დოლართან, 2018-2021 წლებში დაახლოებით 16 პროცენტით გაუფასურდა. ამასთან, კოვიდ-19 პანდემიამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აღნიშნულ პროცესში. მომდევნო წელს კი, ლარმა დაიწყო გამყარება და 2022 წელს აშშ დოლართან მიმართებაში 14 პროცენტით გამყარდა.


ნომინალურ და რეალურ ეფექტურ ეფექტურ გაცვლით კურსებს (NEER და REER) მსგავსი ტენდენცია გააჩნიათ საქართველოში. მთლიანობაში, 2018-2021 წლებში მათი მცირედით გაუფასურება დაფიქსირდა. 2021 წლის აპრილიდან, NEER გამყარდა დაახლოებით 80 პროცენტით მიმდინარე წლის ნოემბრამდე. რაც შეეხება REER, ანალოგიური პერიოდიდან მისმა გამყარებამ 2024 წლის ოქტომბრამდე შეადგინა 31.3 პროცენტი. აღნიშნულ ტენდენციას მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია საქართველოს ეკონომიკაზე ადგილობრივი წარმოების კონკურენტუნარიანობისთვის.

საპროცენტო განაკვეთები - დეპოზიტებისა და სესხების საბაზრო საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებული სპრედი შემცირდა ბოლო 7 წლის მანძილზე, რაც ძირითადად გამოწვეულია 2017 წლიდან დაწყებული დედოლარიზაციის ღონისძიებების განხორციელებით და დეპოზიტების დაზღვევის სქემით. ზოგადი ტრენდი კლებადი იყო პანდემიამდე, ხოლო პოლიტიკის გამკაცრებამ და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ზრდამ გამოიწვია საპროცენტო განაკვეთების გაზრდაც.

¹ რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) გვიჩვენებს CPI-ზე დაფუძნებულ REER ინდექსის ცვლილებას. აღნიშნული მაჩვენებელი გამოითვლება, როგორც ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების (ევროზონა, თურქეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ჩინეთი, სომხეთი, აშშ, ბულგარეთი, პოლონეთი) ვალუტების რეალური გაცვლითი კურსების შეწონილი გეომეტრიული საშუალო

² ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი (NEER) გამოითვლება, როგორც ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების (იხ. REER) ვალუტების ნომინალური გაცვლითი კურსების შეწონილი გეომეტრიული საშუალო


გრაფიკი 8. საბაზრო საპროცენტო განაკვეთები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პროცენტი შეადგინა 2023 წელს, ხოლო დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებმა ეროვნულ ვალუტაში - 10.9 პროცენტი. ორივე მაჩვენებელს აღმავალი ტრენდი გააჩნია 2018-2022 წლებში, ხოლო 2022 წლიდან შემცირება დაიწყო.

გრაფიკი 9. დოლარიზაცია საქართველოში, %



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დოლარიზაცია მონეტარულ პრობლემას წარმოადგენს, რაც მონეტარული პოლიტიკის გადაცემის მექანიზმების ეფექტიანობას აფერხებს. საქართველო მაღალი დოლარიზაციის დონით ხასიათდება, თუმცა, 2017 წლიდან დაწყებულმა ე.წ დედოლარიზაციის სტრატეგიის შემდეგ აღნიშნულ მაჩვენებელს დაღმავალი ტრენდი აქვს. მაგალითად, 2018-დან 2023 წლის ჩათვლით სესხებსა და დეპოზიტებზე დოლარიზაცია შემცირდა 12.8 და 14.4 პროცენტული პუნქტით, შესაბამისად. 2024 წლის ოქტომბრისათვის, სესხების დოლარიზაციის დონემ 43.1 პროცენტი, ხოლო დეპოზიტების დოლარიზაციამ 51.7 პროცენტი შეადგინა.

2024 წლის ოქტომბერში, წლიური საბაზრო საპროცენტო განაკვეთები სესხებზე შეადგენდა 13.1 პროცენტს, ხოლო დეპოზიტებზე კი - 6.9 პროცენტს. საპროცენტო განაკვეთებს შორის არსებული სპრედი იზრდება 2019 წლიდან მაღალი საბაზრო რისკების გამო. 2021 წელს გაიზარდა და 5.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2022 წლიდან შემცირება დაიწყო. ასევე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საპროცენტო სპრედის ზრდა შეინიშნება.


სესხებზე საპროცენტო განაკვეთებმა ეროვნულ ვალუტაში საშუალოდ 16.2

სესხებისა და დეპოზიტების ზრდის ტემპი საქართველოში - სესხებისა და დეპოზიტების ტრაექტორია ეკონომიკის ბიზნეს ციკლებს ასახავს. 2024 წლის ოქტომბრისათვის, მთლიანმა სესხებმა დაახლოებით 60.1 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანი დეპოზიტები 59.1 მლრდ ლარი იყო. ბოლო 5 წლის მანძილზე საქართველოში სესხებსა და დეპოზიტებს აღმავალი ტრენდი გააჩნია და საშუალო ზრდა 15.0 და 17.1 პროცენტს შეადგენს, შესაბამისად, 2019-2023 წლებში.

სესხებისა და დეპოზიტების დედოლარიზაცია საქართველოში -

მაკროპრუდენციული პოლიტიკა: მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტი ეროვნული ბანკისთვის არის კაპიტალის კონტრცეპტული ბუფერის დაწესება, რათა შეზღუდოს სისტემური რისკების ზრდის გამომწვევი ჭარბი დაკრედიტება. აღნიშნული ბუფერის ნეიტრალურ ანუ საბაზისო განაკვეთად 2023 წელს 1 პროცენტი დაწესდა და მისი დაგროვება ეტაპობრივად მოხდება, რაც გულისხმობს 2024 წლისთვის 0.25 პროცენტს, 2025 წელს 0.5 პროცენტს, 2026 წელს 0.75 პროცენტს და 2027 წლისთვის სრულად, 1 პროცენტის დაგროვებას..

კაპიტალის ადეკვატურობა: 2023 წლის ბოლოსთვის საქართველოს საბანკო სისტემას, ბაზელ III-ზე დაფუძნებული კაპიტალის ადეკვატურობის ჩარჩოს ფარგლებში, შენარჩუნებული აქვს კაპიტალის ადეკვატური დონე. შესაბამისად, პირველადი კაპიტალის კოეფიციენტმა 19.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო 2024 წლის ოქტომბრის ბოლოსთვის კი 20.81 პროცენტი. საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი კი 22.14 პროცენტს შეადგენდა 2023 წლის ბოლოს, ხოლო 2024 წლის ოქტომბრისთვის 23.78 პროცენტამდე გაიზარდა. ასევე მაღალია ე.წ. ლევერიჯის კოეფიციენტი, რაც კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობას გულისხმობს და 17.68 პროცენტს შეადგენს, რაც 2023 წლის ბოლოსთვის 17.89 იყო.




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

პროდუქტების პორტფელში, რაც ძირითადად სამომხმარებლო და იპოთეკური სესხების ხარისხის გაუმჯობესებითაა განპირობებული. აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 2024 წლის მდგომარეობით. რაოდენობრივად, უმოქმედო სესხების წილი მთლიან პორტფელში გაიზარდა 0.05 პროცენტული პუნქტით 2023 წლის ბოლოსთან შედარებით და 1.53 პროცენტი შეადგინა 2024 წლის ოქტომბერში. რაც შეეხება ვადაგადაცდილებული პორტფელის წილს, აღნიშნული მაჩვენებელი 2023 წლის ბოლოს 1.2 პროცენტული პუნქტითაა შემცირებული და 6.2 პროცენტს შეადგენს.

სავალუტო ინტერვენციები საქართველოში - რუსეთიდან კაპიტალის დიდი ოდენობით შემოდინებიდან გამომდინარე სავალუტო ბაზარზე მნიშვნელოვანი ზეწოლის ასათვისებლად, რაც უკრაინაში არსებულმა ომმა გამოიწვია, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა იყიდა დაახლოებით 1.5 მლრდ აშშ დოლარი 2022-2023 წლებში, რითიც მთლიანი საერთაშორისო რეზერვები დააბრუნა საერთაშორისო სავალუტო ფონდით განსაზღვრულ რეზერვების ადეკვატურ დონეზე.

გრაფიკი 11. საქართველოს ეროვნული ბანკის მთლიანი საერთაშორისო რეზერვები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მთლიანი საერთაშორისო რეზერვები საქართველოში - საქართველომ შეძლო საერთაშორისო რეზერვების გაზრდა ბოლო 5 წლის განმავლობაში. 2024 წლის ნოემბრისთვის საერთაშორისო რეზერვები შეადგენს 4.1 მლრდ აშშ დოლარს. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი იზრდება 2023 წლის აგვისტოს ბოლომდე და შემდეგ დაიწყო შემცირება. 2019-2022 წლებში საერთაშორისო რეზერვები საშუალოდ 10.5 პროცენტით იზრდებოდა, 2023 წელს 2.2 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2024 წლის 11 თვის მდგომარეობით რეზერვების


შემცირებას აქვს ადგილი.

ბ) საშუალოვადიანი პერიოდის მაკროეკონომიკური სცენარები

საშუალოვადიანი პერიოდისთვის შემუშავებულია ეკონომიკური პროგნოზების სამი სცენარი: საბაზისო, პოზიტიური და ნეგატიური. აღნიშნული სცენარები ეფუძნება მიმდინარე ქვეთავში იდენტიფიცირებული რისკების გავლენის ხარისხსა და მათი მატერიალიზაციის განსხვავებულ ალბათობებს.

მსოფლიოში პოსტპანდემიური პერიოდის სწრაფმა აღდგენამ განაპირობა ოპტიმისტური პროგნოზების შესრულება და მთელი მსოფლიოსთვის ეკონომიკური მაჩვენებლების პოზიტიური პერსპექტივის ჩამოყალიბება. თუმცა, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა სიტუაცია, მსოფლიო პერსპექტივები გაუარესდა და გაიზარდა გაურკვევლობა უკრაინაში ომისა და რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების გამო.

გრაფიკი 12. რეალური ეკონომიკური ზრდა, საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური სცენარი



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

რეალური სექტორი. 2022 წლის თებერვალში რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრისა და სრულმასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ გაიზარდა პოტენციური ნეგატიური რისკების მოხდების შესახებ მოსაზრებები, თუმცა მათი მხოლოდ ნაწილი რეალიზდა. ამასთან ერთად, შემოსავლები ტურიზმიდან კვლავ გაუმჯობესდა მიგრაციის შედეგად, გაიზარდა ფულადი გზავნილები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა

ადგილობრივი ინვესტიციები, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა ორნიშნა ეკონომიკურ ზრდას როგორც 2021, ასევე - 2022 წლებში. 2023 წელსავე შენარჩუნდა მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპი და წლიურმა ზრდამ 7.8% შეადგინა. ეკონომიკურ ზრდაში კვლავ წარმმართველია მოხმარება და

ინვესტიციები. რაც შეეხება 2024 წელს, პირველი 11 თვის საშუალო ეკონომიკური ზრდა 10.0 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2024 წელს მოსალოდნელია 9.0 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, საბაზისო სცენარის მიხედვით, რაც კონსერვატიულ პროგნოზებს ეყრდნობა.

ცხრილი 2. რეალური მშპ-ს კომპონენტები საშუალოვადიან პერიოდში, საბაზისო სცენარი /პროცენტული ცვლილება/

	2023	2024	2025	2026	2027	2028
დანახარჯები კერძო მოხმარებაზე	4.9	7.7	4.4	5.4	5.1	5.1
დანახარჯები მთავრობის მოხმარებაზე	15.5	12.9	10.2	6.7	4.6	5.2
ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება	12.5	18.2	7	3	5.3	5.8
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი	0.3	10.3	7	5.3	5.5	5.6
საქონლისა და მომსახურების იმპორტი	0.2	12.9	5.7	5	5.3	5.5

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

შრომის ბაზარი: შრომის ბაზარმა აჩვენა მდგრადობა არსებული გამოწვევების საპასუხოდ და შენარჩუნდა 2023 წელსაც. დასაქმება 2022 წელს გაიზარდა 5.4 პროცენტით, ხოლო 2023 წელს 4.0 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა ამავე პერიოდში კი უმუშევართა რიცხვი შესაბამისად 15.3 და 2.3 პროცენტით შემცირდა. აქედან გამომდინარე 2023 წლისათვის უმუშევრობის მაჩვენებელი ისტორიულ მინიმუმამდე 16.4%-მდე შემცირდა და იგი შემცირებას 2024 წლის განმავლობაშიც განაგრძობს. 2024 წლის მესამე კვარტლის მდგომარეობით, უმუშევრობის დონე 13.8 პროცენტზეა დაფიქსირებული. ამასთან, მოსალოდნელია, რომ 2024-2028 წლებში დასაქმება საშუალოდ გაიზარდება 1.5 პროცენტით, ხოლო უმუშევრათა რაოდენობა კი 5.5 პროცენტით შემცირდება. აღნიშნული ტენდენციები გათვალისწინებით 2028 წლამდე მოსალოდნელია, რომ უმუშევრობის დონე 12%-ის ფარგლებამდე შემცირდეს.

ინფლაცია. 2023 წლის აპრილიდან წლიური ინფლაცია მცირდება და მიზნობრივ, 3 პროცენტიან დონეზე ნაკლებია. შედეგად, 2023 წლის საშუალო ინფლაცია 2.5 პროცენტზე დაფიქსირდა, რაც ძირითადად განპირობებულია ფასების ცვლილებით საკვებზე, უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტსა და ჯანდაცვაზე. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ფასების ცვლილება დიდწილად გამოწვეული იყო საკვებსა და ნავთობპროდუქტებზე საერთაშორისო ფასების შემცირებით, რასაც თან ახლდა ჯანდაცვაზე ფასების შემცირება, რაც მთავრობის დისკრეციული პოლიტიკის შედეგი იყო, მოქალაქეებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია, რომ საერთაშორისო პროდუქტების ფასები ნორმალიზდება. ამასთან, საქართველოს ეროვნული ბანკი იყენებს პოლიტიკის ინსტრუმენტებს (პოლიტიკის საპროცენტო განაკვეთი, ღია ბაზრის ოპერაციები და ა.შ), რათა ინფლაცია მიზნობრივ დონეს დაუახლოვდეს. შედეგად, 2024 წელს მოსალოდნელია ინფლაციის 1.0 პროცენტზე დაფიქსირება, რაც 2026 წელს მიაღწევს მიზნობრივ მაჩვენებელს.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოქმედებს მართვადი მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმი, ფინანსთა სამინისტრო არ აკეთებს გაცვლითი კურსის შესახებ პროგნოზებს. გამოთვლებისთვის დაშვებულია, რომ საშუალოვადიან პერიოდში გაცვლითი კურსი უცვლელი იქნება. მოსალოდნელია საპროცენტო განაკვეთების შემცირება და სესხებზე საპროცენტო


განაკვეთები საშუალოდ 1 პროცენტული პუნქტით შეიძლება შემცირდეს წლიურად და 2028 წლისთვის 11.2 პროცენტს მიაღწიოს, ხოლო დეპოზიტებზე შემცირება უფრო ნაკლები იქნება, რაც სპრედს უფრო მეტად შეამცირებს.

საბაზისო სცენარის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2024 წლისთვის მოსალოდნელია 4.7 პროცენტზე, 2022-2023 წლებში მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, შესაბამისად, 4.4 და 5.6 პროცენტიანი დეფიციტების შემდეგ. აღნიშნული პროგნოზი ითვალისწინებს არსებულ ტენდენციებს და მოსალოდნელია, რომ მომდევნო წლებში დეფიციტი შემცირდება და 2028 წელს 3.7 პროცენტს მიაღწევს. 2023 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2019 წლის დონეს გადააჭარბა 26.2 პროცენტით, ხოლო 2024 წლის პირველ 9 თვეში 34.0 პროცენტით და მოსალოდნელია აღნიშნული მაჩვენებლის კიდევ უფრო ზრდა. ამასთან, 2023 წელს იმპორტის ზრდა (15.2 პროცენტი) აღემატებოდა ექსპორტის ზრდას (9.0 პროცენტი), რამაც გამოიწვია სავაჭრო ბალანსის გაუარესება და სავაჭრო დეფიციტი 19.5 პროცენტით გაიზარდა. 2024 წლის 10 თვის მონაცემებით ექსპორტი გაზრდილია 7.4 პროცენტით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 4.8 პროცენტით, რამაც კვლავ გაზარდა სავაჭრო დეფიციტი, 3.1 პროცენტით. 2024 წლისთვის მოსალოდნელია საქონლის ექსპორტის 8.5 პროცენტიანი ზრდა, ხოლო მომსახურების ექსპორტის 12.3 პროცენტიანი ზრდა.

საგარეო დაფინანსება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება. საქონლისა და მომსახურების ბალანსი (უარყოფითი წმინდა ექსპორტი) მიმდინარე ანგარიშის უარყოფითი ბალანსის ძირითადი წყაროა იმის მიუხედავად, რომ მიმდინარე ტრანსფერებს მშპ-ს 10 პროცენტზე მეტი უკავია. პირველადი მიმდინარე ანგარიშის ბალანსი³ შემცირდა როგორც 2023 წელს, ასევე - 2024 წლის პირველ ნახევარში და მოსალოდნელია მისი კიდევ უფრო შემცირება, ძირითადად საინვესტიციო შემოსავლების გამო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორც შეიცვლება ქვეყანაში საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (IIP).

³ მიმდინარე ანგარიშის ბალანსი საინვესტიციო შემოსავლების გარეშე

გრაფიკი 13. წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (დეფიციტი), %-ულად მშპ-სთან




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (IIP) %-ულად მშპ-სთან მოსალოდნელია რომ გაიზარდოს (შემცირდეს უარყოფითი წმინდა IIP). აღსანიშნავია, რომ ეს შემცირება ძირითადად წმინდა საგარეო ვალის მშპ-სთან წილის შემცირებით იქნება გამოწვეული. შესაბამისად, ვალის წილი IIP-ში წინა წლებთან შედარებით უფრო ნაკლები იქნება. ვალის კომპონენტის შედარებით დასტაბილურებასთან ერთად, იზრდება აქტივების მოცულობა

როგორც ნომინალურ გამოსახულებაში, ასევე - მთლიანი IIP-ის დაფინანსებაში. აღნიშნული ცვლილება აჩვენებს საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის დაფინანსების კომპოზიციის ცვლილებას და აქტივებით დაფინანსებაზე უფრო მეტ დამოკიდებულებას.

გრაფიკი 14. ექსპორტი ქვეყნებისა და პროდუქტების მიხედვით, %-ული წილი მთლიან ექსპორტში



წყარო: საქსტატი

წყარო: საქსტატი

საგარეო სექტორის პერსპექტივიდან უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის ბალანსი წარმოადგენს მნიშვნელოვან გამოწვევას, რაც ისტორიულად ხელს უწყობს საქართველოს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტს. აქედან გამომდინარე, ექსპორტის ანალიზი და მონიტორინგი გადამწყვეტია გარე მოწყვლადობის შესაფასებლად.

ექსპორტი ქვეყნების მიხედვით გარკვეულ დივერსიფიკაციას აჩვენებს, თუმცა რამდენიმე ძირითად საექსპორტო პარტნიორ ქვეყანას აქვს ყველაზე მაღალი წილი მთლიან ექსპორტში. გარკვეული საექსპორტო პროდუქტებიც ასევე აგრძელებენ ექსპორტში ძირითადი წვლილის შეტანას.

აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი ევროკავშირის ქვეყნებთან ერთად ძირითადი საექსპორტო დანიშნულების ქვეყნებია და მათ წვლილი შეაქვთ საქართველოს მთლიანი ექსპორტის დაახლოებით 50 პროცენტში. რაც შეეხება პროდუქტებს: მსუბუქი ავტომობილები, სპილენძის მადნები, ახალი ყურძნის ღვინოები, სპირტიანი სასმელები და ფეროშენადნობები, მათ ბოლო პერიოდში ქართული ექსპორტის 50 პროცენტზე მეტი წვლილი შეიტანეს. სპილენძის მადნები, მსუბუქი ავტომობილები და ფეროშენადნობები არის ძირითადი საექსპორტო პროდუქცია, რომელიც 2018-2022 წლებში მთლიან ექსპორტში დაახლოებით 40 პროცენტს შეადგენს.

გამოწვევები არსებობს ადგილობრივ ექსპორტში, რომელმაც კლება დაიწყო 2023 წლის დასაწყისში, როგორც რეალური, ისე ფასების ეფექტის გამო. გრაფიკი 14 გვიჩვენებს, რომ ცვლილებები ძირითადად მიეკუთვნება მადნებისა და ფეროშენადნობების შემცირებას, რაც წარმოადგენს ნედლეული მასალების კომპონენტის მნიშვნელოვან ნაწილს.

2024 წლის მესამე კვარტალში ადგილობრივი ექსპორტი 9.4 პროცენტით გაიზარდა, საიდანაც რეალური ზრდა 0.5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო ფასების ეფექტი 8.9 პროცენტი იყო. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 10 თვეში ადგილობრივი ექსპორტი 1.3 პროცენტით გაიზარდა, რაც დაკავშირებული იყო როგორც თურქეთთან და აშშ-სთან ექსპორტის ზრდასთან, ასევე - ბულგარეთთან და ესპანეთთან ექსპორტის შემცირებასთან. 2023 წლის გამოწვევების მიუხედავად, 2024 წლიდან მოსალოდნელია საექსპორტო მიმართულებების ცვლილება, რაც გამოიწვევს ამ პროდუქციის ექსპორტის ზრდას სხვადასხვა ქვეყნებში.

როგორც მცირე ღია ეკონომიკა, საერთაშორისო ვაჭრობა გადამწყვეტ როლს თამაშობს საქართველოს მიმდინარე განვითარებაში და ვაჭრობის ღიაობის ხარისხი ზუსტად ასახავს ამ კომპონენტის პროგრესს. 2010 წელს 82 პროცენტიდან დაწყებული, 2019 წელს ის 117 პროცენტამდე გაიზარდა. 2020 წელს პანდემიის გამო შეფერხების მიუხედავად, ზრდა აღინიშნა და საერთაშორისო ვაჭრობა კვლავ ზრდად ტრაექტორიაზეა.

გ) ალტერნატიული სცენარები და რისკები

რეგიონსა და მთლიანად მსოფლიოში არსებული ეკონომიკური და გეოპოლიტიკური გაურკვევლობის გათვალისწინებით, საბაზისო სცენართან ერთად ასევე შემუშავებულია „ოპტიმისტური“ და „პესიმისტური“ სცენარები. ალტერნატიული სცენარები ერთმანეთისგან განსხვავდება ქვემოთ აღწერილი რისკების მოხდენის ალბათობებთან დაკავშირებული დაშვებებით. იმის მიუხედავად, რომ საბაზისო სცენარის მოხდენის ალბათობა ყველაზე მაღალია, არსებობს გარკვეული რისკები, რაც ასევე გასათვალისწინებელია ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

რისკების შეფასება მნიშვნელოვანია, ვინაიდან კვლავ გრძელდება გაურკვევლობა რუსეთ-უკრაინის ომიდან და რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველო კი ეკონომიკურად დამოკიდებულია რუსეთსა და უკრაინაზე, მათ შორის ვაჭრობის, ფულადი გზავნილებისა და ტურიზმის მიმართულებით. მეორეს მხრივ კი, 2022 წელს ფასებზე არსებობდა ზეწოლა, რაც საერთაშორისო ბაზარზე ნავთობის ფასების ზრდით იყო გამოწვეული, რაც ასევე გასათვალისწინებელი ფაქტორია. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტორებმა შეიძლება როგორც პირდაპირ,

ასევე - არაპირდაპირ გაზარდოს სხვა რისკების მატერიალიზაციის ალბათობა. აღნიშნული რისკ-ფაქტორების ალბათობების ანალიზი საფუძვლად უდევს ფინანსთა სამინისტროს ეკონომიკური პროგნოზირების მოდელის დაშვებებს, რის საფუძველზეც ხდება ალტერნატიული სცენარების შემუშავება.

აღნიშნულ რისკებს მიეკუთვნება: ფულადი გზავნილების შემცირება; რეგიონული რისკების გაგრძელება; გლობალური ეკონომიკური აქტივობისა და სავაჭრო ბრუნვის შემცირება;

ფულადი შემოდინების შემცირება

პანდემიის დასრულების, რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრისა და ომის დაწყების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოში როგორც ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, ასევე გადმორიცხული ფულადი თანხები. აღნიშნულ პერიოდში ტურიზმიდან შემოსავლის ზრდის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელარუსიდან შემოსული მოსახლეობა და მათ მიერ გაწეული ხარჯები. ამასთან, აღნიშნულ ფაქტს ასევე უკავშირდებოდა 2022 წელს და 2023 წლის დასაწყისში გაზრდილი ფულადი გზავნილებისა და ჩარიცხვების მაჩვენებელი. რისკის მატერიალიზაციის სცენარში აღნიშნული ტენდენცია მუდმივად არ გაგრძელდება და საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია მისი კვლავ შემცირება, როგორც ეს დაფიქსირდა 2023 წლის მეორე ნახევრიდან. შემცირება ნაწილობრივ გამოწვეული იქნება როგორც შემოსული მიგრანტების ქვეყნიდან კვლავ გადინებით, ასევე მათი შემოსავლების მატერიალური შემცირებით. ამასთან, რუსეთში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისისა და მსოფლიო ეკონომიკური ტემპების შემცირება ზრდის ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირების რისკსაც. ვინაიდან რუსეთიდან ფულადი ჩარიცხვების წილი მთლიან ფულად გზავნილებში მაღალია, რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სანქციები, ნავთობის ფასის ვარდნა, ინფლაცია, რუბლის მერყეობა და გაუფასურება, რაც ამცირებს მათ ეკონომიკურ აქტივობას, გამოიწვევს რუსეთიდან განხორციელებული ფულადი გზავნილების მოცულობის შემცირებას. მიხედვად იმისა რომ რუსეთის გამორიცხვით გზავნილების შემოდინების დადებითი ტემპი ნარჩუნდება, გეოპოლიტიკური დაძაბულობის ფონზე შესაძლოა სხვა ქვეყნებიდან გადმორიცხვების შემცირებაც. შემცირებული ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები და ფულადი გზავნილები კი უარყოფითად აისახება გაცვლით კუროსის სტაბილურობაზე, ერთობლივ მოთხოვნაზე და შესაბამისად მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე. ამასთან, აღსანიშნავია ტურიზმის პოტენციური დადებითი რისკიც, რაც ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების მოსალოდნელზე მეტ ზრდას გულისხმობს და გარკვეულწილად დააკომპენსირებს ფულადი გზავნილების შემცირების რისკებს. გასათვალისწინებელია, რომ უცხოეული ვიზიტორების რაოდენობის აღდგენა 2023 წლისათვის 2019 წლის დონესთან შედარებით მხოლოდ 76 პროცენტი იყო, თუმცა მოსალოდნელია მისი თითქმის სრული აღდგენა 2024 წელს (3 კვარტლისთვის ეს მაჩვენებელი 86 პროცენტს შეადგენს), რაც შესაბამისად ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების ზრდასაც გამოიწვევს და ფულადი შემოდინების შემცირებიდან გამოწვეული უარყოფითი რისკი ნაწილობრივ დაბალანსებული იქნება. ამ კუთხით აღსანიშნავია აზერბაიჯანის მიერ სახმელეთო საზღვრის გახსნის პერსპექტივაც და მისი შესაძლო გავლენის პოტენციალი, რადგან პანდემიამდელ პერიოდში 2019 წელს აზერბაიჯანი პირველ ადგილზე იყო ვიზიტორების რაოდენობის მიხედვით და შეადგენდა დაახლოებით მთლიანი ვიზიტორების 20%-ს, მაშინ როდესაც 2024 წლის პირველი 3 კვარტლის ეს მაჩვენებელი 5%-ზე ნაკლებია.

რეგიონული რისკების გაგრძელება

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ჩვენი რეგიონი არ არის მოკლებული შოკებს. პანდემიამდე პერიოდში ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის რისკები ეტაპობრივად მძიმდებოდა რეგიონში და მათი მატერიალიზაცია პანდემიის გარეშე იყო მოსალოდნელი. ამასთან, პანდემიის შესუსტების პარალელურად რეგიონული რისკების რეალიზაციის ალბათობა უფრო გაიზარდა. 2022 წელს რუსეთის სრულმასშტაბიანი ომის წამოწყებამ უკრაინის წინააღმდეგ კიდევ უფრო დაამძიმა ვითარება მოწყვლადი ეკონომიკებისთვის, რაც გაზარდა ჯერ კიდევ არარეალიზებული რისკების ალბათობა. ამასთან, რუსეთის მიმართ დაწესებული სხვადასხვა ტიპის სანქციები რუსეთთან ეკონომიკურად დაკავშირებულ ქვეყნებზეც ახდენს გავლენას. რეგიონში არსებული დამაბულობა კიდევ უფრო ართულებს საქართველოს ეკონომიკაზე მკაფიო და ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთების საშუალებას და შესაბამისი მოლოდინების ჩამოყალიბებას. საქართველოს ეკონომიკა დამოკიდებულია როგორც რუსეთზე, ასევე - უკრაინაზე ექსპორტ-იმპორტის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით, რაც კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის საქართველოს, აღნიშნულ ქვეყნებს შორის მიმდინარე მდგომარეობის გამწვავების მიმართ. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ საქართველო რუსეთზე გარდა პირდაპირი გავლენისა, არაპირდაპირი გზითაც არის დამოკიდებული, რაც გულისხმობს იმას, რომ რუსეთში მიმდინარე სიტუაცია რეგიონის დანარჩენ ქვეყნებზეც ახდენს გავლენას (ხშირ შემთხვევაში უფრო მეტად ვიდრე საქართველოზე), მათ კი ამ არაპირდაპირი გზით საქართველოზე შეიძლება მოახდინონ უარყოფითი გავლენა. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ არსებული გეოპოლიტიკური მდგომარეობისა და რეგიონში არსებული რისკების უარყოფითმა ეფექტმა კვლავ მოახდინოს გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

საშუალოვადიანი პერიოდისთვის, ჩვენი რეგიონიდან მომდინარე ეკონომიკური რისკები ძირითადად შემდეგი გარემოებებით არის განპირობებული:

1. შიდა პოლიტიკური პრობლემები და არამდგრადობა;
2. მნიშვნელოვანი სასურსათო ნედლეულის დეფიციტი;
3. მთელი რიგი ქვეყნების მაღალი დამოკიდებულობა ნავთობსა და სხვა ნედლეულ პროდუქტებზე;
4. ეკონომიკების დივერსიფიკაციის დაბალი დონე;
5. სანქციებით გამოწვეული გრძელვადიანი უარყოფითი ეფექტები;
6. გაყინული კონფლიქტები.

რეგიონიდან მომავალი რისკები კვლავაც იქნება ჩვენი ეკონომიკის მთავარი პრობლემა, მისი რეალიზაცია კი გააძლიერებს ინფლაციურ წნეხს. ეკონომიკის მოწყვლადობის კონტროლი ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური სირთულეების შესამცირებლად.

გლობალური ეკონომიკური აქტივობისა და სავაჭრო ბრუნვის შემცირება

მომდინარე კრიზისის ფონზე მნიშვნელოვანია გლობალური გეოპოლიტიკური რისკების გაანალიზება. მოსალოდნელია, რომ როგორც რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრა, ასევე - ბოლო პერიოდში დაფიქსირებული მზარდი ინფლაცია და მზარდი საპროცენტო განაკვეთები მსოფლიოში, ეკონომიკის აღდგენის პროცესებს საკმაოდ შეაფერხებს. უარყოფითი გავლენა ყველაზე მძიმე იქნება

ევროპისა და ცენტრალური აზიისთვის, სადაც მოსალოდნელია ეკონომიკური ზრდის შენელება. მიუხედავად 2023 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაციის დონის შემცირებისა, გამომდინარე იქედან, რომ რუსეთი და უკრაინა სოფლის მეურნეობის საქონლის ძირითადი ექსპორტიორები არიან, შესაძლოა კვლავ გაიზარდოს სურსათზე გლობალური ფასები, განსაკუთრებით არსებული მდგომარეობის გამწვავების შემთხვევაში, რაც შესაძლოა ომის ფონზე ტრანსპორტირების შეფერხებისგანაც იყოს განპირობებული. აღნიშნული რისკის რეალიზაცია გამოიწვევს მიწოდების შეფერხებას და გავლენას მოახდენს ფასების დონეზე. გარდა ამისა, სავაჭრო პირობების გაუარესება და სურსათის პროდუქტების იმპორტის გაძვირება ზრდის სოციალური დაუცველობის რისკებს და გადაავადებს ეკონომიკის აღდგენის პერსპექტივებს. ამასთან პანდემიის შემდგომ მსოფლიო ეკონომიკებმა შედეგად მიიღეს მაღალი საგარეო ვალი და გაზრდილი საპროცენტო ხარჯები, რაც დამატებით წნეხად აწევა ფისკალურ ბალანსს. შესაბამისად, მოსალოდნელია ფისკალური კონსოლიდაციის განხორციელება, რაც არა მხოლოდ გადასახადების ზრდაში, არამედ - ხარჯების შემცირებაშიც აისახება და შესაძლოა შეანელოს აღნიშნულ ქვეყნებში ეკონომიკური გაუმჯობესების პროცესი.

აღსანიშნავია მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, რაც ზრდის მსოფლიო სავაჭრო ბრუნვის ლიდერი ქვეყნების მხრიდან ტარიფების შემოღებისა და საერთაშორისო ვაჭრობის სხვა შემზღუდველი ღონისძიებების გატარების რისკებს. აღნიშნული მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობისათვის. გარდა ამისა, საქართველოს პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობის შენელებამ შესაძლოა ასევე ვაჭრობის შემცირება გამოიწვიოს და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის შემცირებას ჰქონდეს ადგილი.

ზემოთ ჩამოთვლილი საშუალოვადიანი პერიოდის რისკები მოხდენისა და გავლენის შედარებითი ალბათობების მიხედვით შემდეგნაირად შეიძლება წარმოვაჩინოთ ე.წ Heat Map-ის სახით:

ცხრილი 3. რისკების მოხდენისა და გავლენის ალბათობები

		მოხდენის ალბათობა		
გავლენის ეფექტი		დაბალი	საშუალო	მაღალი
	დაბალი			
	საშუალო		ფულადი შემოღინების შემცირება; გლობალური ეკონომიკური აქტივობისა და სავაჭრო ბრუნვის შემცირება	
	მაღალი	რეგიონული რისკების გაგრძელება		


წყარო: ფინანსთა სამინისტრო

პოზიტიური სცენარის მიხედვით, მეოთხე თავში აღნიშნული გეოპოლიტიკური და რეგიონული რისკები დამატებით არ მატერიალიზდება. ამასთან, გაძლიერდება გაუმჯობესებული ეკონომიკური აქტივობა და ტურიზმი გააგრძელებს ზრდის აღნიშნულ ტემპს, აგრეთვე ფულადი გზავნილები მოსალოდნელზე მეტად გაიზრდება და დადებითი ეფექტი ექნება. ასეთ სცენარში, 2024 წლის ეკონომიკური ზრდა 9.7%-ს შეადგენს, ხოლო 2025 წელს 7.4%-იანი ზრდა დაფიქსირდება. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, 2025-2028 წლებში ზრდა საშუალოდ 6.8%-ს შეადგენს.

ნეგატიური სცენარი გულისხმობს რისკების მაღალი მასშტაბით/ალბათობით რეალიზებას. ნეგატიური სცენარი ითვალისწინებს საბაზისოსთან შედარებით ერთბლივი მოთხოვნის უფრო ნაკლებ ზრდას და აგრეთვე მეოთხე თავში განხილული რისკების უფრო მეტი სიმძლავრით მატერიალიზაციას. ამასთან, ტურიზმზე მოთხოვნა ნაკლებად გაუმჯობესდება მომდევნო წლებშიც და შემცირდება საერთაშორისო ფულადი შემოდინებები. 2024 წელს ეკონომიკური ზრდა 7.6%-ის დონეზეა პროგნოზირებული, ხოლო 2025 წელს - 3.2%-ზე. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, 2025-2028 წლებში ეკონომიკა საშუალოდ მხოლოდ 2.6%-ით იზრდება.

აღნიშნული სცენარი ითვალისწინებს, რომ პოზიტიური ეკონომიკური აქტივობა მოსალოდნელზე დაბალი ტემპით გაგრძელდება და ეყრდნობა დაშვებას, რომ ნაკლებად გაზრდილი ფულადი გზავნილებისა და ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის გაუმჯობესებულ მაჩვენებლებს მოსალოდნელზე ნაკლები დადებითი ეფექტი ექნება. ამასთან, ნეგატიური სცენარის მიხედვით საბაზისოსთან შედარებით მოსალოდნელია რომ ბიუჯეტის შემოსავლები უფრო ნაკლებად გაიზარდოს, რაც გააუარესებს საოპერაციო ბალანსს და ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი იქნება 2.4%-იან ნიშნულზე 2024 წელს, ხოლო 2028 წლისთვის 3.0%-მდე გაიზრდება.

გრაფიკი 15. რეალური მშპ საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარების მიხედვით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები ისეა შედგენილი, რომ ოპტიმისტური ასახავს პოზიტიურ შოკს მშპ-სა და ინფლაციაზე, ხოლო პესიმისტური ნეგატიურ შოკებს ითვალისწინებს. შესაბამისად, ეს აჩვენებს, რომ ალტერნატიული სცენარები მოთხოვნის შოკების მიხედვით იცვლება. მაგალითად, საბაზისო სცენარში მოსალოდნელია, რომ მშპ 2024 წელს იქნება 9.0 პროცენტი და ინფლაცია იქნება 1.5 პროცენტი. მშპ ოპტიმისტური სცენარით გაიზრდება 9.7 პროცენტით და ინფლაცია იქნება 1.5

პროცენტი, ხოლო პესიმისტური სცენარით მშპ გაიზრდება 7.6 პროცენტით, ხოლო ინფლაცია იქნება 0.5 პროცენტი. ინფლაცია მიზნობრივ დონეზე დაბლაა სამივე სცენარში 2024 წელს.

რაც შეეხება ძირითად მაჩვენებლებს, როგორიცაა ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი, დაგეგმილია მისი 3 პროცენტზე დაბალ ნიშნულზე მიღწევა, 2.4 პროცენტი 2024 წელს და 2.6 პროცენტი 2028 წელს. ოპტიმისტურ სცენარში ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი პროგნოზირებულია 2.1 პროცენტზე, რაც 2028 წლისთვის 0.1 პროცენტიანი პროფიციტია პროგნოზირებული. ხოლო პესიმისტურ სცენარში, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი პროცენტზეა 2.4 პროგნოზირებული, რაც 2028 წლისთვის 3.0 პროცენტიან ნიშნულზე იქნება. აღსანიშნავია, რომ ალტერნატიულ სცენარებშიც ბიუჯეტის დეფიციტი 3 პროცენტზე ნაკლებია, რაც აჩვენებს მთავრობის მიერ ფისკალური წესების შესრულებისადმი მზადყოფნას. საშუალოვადიან პერიოდშიც მოსალოდნელია, რომ ბიუჯეტის დეფიციტი 3 პროცენტის ფარგლებში ან მასზე ნაკლები იქნება.

მთავრობის ვალი მოსალოდნელია, რომ შემცირდეს 36.8 პროცენტიდან 34.4 პროცენტამდე 2024-2028 წლებში, საბაზისო სცენარის მიხედვით. ოპტიმისტური სცენარით, ვალი შემცირდება 36.4 პროცენტიდან 31.0 პროცენტამდე, იგივე პერიოდის განმავლობაში, ხოლო პესიმისტური სცენარით ვალს აღმავალი ტრენდი ექნება და 37.4 პროცენტიდან 40.6 პროცენტამდე გაიზრდება.

4. ფისკალური ჩარჩო

4.1. პოლიტიკის სტრატეგია და საშუალოვადიანი მიზნები

ფისკალური მიზნები

ძირითადი ფისკალური ამოცანები და მიზნები ჩამოყალიბებულია საშუალოვადიან ფისკალურ დოკუმენტში, როგორიცაა ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი და წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი, რომელიც შემუშავებულია სხვადასხვა სამთავრობო უწყების (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და სხვა სამინისტროები, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია), საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს პარლამენტის აქტიური თანამშრომლობით. აღნიშნულ დოკუმენტებს საფუძვლად უდევს გასული და მიმდინარე წლების გლობალური, რეგიონული და ქვეყნისთვის სპეციფიკური მაკროეკონომიკური და ფისკალური ინდიკატორები. საშუალოვადიანი ფისკალური ჩარჩო (ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი - BDD) ყოველწლიურად განახლებადია და მოიცავს ინფორმაციას მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების აგრეგირებულ დონეზე. ასევე, საქართველოს სამინისტროებისა და სხვა მხარჯავი დაწესებულებების მიერ ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების პროგნოზებს საშუალოვადიან პერიოდში, რომელიც როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პაკეტის შემადგენელი ნაწილი, წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

ფისკალური პოლიტიკის ამოცანები განისაზღვრება თავისუფალი ფისკალური რესურსებიდან გამომდინარე, მაკრო-ფისკალური ანალიზის და სხვადასხვა სექტორში საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით.

საშუალოვადიანი დაგეგმვის ფისკალური ჩარჩოს დანერგვა დაიწყო 2005 წლიდან ქვეყნის სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შესრულების მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საშუალოვადიანი (დასაგეგმი წელი და შემდგომი 3 წელი) პროგნოზების მომზადებით.

ფისკალური პოლიტიკის ამოცანების შეზღუდვები დაწესებულია ფისკალური წესებით, რომელიც დადგენილია „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით (ე.წ. თავისუფლების აქტი). არსებული საშუალოვადიან პერიოდში საქართველოს მთავრობა ითანხმებს ფისკალური პოლიტიკის მიზნებს (ბიუჯეტის დეფიციტის და მთავრობის ვალის პარამეტრებს), მაკროეკონომიკური და ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების მიზნით და განსაზღვრავს ხარჯვის და შემოსავლების პოლიტიკის დაგეგმვის ფარგლებში გაფართოების და კონსოლიდაციის საჭიროებებს.

საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი სტრატეგია ითვალისწინებს ფისკალურ პოლიტიკას, რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. ფისკალური პოლიტიკის ამოცანებია:

- ინვესტიციების მიმართვა ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მოსახლეობის დასაქმებისათვის, ამასთანავე ისეთი პრიორიტეტული სფეროების დაფინანსება, როგორიცაა საპენსიო უზრუნველყოფის, სოციალური, ჯანდაცვის, განათლების და სოფლის მეურნეობის მიმართულებები;
- ბიუჯეტის დეფიციტის და მთავრობის ვალის ნიშნულის ისეთი მოცულობის ფარგლებში შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი სრულყოფა ეფექტურობის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

ზემოაღნიშნული სტრატეგიული ფისკალური ამოცანები ხაზს უსვამს საქართველოს მთავრობის ნებას უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, შეინარჩუნოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა და მოახდინოს ძირითად სექტორებზე რესურსების სათანადო გადანაწილება მოქალაქეების კეთილდღეობის მისაღწევად და ქვეყნის განვითარებისთვის.

4.2. 2024 წლის ბიუჯეტის შესრულება

პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში პროგნოზირებულთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები იყო. 2021-2023 წლებში ეკონომიკური პარამეტრები ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა და რეალური ეკონომიკური ზრდის სამი წლის ფაქტიურმა საშუალო მაჩვენებელმა 9,8% შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის შესაბამისად ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი, 2020 წელს არსებული 49,8 მლრდ ლარიდან 2023 წლის ბოლოსთვის 80,9 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა, პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების ზრდის მიუხედავად, შესაძლებელი გახადა განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ფისკალური

კონსოლიდაცია და შედეგად შემცირებულიყო მთავრობის ვალის მაჩვენებელი, კერძოდ 2023 წლის ბოლოსთვის ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი 2020 წელს არსებული მშპ-ს 9,3%-დან შემცირდა მშპ-ს 2,2%-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი 2020 წლის 60,2%-იდან 39,0% დაბალ ნიშნულამდე შემცირდა.

მსგავსი ფისკალური კონსოლიდაციის შემდგომ, 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას დღის წესრიგში აღარ იდგა დამატებითი ფისკალური კონსოლიდაცია, შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვისას შენარჩუნდა ბიუჯეტის დაბალი დეფიციტი და რესურსები მაქსიმალურად მიიმართა პრიორიტეტული სფეროების დასაფინანსებლად.

ისევე როგორც გასულ წლებში, მიმდინარე წელსაც ეკონომიკური ტენდენციები გაცილებით მაღალი იყო ვიდრე ბიუჯეტის დაგეგმვის დროს იყო პროგნოზირებული. შესაბამისად რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გადახედვა პირველად 5 თვის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა და განისაზღვრა 6%-ის ოდენობით. ამავე პერიოდში განხორციელდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზიც და გამოიკვეთა დამატებითი საჭიროებები, რომელთა ჯამური მოცულობა 600 მლნ ლარს აღწევდა.

რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შემდგომი გადახედვა განხორციელდა 2025 წლის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის მომზადების დროს და განისაზღვრა 8,2%-ის ოდენობით. საბოლოოდ, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, 2024 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებები დაეფუძნა განახლებულ პროგნოზებს და კერძოდ: მშპ რეალური ზრდის პროგნოზი - 9,0%; მშპ-ის დეფლატორი - 3,1%; საშუალო ინფლაციის მაჩვენებელი - 1,0%; ნომინალური მშპ- 90 895,2 მლნ ლარი; მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 9 027,3 აშშ დოლარი; ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები - 23 260,0 მლნ ლარი; ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი - 29 980,0 მლნ ლარი; ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი („ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესის შესაბამისი) - მშპ-ის 2,4%⁴; მთავრობის ვალი - მშპ-ს 36,8%.

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების გეგმიური (თავდაპირველი გეგმა) მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდა 1 218 მლნ ლარით და განისაზღვრება 25 616,0 მლნ ლარის ოდენობით, (2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 3 527 მლნ ლარით), მათ შორის: **საგადასახადო შემოსავლები** ჯამში გაიზრდა 1 207,0 მლნ ლარით და 23 260,0 მლნ ლარს შეადგინა, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის წილი შეადგენს 20 190,0 მლნ ლარს (იზრდება 1 075,0 მლნ ლარით), ხოლო ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების წილი 3 070,0 მლნ ლარს (იზრდება 132,0 მლნ ლარით); **გრანტები და სხვა შემოსავლები** ჯამურად შეადგენს 2 356,0 მლნ ლარს (იზრდება 11,0 მლნ ლარით); არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) მაჩვენებელი იზრდება 150,0 მლნ ლარით და 500,0 მლნ ლარს შეადგენს; ფინანსური აქტივების კლების (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი შეადგენს 230,0 მლნ ლარს; ვალდებულებების ზრდის მაჩვენებელი

⁴ ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული მეთოდოლოგიის შესაბამისად გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 2 299,0 მლნ ლარს, რაც მშპ-ს 2,5%-ია.

შეადგენს 3 370,0 მლნ ლარს. ზემოაღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებით ნაერთი ბიუჯეტის ჯამური შემოსულობები შეადგენს 29 716,0 მლნ ლარს.

ზემოაღნიშნული ცვლილებებით საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების ჯამური მაჩვენებელი გაიზარდა 1 126,5 მლნ ლარით და შეადგენს 25 696,0 მლნ ლარს (წინა წელთან შედარებით გაზრდილია 3 016 მლნ ლარით), მათ შორის:

- **შემოსავლები - 21 726,0 მლნ ლარი** (დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 995,0 მლნ ლარით);
 - **საგადასახადო შემოსავლები** შეადგენს 20 190,0 მლნ ლარს, რაც დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში გაზრდილია 1 075,0 მლნ ლარით, მათ შორის:
 - ✓ **საშემოსავლო გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 6 598,9 მლნ ლარით (იზრდება 253,8 მლნ ლარით);
 - ✓ **მოგების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3 070,0 მლნ ლარით (იზრდება 380,0 მლნ ლარით);
 - ✓ **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 541,1 მლნ ლარით (იზრდება 152,8 მლნ ლარით);
 - ✓ **აქციზის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2 380,0 მლნ ლარის ოდენობით (იზრდება 5,0 მლნ ლარით);
 - ✓ **იმპორტის** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 135,0 მლნ ლარით (მცირდება 15,0 მლნ ლარით);
 - ✓ **სხვა გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 465,0 მლნ ლარის ოდენობით (მცირდება 298,4 მლნ ლარით);
 - **სხვა შემოსავლების** პროგნოზი მცირდება 80,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 1 270,0 მლნ ლარის ოდენობით, (შემცირებულია ეროვნული ბანკის 2023 წლის მოგებიდან მიღებული სახსრები);
 - **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები უცვლელია და განისაზღვრება 266,0 მლნ ლარის ოდენობით;
- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა იზრდება 100,0 მლნ ლარით და შეადგენს 300,0 მლნ ლარს;
- **ფინანსური აქტივების კლების** (სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი უცვლელია და შეადგენს 300,0 მლნ ლარს;
- **ვალდებულებების ზრდის** სახით მისაღები განისაზღვრება 3 370,0 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:
 - **საშინაო ფასიანი ქაღალდების წმინდა გამოშვების** მაჩვენებელი არ იცვლება და განსაზღვრულია 1 500,0 მლნ ლარით;

- საინვესტიციო კრედიტების მაჩვენებელი მცირდება 98,5 მლნ ლარით და შეადგენს 1 290,0 მლნ ლარს;
- საბიუჯეტო დახმარების სახით მისაღები კრედიტების მაჩვენებელი იზრდება 130,0 მლნ ლარით და შეადგენს 580,0 მლნ ლარს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები) წარმოდგენილი ცვლილებით სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები ჯამურად შეადგენს 25 930,4 მლნ ლარს, რაც დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 900,0 მლნ ლარით, ხოლო წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით - 3 580 მლნ ლარით, მათ შორის

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები გაიზრდა 240,0 მლნ ლარით და განისაზღვრა 8 069,2 მლნ ლარით (2023 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 960,7 მლნ ლარით). დამატებითი თანხა გათვალისწინებულია:

- ✓ 35,0 მლნ ლარი მიიმართება პენსიებისა და კომპენსაციების დასაფინანსებლად. აღსანიშნავია, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდში პენსიის ბენეფიციართა რაოდენობა შეადგენდა 835 ათასამდე ბენეფიციარს, შესაბამისად ბიუჯეტი გაანგარიშებული იყო დაახლოებით 850 ათას ბენეფიციარზე, თუმცა ოქტომბრის მდგომარეობით ბენეფიციართა რაოდენობა აჭარბებს 860 ათასს. შესაბამისად, წლის ბოლომდე პენსიების შეუფერხებლად დასაფინანსებლად გამოიყოფა დამატებითი ასიგნებები;
- ✓ 20,0 მლნ ლარი მიიმართება მიზნობრივი სოციალური ჯგუფების დახმარებების დასაფინანსებლად;
- ✓ 195,0 მლნ დამატებით გამოყოფილია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის დასაფინანსებლად;
- ✓ ათვისების პროგნოზის გათვალისწინებით 10,0 მლნ ლარით მცირდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება გაიზრდა 37,0 მლნ ლარით და შეადგენს 2 545,0 მლნ ლარს (2023 წლის გეგმასთან შედარებით გაზრდილია 467,3 მლნ ლარით). მათ შორის 65,0 მლნ ლარით იზრდება საჯარო სკოლების დაფინანსება, ხოლო 28,0 მლნ ლარით მცირდება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტების ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები;

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება გაიზრდა 34,5 მლნ ლარით და განისაზღვრება 506,5 მლნ ლარით. დამატებითი თანხები ძირითადად მიიმართება საერთაშორისო ტურნირებში მიღწეული წარმატებების შესაბამისად სპორტსმენებისათვის ჯილდოების ანაზღაურებით, ასევე სხვადასხვა ეროვნული ნაკრებების საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის ხარჯების დაფინანსებით;

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებები ჯამურად შემცირდა 18,7 მლნ ლარით და განისაზღვრება 782,3 მლნ ლარის ოდენობით. ამასთან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში ასიგნებები გაზრდილია 10,8 მლნ ლარით (ამავდროულად ხორციელდება პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება), ხოლო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტის ფარგლებში გათვალისწინებული ასიგნებები მცირდება 29,5 მლნ ლარით;

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასიგნებები გაიზარდა 50,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 738,0 მლნ ლარის ოდენობით. დამატებითი თანხები მიიმართება რთველის პერიოდში გაზრდილი მოსავლის შესაბამისად დამატებითი ხარჯების, ასევე შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამის ფარგლებში გაზრდილი სესხების შესაბამისი საპროცენტო ხარჯების სუბსიდირებისთვის.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებები გაიზარდა 347,0 მლნ ლარით და განისაზღვრება 3 747,7 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის დაფინანსება გაიზარდა 84,0 მლნ ლარით და შეადგენს 2 017,6 მლნ ლარს;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დამატებით მიიმართა 10,2 მლნ ლარი და შეადგენს 325,8 მლნ ლარს;
- ✓ წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის დაფინანსება გაიზარდა 275,0 მლნ ლარით და შეადგენს 825,0 მლნ ლარს, მათ შორის დამატებით 200,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია 2025 წლის განმავლობაში სხვადასხვა მუნიციპალიტეტში წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, ხოლო 75,0 მლნ ლარი მიიმართება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან გამოყოფილი კრედიტების მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად;
- ✓ სხვა დანარჩენი მიმართულებები ჯამურად შემცირდა 22,2 მლნ ლარით;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ასიგნებები გაიზარდა 20,0 მლნ ლარით პოლიციელთა შრომის ანაზღაურების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით და შეადგენს 1 280,0 მლნ ლარს;

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები გაიზარდა 210,0 მლნ ლარით და შეადგენს 1 590,0 მლნ ლარს. დამატებითი თანხებიდან:

- ✓ 139,0 მლნ ლარი მიიმართება თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიმართულებით;
- ✓ ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებაზე გამოიყოფა დამატებით 20,0 მლნ ლარი;
- ✓ შრომის ანაზღაურების (მ.შ. ჯარისკაცების მატერიალური წახალისების) სრულყოფილად დაფინანსების მიზნით დამატებით გამოიყოფა 35,7 მლნ ლარი;
- ✓ სხვა მიმდინარე და ლოჯისტიკური ხარჯებისთვის გამოყოფილია 15,3 მლნ ლარი;

საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში:

- ✓ სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვის გამოყოფილი ასიგნებები, არსებული ეკონომიის გათვალისწინებით (შემცირებული საპროცენტო განაკვეთების და კურსის გამყარების ეფექტი) მცირდება 175,0 მლნ ლარის ოდენობით;
- ✓ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის მოცულობა გაიზარდა 160,0 მლნ ლარით და შეადგინა 740 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება როგორც დაწყებული ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები, ასევე სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მომხდარი სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო სამუშაოები.
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერებმა შეადგინა 571 მლნ ლარი;
- ✓ რიგი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტებში არსებული დეფიციტების დასაფინანსებლად გამოიყო 15,0 მლნ ლარი;
- ✓ მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი შეადგენს 20 მლნ ლარს;
- ✓ დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები მცირდება 31,0 მლნ ლარით, რაც დაკავშირებულია რიგი პროექტების ფარგლებში თანხების ჩამორიცხვის ვადების ცვლილებასთან.

4.3. ERP-ს წარდგენის წლის ბიუჯეტის გეგმა - 2025

ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები

2025 წლისათვის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6.0%-ს წარმოადგენს. პროგნოზირებული მშპ ერთ სულ მოსახლეზე უახლოვდება 10,000 დოლარიან ნიშნულს და იგი 9 750 აშშ დოლარს უტოლდება. 2024 წლის ინფლაციის დაბალი საბაზისო ეფექტის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ 2025 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაცია აღემატებოდეს მიზნობრივ მაჩვენებელს და ამის გათვალისწინებით წლიური საშუალო ინფლაციის პროგნოზი კი 3.2%-ს შეადგენს. ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი კვლავ 2.5% ის ფარგლებშია დაგეგმილი, ხოლო ვალის მშპ-სთან ფარდობა მოსალოდნელია, რომ 35.9%-ს შეადგენს (PPP ვალდებულებების ჩათვლით, მშპ-ს 0.03%)

ზემოაღნიშნული ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით 2025 წლისათვის ერთიანი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი (გადასახადები, გრანტების, სხვა შემოსავლები და პრივატიზაციის შემოსავლები) 32.2 მილიარდ ლარს შეადგენს. შემოსავლების ძირითადი წყარო საგადასახადო შემოსავლებია, რომელიც 2024 წელთან შედარებით 2.0 მილიარდი ლარით იზრდება და 25.3 მილიარდ ლარს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ 2025 წელს გაგრძელდება წინა წლების ტენდენცია, წინა წელთან შედარებით გრანტების მუხლიდან შემოსავლების ნაკლები მობილიზება მოხდება და იგი 140 მლნ ლარს შეადგენს. სხვა შემოსავლების მუხლიდან მოსალოდნელია, რომ მისი

თითქმის ყველა კომპონენტის ზრდა მოხდება და მისი მოცულობა 6.2 მლრდ ლარამდე გაიზრდება. რაც შეეხება პრივატიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, იგი 2024 წელთნ შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდება და 510 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით ნომინალური დეფიციტის მოცულობა 2025 წლისათვის -2,454 მლნ ლარს შეადგენს, რაც საპროგნოზო მშპ-ს 2.5%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წელს საბიუჯეტო შემოსავლებზე, გარდა არსებული მაკროეკონომიკური პარამეტრებისა, გარკვეული გავლენა ექნება ასევე დისკრეციული პოლიტიკის გარკვეულ მიმართულებებსაც:

- ✓ სახელმწიფო სექტორში გაზრდილ საბაზისო ხელფასს უმნიშვნელო დადებითი გავლენა კვლავ ექნება საშემოსავლო გადასახადზე;
- ✓ 2024 წელს მნიშვნელოვნად გაზრდილი მოგების გადასახადის (რომლის ზრდა, გარდა ეკონომიკური აქტივობით გამოწვეული ზრდისა, ასევე 2023 წელს შესული საკანონმდებლო ცვლილების ეფექტიანაც იყო გამოწვეული) და გადასახადის ადმინისტრირების თავისებურებებიდან⁵ გამომდინარე, მოსალოდნელია რომ ამ ეფექტის გამო, 2025 წლისათვის მოგების გადასახადიდან შემოსავლების ზრდის მაგივრად უმნიშვნელოდ შემცირდება. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ 2022 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, კომერციული ბანკების მიერ 2024 წელს ერთდროულად აისახა 2023 წლის გაზრდილი მოგების გადასახადი და 2024 წელს გადასახდელი საავანსო გადახდები, რაც ერთჯერადი ფაქტორი იყო და მისი შემოსვლა აღარ არის პროგნოზირებული 2025 წლის განმავლობაში.

ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით 2025 წელს:

- ✓ უქმდება სათამაშო აპარატების სალონის მოწყობიდან ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზებიდან გადასახდელი დივიდენდის 5%-იანი გადასახადი და მიღებული დასაბეგრი მოგება, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშოებში მონაწილეობის შედეგად სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზატორის დასაბეგრი მოგებისა, დაიბეგრება 20 პროცენტით, ნაცვლად 15 პროცენტისა. აღნიშნული ინიციატივის შედეგად მოსალოდნელია რომ მას მოგების გადასახადზე ექნება დადებითი 115 მლნ ლარიანი შედეგი.
- ✓ თამბაქოს გარკვეულ პროდუქციაზე აქციზის განაკვეთი იზრდება 15/20 თეთრით, რაც აქციზის გადასახადს გაზრდის დაახლოებით 85.0 მლნ ლარით
- ✓ მოწესრიგდა საშემოსავლო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობა და ამ სექტორში არსებული ის ფიზიკური პირები, რომლებიც რეალურად არიან დაქირავებულები და მცირე ბიზნესის სტატუსს იყენებენ, 1%-იანი განაკვეთის ნაცვლად დაიბეგრებიან 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით. აღნიშნული ცვლილება საშემოსავლო გადასახადს გაზრდის დაახლოებით 100 მლნ ლარამდე.

⁵ ე.წ ძველი სისტემით დაბეგრილი მოგების გადასახადი გადაიხდება წელიწადში ოთხჯერ, წინა წლის მოგების მოცულობიდან გამომდინარე და იგი კორექტირდება შემდეგ წელს.

მოგების გადასახადის კლების ეფექტს ნაწილობრივ აკომპესირებს სათამაშო ბიზნესის დაბეგვრის ცვლილების ეფექტი და 2025 წელს მოგების გადასახადის იგივე დონის შენარჩუნებაა მოსალოდნელი, თუმცა მშპ-სთან მისი ფარდობა მცირდება.

2025 წლის განმავლობაში არ იგეგმება სხვა დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რასაც შესაძლოა დამატებითი გავლენა ქონდეს საბიუჯეტო შემოსავლებზე.

ბიუჯეტის დეფიციტი და მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2025 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო განისაზღვრება 2 454,0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);
- 2025 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 35,9%-ია, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება (2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (წინასწარი მონაცემები)) – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.03%-ია, რაც მთავრობის ვალის პროცენტულ ჯამურ მაჩვენებელზე არ ახდენს გავლენას (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, მისი მოცულობა 2 475,0 მლნ ლარია და მშპ-ს 2,5%-ს შეადგენს.

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები (ასიგნებები)

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობა, ბიუჯეტის წინა წარდგენასთან შედარებით იზრდება 895,2 მლნ ლარით და შეადგენს 27 941,7 მლნ ლარს (2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით ასიგნებები იზრდება 2 911,3 მლნ ლარით).

სამინისტროების მიხედვით გათვალისწინებულია:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ასიგნებები განისაზღვრა 8 820,0 მლნ ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 990.9 მლნ ლარით, ხოლო წინა წარდგენასთან შედარებით იზრდება 120,0 მლნ ლარით. ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ **მოსახლეობის სოციალური დაცვა** - 6 353.5 მლნ ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 718,0 მლნ ლარით, მათ შორის:
 - საპენსიო უზრუნველყოფა - 4 498 მლნ ლარი (2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით გაზრდილია 568.0 მლნ ლარით) რაც გამოწვეულია, მათ შორის, საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს

კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პენსიის ზრდის ინდექსაციის წესის შესაბამისად, ეკონომიკურ პარამეტრებზე დაყრდნობით პენსიის გადაანგარიშებით. მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები პენსიონერებისთვის კანონით განსაზღვრული 20 პროცენტის დანამატების გათვალისწინებით, 70 წლამდე პირთა პენსია იქნება 420 ლარი, ხოლო 70 წლის და მეტი ასაკის პირთა პენსია 540 ლარი.

პენსიის ზრდის შესაბამისად იზრდება სახელმწიფო კომპენსაციების მიმღებ პირთა კომპენსაციის ოდენობები, რომელთა დაანგარიშება დაკავშირებულია სახელმწიფო პენსიის ოდენობაზე.

- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - 1 638,9 მლნ ლარი (გაზრდილია 119,9 მლნ ლარით);

აღნიშნული თანხის ფარგლებში, კანონმდებლობის შესაბამისად გათვალისწინებულია მკვეთრად გამოხატული და 18 წლამდე შშმ პირების ასევე დანარჩენი კატეგორიის შშმ პირთა სოციალური გასაცემლის ზრდა 35 ლარით, ასევე, გათვალისწინებულია 120 ათას სოციალურ სარეიტინგო ქულამდე მყოფი ოჯახების 16 წლამდე ბავშვების ყოველთვიური 200 ლარიანი დახმარების დაფინანსება;

- სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში - 113,0 მლნ ლარი. პენსიის ზრდის შესაბამისად იზრდება საპენსიო დანამატის მოცულობაც;
- სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის პროგრამის დაფინანსება იზრდება 18,7 მლნ ლარით და შეადგენს 95,0 მლნ ლარს.

- ამასთან, წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია, რომ 2025 წელს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პერსონალური ასისტენტის მომსახურებით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტებისთვის შესაბამისი თანხის გამოყოფას. ასევე, აღნიშნული კანონის საფუძველზე, შესაძლებელია „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის უფლებამოსილების დელეგირება.

- ✓ **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა** - 1 859,0 მლნ ლარი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსება შეადგენს 1 220,0 მლნ ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით 185,0 მლნ ლარით იზრდება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ხელფასების ზრდა;
- ✓ **სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა** - 100,0 მლნ ლარი;

- ✓ დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა - 112,5 მლნ ლარი, მათ შორის, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებულია 103,3 მლნ ლარი;
- ✓ იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობა - 268,0 მლნ ლარი.

განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 3 085,0 მლნ ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ასიგნებას აღემატება 577,0 მლნ ლარით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ სკოლამდელი და ზოგადი განათლება - 1 903,7 მლნ ლარი, რაც წინა წლის დამტკიცებულ ასიგნებასთან შედარებით გაზრდილია 328,7 მლნ ლარით. აღნიშნული თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია მიმდინარე წლის ივლისიდან, საჯარო სკოლების მასწავლებელთა გაზრდილი ანაზღაურების სრული წლით დაფინანსება.

ამავე პროგრამის ფარგლებში 75,0 მლნ ლარია გათვალისწინებულია საჯარო სკოლების კომპიუტერული ტექნიკითა და ლაბორატორიებით აღჭურვისათვის. ასევე გათვალისწინებულია მანდატურებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასების ზრდა;

- ✓ პროფესიული განათლება - 149,0 მლნ ლარი
- ✓ უმაღლესი განათლება - 171,3 მლნ ლარი;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - 86,1 მლნ ლარი;
- ✓ ინკლუზიური განათლება - 82,3 მლნ ლარი;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 538,1 მლნ ლარი. მათ შორის:
 - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 467,7 მლნ ლარზე მეტი (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულ ასიგნებებთან ერთად გამოყოფილია 600,0 მლნ ლარზე მეტი);
 - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 66,0 მლნ ლარი (მათ შორის, გათვალისწინებულია „პროფესიული განათლება I (KFW) პროგრამის და თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმების სექტორის განვითარების პროგრამისთვის - პროექტი (ADB) ფარგლებში განსაზღვრული სახსრები);
 - უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება - 30,0 მლნ ლარი.
- ✓ ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიმართულებით გამოყოფილია 13,8 მლნ ლარი;

კულტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 297,6 მლნ ლარით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 147,1 მლნ ლარი;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა - 61,7 მლნ ლარამდე;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება - 50,0 მლნ ლარი;
- ✓ სახელოვნებო დაწესებულებების ხელშეწყობა - 9,1 მლნ ლარი;
- ✓ სახელოვნებო სფეროში უმაღლესი განათლება - 20,2 მლნ ლარი;
- ✓ სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და ლაურეატების სტიპენდიები და სოციალური დახმარება - 1,0 მლნ ლარი.

სპორტის სამინისტროს დაფინანსება დაფინანსება განისაზღვრა 298,4 მლნ ლარით, მათ შორის თანხები ძირითადად მიიმართება შემდეგი პროგრამების განხორციელებაზე:

- ✓ მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაცია - 236,7 მლნ ლარი;
- ✓ სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები - 41,9 მლნ ლარი;
- ✓ სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერა - 10,0 მლნ ლარი;
- ✓ სასპორტო დაწესებულებების ხელშეწყობა - 5,5 მლნ ლარი.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსება განისაზღვრა 3 125,0 მლნ ლარით, მათ შორის საბიუჯეტო სახსრების ნაწილში გათვალისწინებულია 2 405,8 მლნ ლარი, გრანტებში 18,5 მლნ ლარი, ხოლო კრედიტების ნაწილში 700,8 მლნ ლარი. ძირითადი პროგრამების მიხედვით ასიგნებები განისაზღვრა შემდეგი ოდენობით:

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - 1 592,6 მლნ ლარი, მათ შორის ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე გათვალისწინებულია 905,0 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - 227,8 მლნ ლარი;
- ✓ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - 503,2 მლნ ლარი;
- ✓ მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა - 75,0 მლნ ლარი;
- ✓ საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია - 366,0 მლნ ლარი;
- ✓ ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - 150,0 მლნ ლარი;
- ✓ სპორტული ინფრასტრუქტურის მხარდამჭერი ღონისძიებები - 200,0 მლნ ლარი.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 808.1 მლნ ლარს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა - 72.3 მლნ ლარი;

- ✓ მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება - 81,2 მლნ ლარი (წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 25,0 მლნ ლარით).
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - 350,9 მლნ ლარი (წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 25,0 მლნ ლარით), მათ შორის:
 - შეღავათიანი აგროკრედიტები - 210,0 მლნ ლარი;
 - აგროდაზღვევა - 15,0 მლნ ლარი;
 - დანერგე მომავალი - 26,0 მლნ ლარი;
 - გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი - 13,0 მლნ ლარი;
 - აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა - 18,1 მლნ ლარამდე;
 - სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროექტი - 10,0 მლნ ლარი;
 - თხილის წარმოების ხელშეწყობა - 23,0 მლნ ლარი;
 - სათბურების ხელშეწყობის პროექტი - 8,0 მლნ ლარი;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - 129,1 მლნ ლარი;
- ✓ გარემოსდაცვითი ზედამხედველობა - 30,0 მლნ ლარი;
- ✓ დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 27,7 მლნ ლარი;
- ✓ სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა - 24,8 მლნ ლარამდე;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში პროგნოზირება, შეფასება, პრევენცია და მონიტორინგი - 33,6 მლნ ლარი (წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 11,8 მლნ ლარით);
- ✓ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა, დარიშხანშემცველი ნარჩენების ობიექტების მართვა - 8,0 მლნ ლარამდე (წინა წარდგენასთან შედარებით გაზრდილია 1,0 მლნ ლარით);
- ✓ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამა - 6,2 მლნ ლარი.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის გათვალისწინებულია 947,0 მლნ ლარი, რაც 146,0 მლნ ლარით აღემატება 2024 წლის მაჩვენებელს. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ✓ მეწარმეობის განვითარება - 247,3 მლნ ლარი;
- ✓ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 48,7 მლნ ლარი;
- ✓ საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება - 101,9 მლნ ლარი;

- ✓ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია - 149,0 მლნ ლარი, მათ შორის 25,0 მლნ ლარი გათვალისწინებულია შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისთვის საჭირო გეოლოგიური კვლევებისთვის;
- ✓ ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის მშენებლობისთვის გამოყოფილია 70,0 მლნ ლარი, ხოლო 21 მლნ ლარი გათვალისწინებულია თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობისათვის საჭირო კვლევების დასაფინანსებლად;
- ✓ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისთვის საჭირო წყლის ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის გამოყოფილია 150,0 მლნ ლარი;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაფინანსება შეადგენს 121,0 მლნ ლარს;

იუსტიციის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 442,0 მლნ ლარი;

საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 215,0 მლნ ლარი;

თავდაცვის სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 730,0 მლნ ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმას 350,0 მლნ ლარით აღემატება. გამოყოფილი თანხის ფარგლებში თავდაცვის ინფრასტრუქტურისა და მისი შესაძლებლობების განვითარებისათვის გათვალისწინებულია 490,0 მლნ ლარი; გამოყოფილი თანხის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია ჯარისკაცების ხელფასის 10%-იანი ზრდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის გათვალისწინებულია 1 395,0 მლნ ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ გეგმას 135,0 მლნ ლარით აღემატება და აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია პოლიციელთა ხელფასების 10%-იანი ზრდა.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 226,0 მლნ ლარი;

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისთვის გათვალისწინებულია 110,0 მლნ ლარი;

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის დაფინანსება შეადგენს 5,1 მლნ ლარს.

საქართველოს პროკურატურისთვის გათვალისწინებულია 70,8 მლნ ლარი;

სპეციალური საგამოძიებო სამსახურისთვის გათვალისწინებულია 19,0 მლნ ლარი;

სასამართლო სისტემისთვის გათვალისწინებულია ჯამში 204,7 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ საკონსტიტუციო სასამართლო - 6,8 მლნ ლარი;
- ✓ უზენაესი სასამართლო - 20,8 მლნ ლარი;
- ✓ საერთო სასამართლოები - 164,5 მლნ ლარი;
- ✓ იუსტიციის უმაღლესი საბჭო 12,6 მლნ ლარი;

იურიდიული დახმარების სამსახურისთვის გათვალისწინებულია 14,8 მლნ ლარი;

სახალხო დამცველის აპარატისთვის გათვალისწინებულია 10,3 მლნ ლარი;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 9,0 მლნ ლარი;

საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციების დაფინანსება შეადგენს 109,3 მლნ ლარს;

სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის გათვალისწინებულია 25,3 მლნ ლარი;

ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაფინანსება შეადგენს 129,1 მლნ ლარს;

მთავრობის ადმინისტრაციის დაფინანსება შეადგენს 29,0 მლნ ლარს;

პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გათვალისწინებულია 10,0 მლნ ლარი;

სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების დაფინანსება ჯამში შეადგენს 11,6 მლნ ლარს.

აღსანიშნავია, რომ 2022 წელს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებებით დარეგულირდა ყოველწლიურად კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგოს გაანგარიშების წესი. კერძოდ, კანონის შესაბამისად 2023 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 1 იანვრამდე საბიუჯეტო წლებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტში საბაზო თანამდებობრივი სარგოს ოდენობა განისაზღვრება, როგორც საქართველოს მიმდინარე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული საბაზო თანამდებობრივი სარგო, გაზრდილი არანაკლებ ბოლო 4 კვარტალში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ოფიციალურად გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში „დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის საკუთრების ფორმების მიხედვით“ არასახელმწიფო სექტორში დაფიქსირებული ნომინალური ხელფასის წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდის საშუალო პროცენტული მაჩვენებლის ნახევრით.

სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების შესაბამისად, ბოლო 4 კვარტალში არასახელმწიფო სექტორში საშუალო ხელფასის ზრდა შეადგენს 13,7%-ს, რისი გათვალისწინებითაც კანონით განსაზღვრული ზრდის მინიმალური ოდენობა შეადგენს 6,8%-ს.

ამავდროულად კანონით განსაზღვრულია, რომ 2026 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასი არ უნდა იყოს არასახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა საშუალო ხელფასის 80%-ზე ნაკლები. აღნიშნული თანაფარდობის საშუალო მაჩვენებელი ბოლო 4 კვარტალში შეადგენს 72,9%-ს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, 2025 წლის პროექტით საბაზო თანამდებობრივი სარგო 2024 წელთან შედარებით იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1 460 ლარის ოდენობით, რაც უზრუნველყოფს საჯარო სექტორში დასაქმებულთა ხელფასების ზრდას ასევე 10%-ის ოდენობით.

4.4. საშუალოვადინი ბიუჯეტის მიმოხილვა

საქართველოს საშუალოვადიანი ჩარჩოს მიხედვით, როგორც ბიუჯეტის დეფიციტი, ასევე ვალის მშპ-ს თანაფარდობა დარჩება ფისკალური წესების ზღვრებში, შესაბამისად, მშპ-ს 3% და 60%-ის ქვემოთ. საშუალოვადიან პერსპექტივაში სახელმწიფო ვალი მოსალოდნელია 35%-ის ფარგლებში მერყეობდეს, ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი კი 3%-ის ქვემოთ იქნება. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს

ფისკალური ბუფერის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ფისკალურ მდგრადობას ნებისმიერი მაკროფისკალური შოკის პირობებში.

შემოსავლები. 2026-2027 წლებში საქართველოს ბიუჯეტის შემოსავლების პირველადი წყარო კვლავ საგადასახადო შემოსავლებია, რაც მთლიანი შემოსავლის დაახლოებით 81%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს რომ ამ პერიოდში თითქმის ყველა გადასახადს სტაბილურად 2025 წლის მსგავსი მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი ექნება რამოდენიმე უმნიშვნელო განსხვავების გარდა. მოგების გადასახადის მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი 2025 წლისაგან განსხვავებით აღარ შემცირდება, რადგან ამოიწურება ის საბაზისო ეფექტი, რომელიც 2025 წელს იყო 2024 წლის გაზრდილი მაჩვენებლის გამო. აქვე აღსანიშნავია, რომ აქციზის გადასახადი 2025 წლის ზრდის შემდეგ კვლავ მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება, თუმცა 2027 წელს კლებულობს ეს ფარდობითი მაჩვენებელი, რაც ძირითადად აქციზის სტრუქტურით აიხსნება: გადასახადი შედგება როგორც სპეციფიკური, ისე - ადვალორული ნაწილისაგან, რომელთაგანაც მეორე შესაძლოა მიყვებოდეს ნომინალური აქტივობის მაჩვენებელს, მაშინ როდესაც გადასახადის სპეციფიკური ნაწილის ცვალებადობა ძირითადად რეალური ცვლადების ტრენდით შეიძლება იყოს გამოწვეული. ყოველივე აქედან გამომდინარე შესაძლებელია, რომ აქციზის ნომინალურ მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელს კლებადი ხასიათი ქონდეს. აღსანიშნავია, რომ 2025 წელთან შედარებით 2026-2027 წლებში არ იცვლება საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადის ფარდობითი მაჩვენებლები, რომელთა ჯამიც მთლიანი საგადასახადო შემოსავლების 72%-ს შეადგენს.

რაც შეეხება სხვა არასაგადასახადო შემოსავლებს, იგი მრავალი მუხლისა და კომპონენტისაგან შედგება, რომლებიც სხვადასხვა მოვლენისა თუ ინდიკატორის გავლენით იცვლებიან: ზოგი ეკონომიკურ ცვლადებზე რეაგირებენ (მაგ ეროვნული ბანკის მოგება), ზოგი ფისკალური პოლიტიკით განისაზღვრება (მაგალითად: ხაზინის მოკლევადიანი დეპოზიტებიდან შემოსავალი), ზოგი ქვეყნის გეოპოლიტიკური მიმზდევლობით და ინფრასტრუქტურის გამართულობით (მაგალითად სატვირთოების მიერ გადახდილი სატრანზიტო მოსაკრებელი ე.წ. გზატარებლობის სააფსური), ზოგი კი არავითარ კავშირში არ არის ფისკალურ პოლიტიკასთან და მათი გარკვეული სიზუსტით პროგნოზირება თითქმის შეუძლებელია (მაგალითად: სანქციებისა და საურავები). აქედან გამომდინარე, ამ კომპონენტის პროგნოზირებისას მხედველობაში მიღებულია სხვადასხვა კომპონენტის შესაძლო გავლენები, თუმცა აქ არსებული მაღალი გაურკვევლობის გამო იგი ყოველთვის კონსერვატიული მიდგმით იგეგმება. ამიტომ იგი საშუალოვადიან პერიოდში აღემატება პანდემიამდელ მაჩვენებელს, თუმცა მაინც კლებადი ტენდენცია აქვს.

ხარჯები. მოსალოდნელია, რომ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ხარჯები საშუალოვადიან პერიოდში კვლავ 27%-ის ფარგლებში შენარჩუნდება, ხოლო ქვეყნის და საჯარო ფინანსების წინაშე არსებული გამოწვევების გადასაჭრელად მისი კომპოზიცია უმნიშვნელოდ შეიცვლება. აღსანიშნავია შრომის ანაზღაურების მუხლი, რომელზეც საჯარო სექტორის სახელფასო პოლიტიკა მოქმედებდა, თუმცა საშუალოვადიან პერიოდში იგი 6%-ის ფარგლებში ნარჩუნდება. ამის პარალელურად მცირდება საქონლისა და მომსახურების მუხლით გაწეული ხარჯების მშპ-სთან ფარდობის მაჩვენებელი და იგი 2027 წლისათვის 5.6%-ს შეადგენს. აქედან გამომდინარე, ამ ორი მუხლის ჯამს რომელიც ე.წ. მთავრობის მოხმარებას წარმოადგენს, სტაბილური ტენდენცია აქვს და 2027 წლამდე 11.5%-ის ფარგლებში ნარჩუნდება. 2023-2024 წლებში საპროცენტო განაკვეთებით გამოწვეული

საპროცენტო ხარჯის ზრდა აღარ შეინიშნება უკვე საშუალოვადიან პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელია გლობალური საპროცენტო განაკვეთების შემცირება, მოსალოდნელია, რომ ამის ეფექტს აკომპენსირებს ვალის მართვის სტრატეგიის შესაბამისად ვალი დედოლარიზაციის მიხედვით შიდა ვალის წილის მთლიან ვალში წილის ზრდა. შიდა საპროცენტო განაკვეთები ყოველთვის მაღალია გლობალურ პროცენტზე, თუმცა ამ ორი ინდიკატორის კომბინაციით პროგნოზირებულია საპროცენტო ხარჯის მშპ-ს 1.7%-ზე შენარჩუნება. ყველა სხვა ინდიკატორი შედარებით სტაბილურია პროგრამის განმავლობაში.

რაც შეეხება არაფინანსური აქტივების შეძენას, საშუალოვადიან პერიოდში მნიშვნელოვანი თანხები გამოიყოფა კაპიტალური ხარჯებისათვის ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის, რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებს და სხვა მნიშვნელოვან პროექტებს. საშუალოვადიან პერსპექტივაში ის რჩება მაღალ დონეზე, მაგრამ მისი მშპ-სთან ფარდობის კლების ტენდენცია შეინიშნება. ამ ტენდენციაზე, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს მნიშვნელოვანი კაპიტალური პროექტების დასრულება, როგორცაა აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალი, 2024 წელს. საშუალოვადიან პერსპექტივაში, არაფინანსური აქტივები შენარჩუნებულია მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 7%-ზე.

ცხრილი 4. ძირითადი ფისკალური ინდიკატორები 2019-2027

	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
% მშპ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	ფაქტ	მოსალ.	პროგნ	პროგნ	პროგნ
შემოსავლები	28.1	28.9	28.6	30.5	31.6	32.5	31.9	31.5	31.2
გადასახადები	23.0	22.0	22.0	23.9	24.4	25.6	25.5	25.5	25.5
საშემოსავლო გადასახადი	7.0	6.7	6.2	6.9	7.5	7.9	8.1	8.1	8.1
მოგების გადასახადი	1.7	1.8	1.7	2.6	2.5	3.4	3.1	3.3	3.3
დღგ	10.5	9.7	9.9	10.2	10.4	10.2	10.2	10.2	10.2
აქციზი	3.0	3.3	3.1	2.8	2.8	2.6	2.7	2.7	2.6
იმპორტის გადასახადი	0.2	0.1	0.1	0.2	0.2	0.1	0.2	0.1	0.2
ქონების გადასახადი	1.0	0.9	0.8	0.8	0.8	0.8	0.7	0.7	0.7
სხვა გადასახადები	-0.5	-0.5	0.2	0.3	0.2	0.5	0.5	0.5	0.5
სოციალური შენატანები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გრანტები	0.7	0.8	0.6	0.4	0.2	0.2	0.1	0.1	0.1
სხვა შემოსავლები	4.4	6.1	6.0	6.2	6.9	6.7	6.3	5.8	5.6
ხარჯები	23.0	29.6	27.2	24.4	25.6	26.3	26.7	27.1	27.0
შრომის ანაზღაურება	4.4	5.2	4.6	4.3	4.8	5.5	5.7	5.9	5.9
საქონელი და მომსახურება	4.2	6.3	6.2	5.9	5.8	5.7	5.7	5.7	5.6
პროცენტი	1.2	1.5	1.3	1.1	1.5	1.7	1.8	1.8	1.7
საგარეო	0.7	0.7	0.5	0.3	0.6	0.8	0.9	0.8	0.8
საშინაო	0.6	0.9	0.9	0.7	0.8	0.9	0.9	1.0	1.0
სუბსიდიები	2.0	2.4	2.1	2.3	2.6	2.6	2.4	2.7	2.7
გრანტები	0.1	0.1	0.0	0.1	0.0	0.0	0.1	0.1	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	8.5	11.2	10.5	8.7	8.8	8.9	8.9	9.1	9.1
სხვა ხარჯები	2.6	2.8	2.5	2.2	2.1	1.9	2.1	2.0	2.0
საოპერაციო სალდო	5.1	-0.7	1.4	6.1	6.0	6.2	5.2	4.3	4.1

ეკონომიკური რეფორმების პროგრამა ERP 2025-2027

	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
არაფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	7.7	8.3	7.6	8.2	8.2	8.5	7.7	6.9	6.8
ზრდა	8.1	8.9	8.4	8.9	8.8	9.1	8.2	7.2	7.0
შემცირება	-0.4	-0.5	-0.7	-0.7	-0.6	-0.6	-0.5	-0.3	-0.3
მთლიანი სალდო	-2.6	-9.0	-6.3	-2.2	-2.2	-2.4	-2.5	-2.6	-2.6
ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა	0.2	0.1	-0.1	0.3	0.0	-0.1	-0.1	-0.1	-0.1
ვალდებულებების წმინდა ზრდა	2.8	12.8	4.2	3.7	2.9	2.2	2.0	2.2	2.2
საშინაო	1.8	4.0	-0.6	1.8	1.7	1.5	1.5	1.4	1.4
საგარეო	0.9	8.8	4.8	1.9	1.2	0.7	0.5	0.7	0.8
დეპოზიტებზე ნაშთის ცვლილება (+ ზრდა)	-0.1	3.7	-2.0	1.2	0.7	0.0	-0.4	-0.4	-0.4
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნომინალური მშპ (მლნ ლარი)	49,789	60,724	72,860	80,883	90,895	99,239	107,327	116,296	49,789
ვალის მშპ-თან ფარდობა	40.8	60.4	49.7	39.3	39.0	36.8	35.9	35.4	34.9

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

როგორც 2025, ისე 2026-2027 წლებში შემოსავლების ან ხარჯების მიმართულებით არ არის მოსალოდნელი ისეთი დისკრეციული პოლიტიკის ზომების გატარება, რომელსაც ერთჯერადი ეფექტი ექნება ბიუჯეტის პარამეტრებზე. თუ არ ჩავთვლით სტრუქტურული ბიუჯეტის გაანგარიშებისათვის ევროკომისიის მეთოდოლოგიის მიხედვით კლასიფიცირებულ ერთჯერად ფაქტორებს არაფინანსური აქტივების კლებას ე.წ. პრივატიზაციას. აღნიშნული ინდიკატორს 2021 წლიდან კლების ტენდენცია აქვს და საშუალოვადიან პერიოდში მშპ-ს 0.3%-ს ფარგლებში.

2022 წლიდან ფინანსთა სამინისტრო აფასებს მოგების, საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების საგადასახადო შეღავათებიდან ბიუჯეტში ვერ მიღებულ ღირებულებას, ე.წ. საგადასახადო დანახარჯებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გადასახადები მთლიანი გადასახადების 85%-ს ფარავენ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით, საგადასახადო დანახარჯების ანგარიში არის საქართველოს პარლამენტში წარდგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის ნაწილი და ხელმისაწვდომია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე⁶. გარდა ამისა, არსებობს გეგმა, რომ შეფასდეს თითოეული საგადასახადო დანახარჯები ინდივიდუალურად, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს მთავრობას, შეაფასოს მათი ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს მათი ოპტიმიზაცია. 2024 წელს, არსებული გეგმით, გამოქვეყნდება სოფლის მეურნეობის სექტორთან დაკავშირებული საგადასახადო დანახარჯების ანალიზი. საქართველოს მთავრობის სტრატეგიის - „ხედვა 2030“-ის მიხედვით, ყოველწლიურად იგეგმება ცალკეული საგადასახადო დანახარჯებისათვის არანაკლებ ერთი ხარჯ-სარგებლის ტიპის ანგარიშის გამოქვეყნება.

⁶ <https://www.mof.ge/5713>

საერთაშორისო სავალუტო ფონდის ტექნიკური მხარდაჭერით, ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის პირველ ნახევარში დაასრულა საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგიის (MTRS) დოკუმენტი. დოკუმენტი განიხილავს იმ ძირითად გამოწვევებს, რომლებიც შეიძლება შეექმნას სახელმწიფო ბიუჯეტს საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში. იგი აღწერს საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებულ სხვადასხვა პროგრამებს, პოლიტიკის მიმართულებებს ან საერთაშორისო დონეზე აღებულ ვალდებულებებს, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს მომავალი ბიუჯეტის ფორმირებაში. დოკუმენტი ასევე განიხილავს ზოგად ეკონომიკურ ტენდენციებს, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს გრძელვადიან ფისკალურ მდგრადობაზე ზეწოლას.

4.5. სტრუქტურული ბალანსი

ფისკალური პოლიტიკის შეფასების ერთ-ერთი მიდგომაა, განისაზღვროს მისი დისკრეციული ნაწილი და გაანალიზდეს, აღნიშნული ეკონომიკური ციკლების სხვადასხვა ეტაპზე (ციკლის შესაფასებლად გამოიყენება მიმდინარე მშპ-ს პოტენციური მშპ-დან გადახრის პროცენტული მაჩვენებელი ე.წ. მშპ-ს „გეპი“) რა გავლენას ახდენდა ეკონომიკის აქტივობაზე. ამისათვის საჭიროა არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:


- განისაზღვროს ეკონომიკის ციკლის სიდიდე;
- ამის შემდგომ, ფისკალური პოლიტიკიდან გამოირიცხოს ციკლის გავლენა, რაც ციკლურად შესწორებული ფისკალური ინდიკატორების გამოთვლას გულისხმობს; და
- არსებული ციკლურად შესწორებული ინდიკატორების საფუძველზე შეფასდეს ე.წ. ფისკალური იმპულსი და გაანალიზდეს იგი ეკონომიკის ციკლთან მიმართებაში.

მშპ-ს გეპის გაანგარიშება

ფინანსთა სამინისტროს მიერ მშპ-ს „გეპი“ შეფასებულია ე.წ. კობ-დუგლასის საწარმოო ფუნქციის მეშვეობით, სადაც ეკონომიკის მთლიან აქტივობას განსაზღვრავს სამუშაო ძალა, კაპიტალის მოცულობა და ფაქტორების პროდუქტიულობა.

გამოყენებული მეთოდი წარმოადგენს მოდელს, რომელიც უზრუნველყოფს ევროკომისიის მეთოდოლოგიის საქართველოს რეალობაზე მორგებას. მოდელში საწარმოო ფუნქციასთან ერთად ასევე შეტანილია ფილიპსის მრუდი, ხოლო მთლიანი სისტემა შეფასებულია კალმანის ფილტრის მეშვეობით. მოცემულ კვლევაში ასევე შეფასებული და განხილულია კაპიტალის მარაგი (capital stock) როგორც კერძო და საჯარო კაპიტალის მარაგის ჯამი. მოცემული ანალიზი საშუალებას იძლევა მოხდეს პოტენციური მშპ-ს შეფასება და მისი დეკომპოზიცია კომპონენტების (კაპიტალი, შრომა, მწარმოებლურობა) მიხედვით. შედეგების თანახმად საქართველოს პოტენციური მშპ-ს ზრდის ტემპი 5.5%-ის ფარგლებშია, რომლის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს მწარმოებლურობა და კაპიტალი.


გრაფიკი 16. პოტენციური მშპ-ს ზრდის ტემპის დეკომპოზიცია



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

როგორც გრაფიკი 16-დან ჩანს, 2008-2009 წლის ფინანსური კრიზისის შემდეგ, ეკონომიკამ გამოცოცხლება დაიწყო და 2010 წლისათვის ეკონომიკა მცირედით ჩამორჩებოდა მის პოტენციურ დონეს. ეკონომიკის გამოცოცხლების პარალელურად, 2015-2017 წლების გარდა მიმდინარე მშპ აღემატებოდა პოტენციურს. კოვიდ პანდემიის შოკის შედეგად შემცირდა როგორც მიმდინარე ეკონომიკური ზრდა, ასევე პოტენციური ზრდის ტემპიც (იხილეთ გრაფიკი 17), თუმცა მშპ-ს გეპი მაინც მნიშვნელოვნად უარყოფითი გახდა. პანდემიის შემდგომ პერიოდში მოხდა V-ებური ეკონომიკური აღდგენა. უარყოფითი გეპის დახურვის შემდგომ 2022-2023 წლებში მშპ-ს გეპი კვლავ პოზიტიური გახდა. მიმდინარე წელს შენარჩუნებულმა მაღალმა ეკონომიკურმა ზრდამ შეინარჩუნა დადებითი მშპ-ს გაბი 2024 წელსაც. ბოლო წლებში მაღალი რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის ფონზე გაიზარდა პოტენციური მშპ-ს ზრდის ტემპიც მოცემულ წლებში, რამაც მისი საშუალოვადიანი ზრდის ტემპისგან გადახრა გამოიწვია. შემდგომ წლებში მოსალოდნელია პოტენციური მშპ-ს ზრდის ტემპის გრძელვადიან წონანსწორობასთან დაახლოება, რის შედეგადაც 2027 წლისთვის მშპ-ს გეპის დახურვაა მოსალოდნელი.

გრაფიკი 17. პოტენციური მშპ-ს ზრდის ტემპის დეკომპოზიცია



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

როგორც პოტენციური მშპ-ს ზრდის დეკომპოზიციიდან ჩანს, მისი ზრდის ძირითადი წყარო ძირითადად კაპიტალი და ფაქტორების მწარმოებლურობა (TFP) იყო. აღსანიშნავია 2020 წელი, როდესაც ეკონომიკის ზრდის პოტენციალი 2.5%-მდე შემცირდა და მხოლოდ კაპიტალი და მწარმოებლურობა თამაშობდა პოზიტიურ როლს მის ზრდაში. რომელთა წილიც, თავის მხრივ, შემცირდა. მიუხედავად 2022-2025 წლებში სამუშაო ძალის დადებითი წვლილისა, საშუალოვადიან პერიოდში მოსალოდნელია რომ კვლავ კაპიტალის ზრდა და მწარმოებლურობის გაუმჯობესება იქნება პოტენციური ეკონომიკური ზრდის ძირითადი წარმართველი.

სტრუქტურული ბიუჯეტი

შეფასებული „გეპის“ მეშვეობით ხდება ფისკალური პარამეტრების და ჩვენს შემთხვევაში ძირითადად შემოსავლების არსებული მონაცემებიდან ე.წ. ციკლური კომპონენტის გამოთვლა და ინდიკატორების ციკლურად შესწორება. თუ ეკონომიკა თავის პოტენციურ დონეზე მეტად ვითარდება და გვაქვს მშპ-ს დადებითი „გეპი“, მიჩნეულია, რომ გადასახადების დისკრეციული ნაწილი არის ფაქტიურთან შედარებით მცირე და გადასახადები უნდა შესწორდეს შემცირების მიმართულებით (რადგან ციკლური ნაწილი გამოწვეული იყო ეკონომიკის პოზიციის გამო და არა დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის გამო) და პირიქით, თუ ეკონომიკაში გვაქვს მშპ-ს უარყოფითი გაპი, რეალური მონაცემები ზრდის მიმართულებით კორექტირდება.

$$\mathbb{X}_t^{CA} = \mathbb{X}_t \left(\frac{\bar{Y}_t}{Y_t} \right)^{\epsilon^X}$$

სადაც $\mathbb{X}$ არის ფისკალური ბალანსის სხვადასხვა მუხლები, როგორიცაა - პირადი საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი, მთლიანი დღგ, დღგ იმპორტზე, აქციზი ტერიტორიაზე, აქციზი იმპორტზე, იმპორტის გადასახადი, მიწის ქონების გადასახადი, ქონების გადასახადი (სხვა), სხვა გადასახადები. ხარჯებისთვის, მხოლოდ ორი პუნქტია იდენტიფიცირებული, როგორც სუსტ

ციკლური - სოციალური დანახარჯები და სხვა ხარჯები. სხვა სახის ხარჯები და შემოსავლები ინდიფერენტულია ბიზნეს ციკლისგან. . ϵ^X წარმოადგენს შესაბამისი ცვლადის ელასტიკურობას გეპის მანძირთ. ϵ^X -ების შეფასებისათვის გამოყენებულია ცდომილების შესწორების მოდელი (error-correction model (ECM)).

ციკლურად შესწორებული პარამეტრების საშუალებით გამოთვლება ციკლურად შესწორებული ბალანსი და შესაბამისად ე.წ. ფისკალური პოზიცია, რომელიც ციკლურად შესწორებული ბიუჯეტი საპირისპირო ნიშნით. საბოლოო მიზანი კი არის ე.წ. ფისკალური იმპულსის გამოთვლა, რომელიც მიმდინარე და წინა წლის ფისკალურ პოზიციებს შორის სხვაობას წარმოადგენს. ფისკალური იმპულსის დასათვლელად გამოიყენება ე.წ. ციკლურად შესწორებული პირველადი ბალანსი, სადაც გაანგარიშებებისას ამოღებულია ხარჯებში არსებული როგორც შიდა, ისე - გარე ვალის პროცენტის მომსახურება.

ყველაზე მარტივი მიდგომით ფისკალური იმპულსისა და მშპ-ს გაპის კომბინაციით შევიძლია შევაფასოთ ფისკალური პოლიტიკის ციკლურობა - იგი ანტიციკლურია თუ პროციკლური. ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკა გულისხმობს დადებით ფისკალურ იმპულსს უარყოფითი „გეპის“ დროს და პირიქით, უარყოფით იმპულსს იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე მშპ პოტენციურ დონეს აღემატება (დადებითი „გეპი“).

ამის გარდა, ფისკალური პოლიტიკის ზომის შეფასებისთვის შესაძლოა ე.წ. სტრუქტურული დეფიციტის დათვლაც, რომელიც ციკლურად შესწორებული ბიუჯეტიდან კიდევ გამორიცხავს ბიუჯეტზე მოქმედ როგორც დადებით, ისე უარყოფით ერთჯერად ეფექტებს, რომელთაც მომავალ წელს ადგილი ვერ ექნება. შესაბამისად, გაანგარიშებიდან ამოღებულია კოვიდზე გაწეული ხარჯები (რამაც სტრუქტურული დეფიციტი შეამცირა), ბანკების მოგების გადასახადის გაანგარიშების მეთოდოლოგიის ცვლილების შედეგად ბიუჯეტში შემოსული გადასახადის ერთჯერადი ეფექტი (რამაც სტრუქტურული დეფიციტი გაზარდა) და ევროკომისიის მეთოდოლოგიის მიდგომით პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები, რადგან კონკრეტული აქტივის პრივატიზაცია მხოლოდ ერთხელ ხდება (რამაც გაზარდა დეფიციტი).

ცხრილი 5: სტრუქტურული ფისკალური ინდიკატორები

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
რეალური მშპ-ს ზრდა	-6.3%	10.6%	11.0%	7.8%	9.0%	6.0%	5.0%	5.2%
პოტენციური მშპ-ს ზრდა	2.7%	4.7%	7.3%	7.0%	7.8%	7.4%	5.8%	5.5%
მშპ-ს GAP	-8.1%	-3.0%	0.4%	1.1%	2.3%	1.0%	0.2%	-0.1%
ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი	-9.0%	-6.3%	-2.2%	-2.2%	-2.4%	-2.5%	-2.6%	-2.6%
ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი	-7.5%	-4.9%	-1.1%	-0.7%	-0.7%	-0.7%	-0.8%	-0.9%
ციკლური კომპონენტი	-4.4%	-1.5%	0.2%	0.5%	1.1%	0.5%	0.1%	0.0%
ციკლურად შესწორებული ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი	-4.6%	-4.8%	-2.4%	-2.8%	-3.5%	-3.0%	-2.7%	-2.6%
ციკლურად შესწორებული ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი	-3.1%	-3.5%	-1.3%	-1.3%	-1.8%	-1.2%	-0.9%	-0.9%
ერთჯერადი ფაქტორები	4.6%	2.8%	0.1%	-0.6%	-0.8%	-0.5%	-0.3%	-0.3%

დასახელება	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
პრივატიზაცია -	-0.5%	-0.7%	-0.7%	-0.6%	-0.6%	-0.5%	-0.3%	-0.3%
COVID ხარჯები +	5.1%	3.5%	0.8%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ბანკების მოგება -	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	-0.2%	0.0%	0.0%	0.0%
სტრუქტურული ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტი	0.0%	-2.0%	-2.3%	-3.3%	-4.3%	-3.5%	-3.0%	-2.9%
სტრუქტურული ერთიანი ბიუჯეტის პირველადი დეფიციტი	1.6%	-0.6%	-1.3%	-1.8%	-2.6%	-1.7%	-1.2%	-1.1%
ფისკალური იმპულსი	1.3%	0.4%	-2.1%	-0.1%	0.6%	-0.7%	-0.3%	0.0%

წყარო:საქსტატი. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2024 წელს მშპ-ს დადებითი „გეპი“ გაიზარდება, იგი 2025 წელს შემცირდება თუმცა კვლავ დადებითი იქნება, ხოლო საშუალოვადიან პერიოდში იგი მნიშვნელოვნად მცირდება და განულდება.

გაანგარიშებები მომზადებულია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის ოპერაციებზე, რომლის დეფიციტიც არ უნდა იყოს 3 პროცენტზე მეტი, ფისკალური წესების მიხედვით.

აღნიშნული ცხრილის მიხედვით, ფისკალური პოლიტიკა ძირითადად ანტიციკლური ან ნეიტრალურია. კერძოდ, კოვიდის განმავლობაში და პოსტკოვიდური პერიოდის სწრაფად ცვალებადი ეკონომიკური აქტივობის შემდეგ, არსებული საშუალოვადიანი პროგნოზების მიხედვით, 2026-2028 წლებში, ფისკალური იმპულსი და მშპ-ს „გეპის“ მნიშვნელობები იმდენად მცირეა, რომ შეიძლება ითქვას, რომ ფისკალური პოლიტიკა ნეიტრალური იქნება და არ გამოიწვევს მშპ-ს „გეპის“ ზრდას ან კლებას.

4.6. ვალის დონე და მისი ცვლილება, ხაზს ქვემოთ ოპერაციების და მარაგი-ნაკადების ანალიზი

საქართველოს აქვს ძლიერი ფისკალური პოზიცია დეფიციტის ზომიერი დონით და მთავრობის ვალით. ფისკალური წესები ადგენს ვალის მშპ-თან ფარდობის 60 პროცენტთან ლიმიტს. ამ მიზნით, ვალი მოიცავს მთავრობის მთლიან ვალს (GGGD) და საჯარო და კერძო თანამშრომლობის (PPP) კონტრაქტების ფარგლებში წარმოქმნილ ვალდებულებებს. GGGD წარმოადგენს აღნიშნული მაჩვენებლის ძირითად ნაწილს, ხოლო PPP ვალდებულებები მშპ-ის მხოლოდ 0.1 პროცენტია. მთლიანობაში, ფისკალური წესებით განსაზღვრული ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებელი 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით 36.2 პროცენტია⁷, რაც მნიშვნელოვნად დაბალია ფისკალური წესით განსაზღვრულ ლიმიტზე. ვალის მართვის სტრატეგია განსაზღვრავს ვალის მშპ-თან ფარდობის 40 პროცენტს, როგორც ვალის უსაფრთხო დონეს - რაც ნიშნავს იმას, რომ შოკების შემთხვევაში საკმარისი ფისკალური სივრცე იქნება აუცილებელი ფისკალური სტიმულის დასაკმაყოფილებლად. აღნიშნული ეფექტის არსებობა დადასტურდა პანდემიის პერიოდში.


⁷ მშპ-ის მოსალოდნელ მონაცემებზე დაყრდნობით.

სახელმწიფო ვალის მართვის სტრატეგია განსაზღვრავს ვალის პორტფელის მართვის საშუალოვადიან პრიორიტეტებს. სტრატეგიის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს პორტფელის დივერსიფიკაცია, რადგან ამჟამად (ნოემბერი, 2024) პორტფელის 70.0 პროცენტი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. მიუხედავად ვალის უსაფრთხო დონის ქვემოთ შენარჩუნების, ვალის პორტფელის გრძელვადიანი საშუალო ვადიანობის და დაბალი საპროცენტო ხარჯებისა, სავალუტო რისკებისადმი მგრძნობელობა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და საშუალოვადიანი სტრატეგია ითვალისწინებს მასთან ეტაპობრივ გამკლავებას.

მთავრობის ვალის პორტფელი

2023 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალი მშპ-ის 39.0 პროცენტს შეადგენდა, საიდანაც 28.3 პროცენტი უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული. აღნიშნული მაჩვენებლები გაუმჯობესდა 2024 წლის ნოემბრის ბოლოს მდგომარეობით და შესაბამისად 36.2 და 25.3 პროცენტი შეადგინა.

გრაფიკი 18. მთავრობის ვალის დინამიკა (პროცენტულად მშპ-თან) 2010-2024 წწ.




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2021 წლის ბოლოს მდგომარეობით, მთავრობის მთლიანი ვალის პორტფელის 80.4 პროცენტი უცხოურ ვალუტაში იყო დენომინირებული. 2024 წლის ნოემბრის ბოლოს ეს მაჩვენებელი 70.0-მდე შემცირდა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას საგარეო ვალის შემცირების მიმართ. არსებითი გაუმჯობესების მიუხედავად, ზემოთ აღნიშნული მაჩვენებელი მაღალ დონეზე რჩება. ამასთანავე, განიხილება სავალუტო ჰეჯირების ინსტრუმენტების ჩართვა მთავრობის ვალის დედოლარიზაციის მხარდასაჭერად.

2024 წლის ნოემბრის ბოლოსთვის, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის 47.9 პროცენტი ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებისგან შედგება. ეს მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება, რაც გამოწვეულია ძველი შეღავათიანი ვალის დაფარვით, რომელიც ძირითადად ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთში იყო აღებული. ამ მიმართულებით, ერთ-ერთი პრიორიტეტია საპროცენტო განაკვეთის ჰეჯირების შესაძლებლობის შესწავლა პორტფელის დაბალანსების მიზნით.

2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით, მთავრობის ვალის პორტფელის 16.4 პროცენტი დოლარშია დენომინირებული. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში აშშ დოლარის წილს მთავრობის მთლიან ვალში კლების ტენდენცია აქვს, რაც განპირობებულია ევროში (43.6 პროცენტი) და ლარში (30.0 პროცენტი) დენომინირებული ვალების წილის ზრდით. ბოლო სამი წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობა უპირატესად ევროში სესხულობს ყველა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტისგან. ამავდროულად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ლარში დენომინირებული ვალის წილი, რაც შესაბამისობაშია სტრატეგიით განსაზღვრულ მიზნებთან. პორტფელის დარჩენილი ნაწილი დენომინირებულია იაპონურ იენსა (JPY) და ქუვეითურ დინარში (KWD). აღსანიშნავია, რომ საგარეო კრედიტების მოზიდვა არ ხორციელდება ჩინურ იუანსა (CNY) და ბრიტანულ ფუნტში (GBP) და პორტფელში მათი წილი SDR-ის დეკომპოზიციით აიხსნება.

გრაფიკი 19. მთავრობის ვალის პორტფელის სავალუტო კომპოზიცია 2017-2024 წწ.




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ახალი სესხების აღებისას ხდება ვალის პორტფელის მომსახურების არსებული გრაფიკის გათვალისწინება. საგარეო ვალის პორტფელში არსებული სესხები ხასიათდებიან გრძელვადიანი დაფარვის გრაფიკით და მაღალი საშელავათო პერიოდით, რაც უზრუნველყოფს პორტფელის მომსახურების თანაბარ გადანაწილებას. შესაბამისად, არ ხდება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე მნიშვნელოვანი ზეწოლა და ხარჯების კონცენტრაცია დროის მოკლე მონაკვეთებზე. 2023 წლის ბოლოსთვის, მთავრობის ვალის პორტფელის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა საბიუჯეტო ხარჯების 6.6 პროცენტი, ხოლო 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით აღნიშნული მაჩვენებელი 6.8 პროცენტია⁸.

გრაფიკი 20. მთავრობის მთლიანი ვალის მომსახურება 2015-2024 წწ. (მლნ. ლარი)

⁸ ბიუჯეტის ხარჯების მოსალოდნელ მონაცემებზე დაყრდნობით.

ეკონომიკური რეფორმების პროგრამა ERP 2025-2027



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მთავრობის ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 2024 წლის ნოემბრის ბოლოს მდგომარეობით მცირედით შემცირდა 2023 წლის ბოლოს დაფიქსირებულ 4.92 პროცენტთან შედარებით და 4.86 პროცენტი შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი საშინაო ვალის პორტფელისთვის 8.86 პროცენტს, ხოლო საგარეო ვალის პორტფელისთვის 3.18 პროცენტს შეადგენს. ბოლო სამი წლის განმავლობაში მთავრობის ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთების ზრდა ძირითადად გამოწვეულია საერთაშორისო ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ზრდით. 2024 წლის იანვარ-ნოემბერში მთავრობის მიერ ადგილობრივ ვალუტაში მოზიდულ სახსრებზე დაფიქსირებულმა საპროცენტო განაკვეთმა 8.52 პროცენტი, ხოლო საგარეო კრედიტორებისგან მოზიდული სესხების საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 4.88 პროცენტი შეადგინა.


საშინაო ვალის წილი ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. 2023 წლის ბოლოსთვის საშინაო ვალი მშპ-ს მიმართ 10.6 პროცენტს შეადგენდა, 2024 წლის ნოემბრის მონაცემებით კი 10.8 პროცენტია⁹. საშინაო ვალის ძირითადი ნაწილი სახაზინო ობლიგაციებზე მოდის.

2024 წლის ნოემბრის ბოლოს მდგომარეობით, მთავრობის საგარეო ვალის პორტფელის 93.8 პროცენტს შეადგენს მრავალმხრივი და ორმხრივი კრედიტორებისგან მოზიდული სესხები. აღნიშნული სესხების დიდ ნაწილს აქვს შეღავათიანი პირობები. საგარეო ვალის პორტფელის 6.0 პროცენტს შეადგენს ევრობონდი, ხოლო დარჩენილ 0.2 პროცენტს შეადგენს „ისტორიული საგარეო ვალი“¹⁰, რომლის სრულად დაფარვა მოხდება 2025 წელს. რაც შეეხება საშინაო ვალს, სახაზინო ობლიგაციები მთლიანი საშინაო ვალის 93.9 პროცენტს შეადგენს, სახაზინო ვალდებულებები 3.4 პროცენტს, სახელმწიფო ობლიგაციები 2.0 პროცენტს, ხოლო საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხით სახით არსებული ვალი 0.6 პროცენტს.

⁹ მშპ-ის მოსალოდნელ მონაცემებზე დაყრდნობით.

¹⁰ ორმხრივი სესხები, რომელთა რესტრუქტურისაც განხორციელდა 2000-იანი წლების დასაწყისში.

გრაფიკი 21. საგარეო და საშინაო ვალის პორტფელი ინსტრუმენტების ტიპების მიხედვით 2024 წლის ნოემბრის ბოლოს მდგომარეობით



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეიმუშავებს მთავრობის ვალის მართვის საშუალოვადიან სტრატეგიას. სტრატეგია ასახავს საქართველოს მთავრობის გეგმას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვალის მართვის ეფექტიანი პოლიტიკის განხორციელება და ვალის მართვის მიზნების მიღწევა. მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია არის საჯარო დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს ვალის მართვის პოლიტიკის გამჭვირვალობას და ზრდის ამ საკითხზე კრედიტორების, ინვესტორების, საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების და საზოგადოების ინფორმირებულობას.

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის სტრატეგიულ მიმართულებებია:

1. მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის უსაფრთხო დონეზე შენარჩუნება

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს მთავრობის ვალის მშპ-თან ფარდობის მაჩვენებლის უსაფრთხო - 40 პროცენტის ფარგლებში შენარჩუნებას.

2. მთავრობის ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ზრდა

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის დიდი წილი მთავრობის ვალის პორტფელის მართვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ბოლოდროინდელი დინამიკა გვიჩვენებს აღნიშნული მაჩვენებლის პოზიტიურ მიმართულებას. ამასთანავე, საქართველოს მთავრობა გეგმავს ჰეჯირების ინსტრუმენტების გამოყენებას მთავრობის ვალის პორტფელის დედოლარიზაციის მხარდასაჭერად.

3. საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა

საინვესტიციო სესხების აღება მოხდება მხოლოდ დიდი და კომპლექსური პროექტებისთვის, რომლებიც შეფასებული იქნება პროექტების მართვის მეთოდოლოგიის მიხედვით (PIM). ამასთანავე, სესხის გადასესხება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო საწარმო ნერგავს კორპორატიული მართვის პრაქტიკას. საბიუჯეტო მხარდაჭერის სესხებისთვის სტრატეგია ადგენს წლიურ 250 მლნ აშშ დოლარის ლიმიტს.

4. მთავრობის ვალის პორტფელის ხარჯის და რისკის ოპტიმიზაცია

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის ფარგლებში გამოვლენილია ვალის მართვასთან დაკავშირებული სამი ძირითადი რისკი: რეფინანსირების რისკი, სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი.

რეფინანსირების რისკი. რეფინანსირების რისკის სამართავად მნიშვნელოვანია პორტფელის საშუალო შეწონილი ვადიანობის გაზრდა და ერთ წელიწადში დასაფარი ვალის სიდიდის კონტროლი მთლიან პორტფელთან მიმართებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული პიკები მთავრობის ვალის დაფარვის გრაფიკში. შესაბამისად, საშუალოვადიან პერიოდში აღნიშნული რისკის სამართავად მნიშვნელოვანია, რომ:

- მთავრობის მთლიანი ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი ვადიანობა არ ჩამოცდეს 5.5 წელს, ხოლო საშინაო ვალის პორტფელისთვის - 3 წელს;
- ერთ წელიწადში დასაფარი ვალის ნაწილი არ აღემატებოდეს მთლიანი ვალის პორტფელის 15.0%-ს.

სავალუტო რისკი. ევროზონასთან მიმდინარე ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოების პროცესიდან გამომდინარე, საგარეო ვალის პორტფელში ევროს სესხების წილის ზრდა ამცირებს გაცვლითი კურსის რისკს. ამასთანავე, მთავრობა მუშაობს მთავრობის ვალის ოპტიმალური სავალუტო კომპოზიციის განსაზღვრაზე.

საპროცენტო განაკვეთის ტიპი. ფიქსირებულ და ცვლად საპროცენტო განაკვეთებს შორის არჩევანი ხარჯისა და რეფინანსირების რისკის მინიმიზაციის დილემის გადაწყვეტას გულისხმობს. საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნებიდან გამომდინარე, სტრატეგია, საგარეო ვალის პორტფელში, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის წილად ადგენს 50 პროცენტთან მინიმუმს. გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე საპროცენტო განაკვეთების მკვეთრი ცვლილებიდან გამომდინარე, მთავრობამ დაიწყო ვალის პორტფელისთვის ოპტიმალური საპროცენტო განაკვეთის სტრუქტურის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შემუშავება.

5. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება. ბოლო პერიოდში, საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ბაზრის შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად:

- 2018 წელს დაიწყო ბენჩმარკ ობლიგაციების გამოშვება;
- 2019 წელს გამოქვეყნდა ვალის მართვის პირველი საშუალოვადიანი სტრატეგია;

- 2019 წელს დაინერგა გამოსყიდვის ოპერაციები;
- 2020 წელს მთავრობამ დაანერგა პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა (თავდაპირველად მხოლოდ 5-წლიანი ბენჩმარკ ობლიგაციების ჩართვით);
- 2021 წელს მთავრობამ გამოუშვა რიგით მესამე 500 მილიონი აშშ დოლარის 5-წლიანი ვადიანობის მქონე ევროობლიგაცია, რომელიც განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე;
- 2022 წელს მთავრობამ გააფართოვა პირველადი დილერების პროგრამა ახალი ვადიანობის დამატებით;
- 2023 წელს მთავრობამ შეიმუშავა ინვესტორებთან ურთიერთობის სტრატეგია;
- 2024 წლის იანვრიდან ფინანსთა სამინისტრომ, საშინაო ვალის ეფექტიანად მართვის მიზნით, დაიწყო „გაცვლის“ ოპერაციების გამოყენება;
- 2024 წლის თებერვლიდან პირველადი დილერების სისტემა გაფართოვდა ახალი 5.5 წლიანი ვადიანობის სახაზინო ობლიგაციის ჩართვით.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობა გეგმავს, რომ კონცენტრაცია მოახდინოს რამდენიმე მსხვილ ბენჩმარკზე და დააკმაყოფილოს საერთაშორისო ინდექსებში ჩართვის მოთხოვნები (FTSE Frontier Emerging Markets Government Bond Index, JP Morgan GBI-EM), რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ლიკვიდურობის ზრდას ბაზარზე და ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციას. დიდი ბენჩმარკები მოითხოვს ვალდებულებების მართვის ოპერაციების მნიშვნელოვან გააქტიურებას. ამ მიზნით, 2024 წლიდან, საქართველოს მთავრობა გეგმავს აქტიურად გამოიყენოს გამოსყიდვის და გაცვლის ოპერაციები.

ანალიტიკური მიმართულების ჭრილში, მთავრობის ვალის მართვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს ისეთი საკითხების გადაწყვეტა, როგორიცაა უცხოურ ვალუტაში აღებული სესხის ჰეჯირებისთვის მისაღები მაქსიმალური ხარჯის განსაზღვრა, საგარეო ვალის პორტფელის ოპტიმალური სავალუტო კომპოზიციის დადგენა ხარჯის და რისკის მინიმიზაციის მეთოდით და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ შემუშავებული ვალის მდგრადობის ანალიზის ახალი მეთოდოლოგიის დანერგვა. უფრო მეტიც, მაღალი საპროცენტო განაკვეთის პირობებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ოპტიმალური საპროცენტო განაკვეთის ტიპის მქონე პორტფელის შექმნა და შენარჩუნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა რიგი ანალიტიკური სამუშაოები, რომელთა განვითარება გაგრძელდება 2025 წლის განმავლობაშიც.

აღსანიშნავია, რომ პორტფელში საგარეო ვალის წილის შემცირებასთან ერთად ნაშთი-ნაკადის კორექტირებაში, კლებულობს გაცვლითი კურსის ეფექტიც. თუ 2022 წელს საგარეო ვალის წილი პორტფელში 74.8 პროცენტს შეადგენდა და კურსის ცვლილების კონტრიბუცია მთავრობის ვალის დონის ცვლილებაში -5.9% იყო, 2023 და 2024 წლებისთვის აღნიშნული მაჩვენებლები -0.5 და 0.0%-მდე შემცირდა.

ფინანსური აქტივების წმინდა ზრდა მოიცავს წმინდა საბიუჯეტო გადასესხებას სახელმწიფო საწარმოებზე და სახელმწიფო დეპოზიტების ცვლილებას. 2023 წლის მდგომარეობით, აღნიშნული მაჩვენებელი მშპ-ის 0.7 პროცენტს შეადგენდა, რომელიც ძირითადად სახელმწიფო დეპოზიტების ცვლილების შედეგს წარმოადგენდა.

4.7. სენსიტიურობის ანალიზი და წინა პროგრამის პროგნოზთან შედარება

ცხრილი 6 გვიჩვენებს 2024 წლის 15 იანვარს ევროკომისიისადმი წარდგენილი ეკონომიკური რეფორმების პროგრამა (ერპ) 2024-2026 და ახალი, 2025-2027 წლების ერპ-ს დოკუმენტით წარმოდგენილ პროგნოზებს შორის განსხვავებას. ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე მაღალ მაჩვენებელზე დაფიქსირდა 2023 წელს, ხოლო 2024 წლის პროგნოზი გაიზარდა 3.8 პროცენტული პუნქტით. საშუალოვადიანი პერიოდისთვის პროგნოზები მცირედით არის გაზრდილი.

ცხრილი 6. წინა პროგრამის პროგნოზისგან განსხვავება¹¹

	წელი 2023	წელი 2024	წელი 2025	წელი 2026	წელი 2027
1. რეალური მშპ-ს ზრდა, %					
წინა პროგრამა	6.5	5.2	5.0	5.0	
ახალი პროგნოზი (ფაქტი)	7.8	9.0	6.0	5.0	5.2
სხვაობა (პროცენტული პუნქტი)	1.3	3.8	1.0	0.0	0.2
2. ერთიანი მთავრობის ბალანსი (% მშპ)					
წინა პროგრამა	-3.0	-2.5	-2.3	-2.2	
ახალი პროგნოზი (ფაქტი)	-2.2	-2.4	-2.5	-2.6	-2.6
სხვაობა (პროცენტული პუნქტი)	0.7	0.1	-0.2	-0.4	
3. მთავრობის ვალს (% მშპ)					
წინა პროგრამა	38.2	38.0	37.8	37.6	
ახალი პროგნოზი(ფაქტი)	39.0	36.8	35.9	35.4	34.9
სხვაობა (პროცენტული პუნქტი)	0.8	-1.2	-1.9	-2.2	

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ეკონომიკური მაჩვენებლების მოსალოდნელზე უკეთესი განვითარების გამო ასევე გაუმჯობესებულია დეფიციტის მაჩვენებელი და ერთიანი ბიუჯეტის დეფიციტმა 2023 წელს 2.2 პროცენტი შეადგინა, რაც დაგეგმილზე 0.8 პროცენტული პუნქტით ნაკლებია. 2024 წლისათვის ფისკალური დეფიციტის მაჩვენებელი უცვლელია და მომდევნო წლებში მცირედით იზრდება, რაც ძირითადად წინა პროგნოზთან შედარებით სსიპ-ების და აიპ-ების განსხვავებული დეფიციტის დინამიკის შეფასებით არის გამოწვეული. რაც შეეხება ვალს, მთავრობის ვალის მაჩვენებელი 2023 წლის ფაქტი წინა პროგნოზთან შედარებით მცირედით მაღალი იყო. თუმცა არსებული გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური ტენდენციების ფონზე, ვალის საშუალოვადიანი პერიოდის პროგნოზები კი ჩამორჩება გასულ პროგნოზებს და 35 პროცენტამდე მცირდება 2027 წლისთვის.

როგორც მე-3 ქვეთის „გ“ ნაწილშია აღნიშნული, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო შეიმუშავებს ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარებს ზოგადი მაკროეკონომიკური და ფისკალური ცვლადებისთვის. ძირითადი აქცენტი აღნიშნულ სცენარებში ფისკალურ ბალანსზეა და შესაბამისად გაკეთებულია დაშვება, რომ უფრო მაღალი ან დაბალი ერთობლივი მოთხოვნა ამ სცენარებში გამოიწვევს საბაზისო სცენარიდან ეკონომიკური ზრდისა და ინფლაციის გადახრას იგივე

¹¹ 2023 წელი ახალი პროგნოზების მუხლში წარმოადგენს ფაქტობრივ მონაცემს

მიმართულებით, სადაც პოზიტიური სცენარი გულისხმობს მაღალ ეკონომიკურ ზრდასა და ინფლაციას, ხოლო პესიმისტური სცენარი - პირიქით.

აღნიშნული მიდგომის ძირითადი საფუძველია ძირითადი მაკროეკონომიკური ცვლადების მიმართ პირდაპირი სენსიტიურობი ანალიზი. თითოეული ცვლადებისთვის, ორივე - პესიმისტური და ოპტიმისტური შოკების დროს გამოყენებულია ბოლო 10 წლის მონაცემები და დაკორექტირებულია გარკვეული სტანდარტული გადახრით მატების ან კლების მიმართულებით. ცხრილი 7 აჩვენებს ფისკალური ცვლადების 1 სტანდარტული გადახრის შოკებზე მოსალოდნელ რეაქციებს.

ცხრილი 7. მაკროეკონომიკური ინდიკატორების გავლენა ფისკალურ პარამეტრებზე 2025 წლისთვის

სცენარები			გადახრა საბაზისოდან							
			ლარი (მლნ)				% მშპ-თან			
			შემოსავლები	ხარჯები	დეფიციტი	დაფინანსების წყაროები	შემოსავლები	ხარჯები	დეფიციტი	დაფინანსების წყაროები
მშპ-ს ზრდა	პოზიტიური	10.40%	819.3		819.3		0.83%		0.83%	
	ნეგატიური	-2.80%	-1 638.7		-1 638.7		-1.65%		-1.65%	
ინფლაცია	პოზიტიური	6.60%	600.4	345.4	255		0.61%	0.35%	0.26%	
	ნეგატიური	-0.20%	-600.4	-345.4	-255		-0.61%	-0.35%	-0.26%	
საპროცენტო განაკვეთი	პოზიტიური	5.00%		-131.6	131.6			-0.13%	0.13%	
	ნეგატიური	5.80%		131.6	-131.6			0.13%	-0.13%	
სავალუტო კურსი	პოზიტიური	2.27	-76.3	-202.8	126.6	-79.1	-0.08%	-0.20%	0.13%	-0.08%
	ნეგატიური	3.22	76.3	202.8	-126.6	79.1	0.08%	0.20%	-0.13%	0.08%

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

როგორც მე-7 ცხრილიდან ჩანს მშპ-ს ზრდის ტემპი და ინფლაციის მაჩვენებლები უფრო ცვალებადები არიან და მათი იზოლირებული ეფექტები უფრო ძლიერია ბიუჯეტის პარამეტრებზე. აქედან გამომდინარე, სცენარების ფორმირების დროს მოთხოვნის შოკის გამოყენება ნამდვილად რეალისტურ და რელევანტურ მიდგომას წამოადგენს.

თუმცა, აღნიშნული ანალიზი ვალის მშპ-სთან თანაფარდობის დინამიკის შესწავლისათვის არ არის საკმარისი, ვინაიდან ვალის დოლარიზაცია მაღალია და მისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია გაცვლითი კურსი. ამასთან ერთად, მხოლოდ მოთხოვნის შოკის დაშვება არასაკმარისია განვითარებული ქვეყნების საპროცენტო განაკვეთზე დამოკიდებულების გამო, ვინაიდან ზოგჯერ ეს ცვლადები ერთი მიმართულებით არ იცვლება. შესაბამისად, ჩვენ ასევე ვაკეთებთ უფრო მეტად ყოვლისმომცველ, ე.წ. ვალის მდგრადობის ანალიზი (DSA), რომელიც ახლდება ყოველწლიურად და წარმოადგენს ბიუჯეტის კანონის თანდართულ დოკუმენტს. აღნიშნული ანალიზი ბოლომდე შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) ვალის მდგრადობის ანალიზის მიდგომას და იყენებს MAC (Market Access Countries) ჩარჩოს¹².

¹² <https://www.mof.ge/en/5234>

4.8. საჯარო ფინანსების ხარისხი

პანდემიის შემდგომ პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში პროგნოზირებულთან შედარებით გაცილებით მაღალი ეკონომიკური ტენდენციები იყო. 2021-2023 წლებში ეკონომიკური პარამეტრები ზრდის მიმართულებით დაკორექტირდა და რეალური ეკონომიკური ზრდის სამი წლის ფაქტიურმა საშუალო მაჩვენებელმა 9,8% შეადგინა.

ეკონომიკური ზრდის შესაბამისად ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი, 2020 წელს არსებული 49,8 მლრდ ლარიდან 2023 წლის ბოლოსთვის 80,9 მლრდ ლარამდე გაიზარდა.

მაღალმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა, პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების ზრდის მიუხედავად, შესაძლებელი გახდა განხორციელებულიყო მნიშვნელოვანი ფისკალური კონსოლიდაცია და შედეგად შემცირებულიყო მთავრობის ვალის მაჩვენებელი, კერძოდ 2023 წლის ბოლოსთვის ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი 2020 წელს არსებული მშპ-ს 9,3%-დან შემცირდა მშპ-ს 2,4%-მდე, ხოლო მთავრობის ვალის მაჩვენებელი 2020 წლის 60,2%-იდან 39,0% დაბალ ნიშნულამდე შემცირდა.

მსგავსი ფისკალური კონსოლიდაციის შემდგომ, 2024 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას დღის წესრიგში აღარ იდგა დამატებითი ფისკალური კონსოლიდაცია, შესაბამისად ბიუჯეტის დაგეგმვისას შენარჩუნდა ბიუჯეტის დაბალი დეფიციტი და რესურსები მაქსიმალურად მიიმართა პრიორიტეტული სფეროების დასაფინანსებლად.

ისევე როგორც გასულ წლებში, მიმდინარე წელსაც ეკონომიკური ტენდენციები გაცილებით მაღალი იყო ვიდრე ბიუჯეტის დაგეგმვის დროს იყო პროგნოზირებული. შესაბამისად რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გადახედვა პირველად 5 თვის ანალიზის საფუძველზე განხორციელდა და განისაზღვრა 6%-ის ოდენობით. ამავე პერიოდში განხორციელდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ანალიზიც და გამოიკვეთა დამატებითი საჭიროებები, რომელთა ჯამური მოცულობა 600 მლნ ლარს აღწევდა.

რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზის შემდგომი გადახედვა განხორციელდა 2025 წლის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტის მომზადების დროს და განისაზღვრა 8,2%-ის ოდენობით. საბოლოოდ, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში, 2024 წლის დეკემბერში განხორციელებული ცვლილებები დაეფუძნა განახლებულ პროგნოზებს და კერძოდ: მშპ რეალური ზრდის პროგნოზი - 9,0%; მშპ-ის დეფლატორი - 3,1%; საშუალო ინფლაციის მაჩვენებელი - 1,0%; ნომინალური მშპ- 90 895,2 მლნ ლარი; მშპ ერთ სულ მოსახლეზე - 9 027,3 აშშ დოლარი; ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები - 23 260,0 მლნ ლარი; ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი - 29 980,0 მლნ ლარი; ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი („ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ფისკალური წესის შესაბამისი) - მშპ-ის 2,4%¹³; მთავრობის ვალი - მშპ-ს 36,8%.

¹³ ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული მეთოდოლოგიის შესაბამისად გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტი შეადგენს 2 299,0 მლნ ლარს, რაც მშპ-ს 2,5%-ია.

2025 წლისათვის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 6.0%-ს წარმოადგენს. პროგნოზირებული მშპ ერთ სულ მოსახლეზე უახლოვდება 10,000 დოლარიან ნიშნულს და იგი 9 750 აშშ დოლარს უტოლდება. 2024 წლის ინფლაციის დაბალი საბაზისო ეფექტის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ 2025 წლის მეორე ნახევრიდან ინფლაცია აღემატებოდეს მიზნობრივ მაჩვენებლს და ამის გათვალისწინებით წლიური საშუალო ინფლაციის პროგნოზი კი 3.2%-ს შეადგენს. ერთიანი ბიჯეტის დეფიციტის კვლავ 2.5% ის ფარგლებშია დაგეგმილი, ხოლო ვალის მშპ-სთან ფარდობა მოსალოდნელია რომ 35.9%-ს შეადგენს (PPP ვალდებულებების ჩათვლით)

ზემოთაღნიშნული ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით 2025 წლისათვის ერთიანი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი (გადასახადები, გრანტების, სხვა შემოსავლები და პრივატიზაციის შემოსავლები) 32.2 მილიარდ ლარს შეადგენს. შემოსავლების ძირითადი წყარო საგადასახადო შემოსავლებია რომელიც 2024 წელთან შედარების 2.0 მილიარდი ლარით იზრდება და 25.3 მილიარდი ლარს შეადგენს. მოსალოდნელია 2025 წელს გაგრძელდება წინა წლების ტენდენცია, წინა წელთან შედარებით გრანტების მუხლიდან შემოსავლების ნაკლები მობილიზება მოხდება და იგი 140 მლნ ლარს შეადგენს. სხვა შემოსავლების მუხლიდან მოსალოდნელია, რომ მისი თითქმის ყველა კომპონენტის ზრდა მოხდება და მისი მოცულობა 6.2 მლრდ ლარამდე გაიზრდება. რაც შეეხება პრივატიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს იგი 2024 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ შემცირდება და 510 მლნ ლარს შეადგენს. აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით ნომინალური დეფიციტის მოცულობა 2025 წლისათვის -2,454 მლნ ლარს შეადგენს რაც საპროგნოზო მშპ-ს 2.5%-ია.

აღსანიშნავია რომ 2025 წელს საბიუჯეტო შემოსავლებზე გარდა არსებული მაკროეკონომიკური პარამეტრებისა, გარკვეული გავლენა ექნება ასევე დისკრეციული პოლიტიკის გარკვეულ მიმართულებებსაც:

- ✓ სახელმწიფო სექტორში გზრდილ საბაზისო ხელფასს უმნიშვნელო დადებითი გავლენა კვლავ ექნება საშემოსავლო გადასახადზე;
- ✓ 2024 წელს მნიშვნელოვნად გაზრდილი მოგების გადასახადის (რომლის ზრდა გარდა ეკონომიკური აქტივობით გამოწვეული ზრდისა, ასევე 2023 წელს შესული საკანონმდებლო ცვლილების ეფექტიანაც იყო გამოწვეული) და გადასახადის ადმინისტრირების თავისებურებებიდან¹⁴ გამომდინარე, მოსალოდნელია რომ ამ ეფექტის გამო, 2025 წლისათვის მოგების გადასახადიდან შემოსავლების ზრდის მაგივრად უმნიშვნელოდ შემცირდება. ეს ძირითადად განაპირობებულია იმით, რომ 2022 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, კომერციული ბანკების მიერ 2024 წელს ერთდროულად აისახა 2023 წლის გაზრდილი მოგების გადასახადი და 2024 წელს გადასახდელი საავანსო გადახდები, რაც ერთჯერადი ფაქტორი იყო და მისი შემოსვლა აღარ არის პროგნოზირებული 2025 წლის განმავლობაში.

ახალი საკანონმდებლო ინიციატივის მიხედვით 2025 წელს:

¹⁴ ე.წ ძველი სისტემით დაბეგრილი მოგების გადასახადი გადაიხდება წელიწადში ოთხჯერ, წინა წლის მოგების მოცულობიდან გამომდინარე და იგი კორექტირდება შემდეგ წელს.

- ✓ უქმდება სათამაშო აპარატების სალონის მოწყობიდან ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზებიდან გადასახდელი დივიდენდის 5%-იანი გადასახადი და მიღებული დასაბეგრი მოგება, გარდა უცხო ქვეყნის მოქალაქეების სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის შედეგად სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშობების ორგანიზატორის დასაბეგრი მოგებისა, დაიბეგრება 20 პროცენტით, ნაცვლად 15 პროცენტისა. აღნიშნული ინიციატივის შედეგად მოსალოდნელია რომ მას მოგების გადასახადზე ექნება დადებითი 115 მლნ ლარიანი შედეგი.
- ✓ თამბაქოს გარკვეულ პროდუქციაზე აქციზის განაკვეთი იზრდება 15/20 თეთრით, რაც აქციზის გადასახადს გაზრდის დაახლოებით 85.0 მლნ ლარით
- ✓ მოხდა სამშენებლო სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოწესრიგება და აქ სექტორში არსებული ის ფიზიკური პირები, რომლებიც რეალურად არიან დაქირავებულები და მცირე ბიზნესის სტატუსს იყენებენ, 1%-იანი განაკვეთის ნაცვლად დაიბეგრებიან 20%-იანი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით. აღნიშნული ცვლილება საშემოსავლო გადასახადს გაზრდის დაახლოებით 100 მლნ ლარამდე.

მოგების გადასახადის კლების ეფექტს ნაწილობრივ აკომპესირებს სათამაშო ბიზნესი დაბეგვრის ცვლილების ეფექტი და 2025 წლეს მოგების გადასახადის იგივე დონის შენარჩუნებაა მოსალოდნელი, თუმცა მშპ-სთან მისი ფარდობა მცირდება.

2025 წლის განმავლობაში არ იგეგმება სხვა დისკრეციული ფისკალური პოლიტიკის სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რასაც შესაძლოა დამატებითი გავლენა ქონდეს საბიუჯეტო შემოსავლებზე.

ბიუჯეტის დეფიციტი და მთავრობის ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი ზღვრული პარამეტრების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2025 წელს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის უარყოფითი მთლიანი სალდო, განისაზღვრება 2 454,0 მლნ ლარით, რაც პროგნოზირებული მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 2.5%-ს შეადგენს (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 3%);
- 2025 წლის ბოლოსთვის საქართველოს მთავრობის ვალის ზღვრული მოცულობა მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 35,9%-ია, ხოლო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტების ფარგლებში აღებული ვალდებულებების მიმდინარე ღირებულების შეფასება (2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (წინასწარი მონაცემები)) – მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ-ის) 0.03%-ია, რაც მთავრობის ვალის პროცენტულ ჯამურ მაჩვენებელზე არ ახდენს გავლენას (დადგენილი ზღვარი – მშპ-ის 60%).

რაც შეეხება საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამით გაანგარიშებული ნაერთი ბიუჯეტის მოდიფიცირებულ დეფიციტს, მისი მოცულობა 2 475,0 მლნ ლარია და მშპ-ს 2,5%-ს შეადგენს.

გასათვალისწინებელია რომ პოსტპანდემიურ და უკრაინაში რუსეთის შეჭრით გამოწვეული ომის ფონზე მიმდინარე ხარჯების კონსოლიდირების მიუხედავად **კაპიტალური ხარჯები 8%-ზე მაღალი**

რჩეზოდა, რათა შეუფერხებლად განხორციელებული ჩქაროსნული ავტომაგისტრალის და სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. საშუალოვადიან პერიოდში კაპიტალური ხარჯები ნარჩუნდება მშპ-ის 7%-8% ის ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ძირითადი სეგმენტები დასრულების ფაზაშია. რაც შეეხება მიმდინარე ხარჯებს, გასათვალისწინებელია, რომ **სოციალური ხარჯები** რომელიც პანდემიურ პერიოდში 11% ის ფარგლებში იყო 9%-ის ფარგლებში ნარჩუნდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსების მიზნით. სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის **შრომის ანაზღაურებაზე** მკაცრი კონსოლიდირების შემდეგ 2023 წლის ზრდა ფიქსირდება, რათა უზურნველყოფილი იქნეს საჯარო სამსახურში დასაქმებული პირების კონკურენტუნარიანობის გაზრდა კერძო სექტორის ხელფასებთან ლოგიკური შეფარდების დაჭერით და საშუალოვადიან პერიოდში 5.5%-5.9% ის ფარგლებშია მოსალოდნელი.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმისა და ფისკალური დაგეგმვის ეფექტიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით მუშაობა გრძელდება შემოსავლების მობილიზებისა და ხარჯვითი ნაწილის ეფექტიანობის შემდგომ გაუმჯობესება: (i) გრძელდება მუშაობა საინვესტიციო პროექტების მართვის რეფორმაზე კაპიტალური პროექტების უკეთესი პრიორიტეტიზირების მიზნით; (ii) გრძელდება ხელფასების და საპენსიო გასაცემების ზრდა ინდექსაციისთვის შემუშავებული წესების მიხედვით; (iii) ჯანდაცვის სექტორის დაფინანსების მიმართულებით აქტიურად ინერგება DRG დიაგნოზზე შეჭიდული დაფინანსების მოდელი; (iv) სხვადასხვა ტექნიკური დახმარებების ფარგლებში მუშავდება სკოლამდელი, სასკოლო და უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელზე; (v) შემუშავდა შემოსავლების დაგეგმვის საშუალოვადიანი სტრატეგია (MTRS) საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად, (vi) გრძელდება მუშაობა საგადასახადო შეღავათების ანალიზზე; (vii) შემოსავლების სამსახური აგრძელებს აქტიურ რეფორმებს საგადასახადო ადმინისტრირებისა და საბაჟო ადმინისტრირების მიმართულებით.

4.9. საბიუჯეტო ჩარჩო და ფისკალური მმართველობა

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა

საქართველო ბოლო ათწლეულის მანძილზე აქტიურად ახორციელებს საჯარო ფინანსების მართვის რეფორმას. აღნიშნული რეფორმა ხორციელდება, როგორც ევროკავშირის საბიუჯეტო და ტექნიკური დახმარებების, ასევე სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების მუდმივი მხარდაჭერით. საქართველოს მთავრობა აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან, ფისკალური რეფორმების დანერგვის გზაზე.

2010 წლიდან შექმნილია საჯარო ფინანსების მართვის საკოორდინაციო საბჭო საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. საბჭოს შემადგენლობაში არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, ასევე არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. საბჭო იკრიბება არანაკლებ ოთხჯერ წელიწადში და განიხილავს საჯარო ფინანსების რეფორმის დოკუმენტებს, როგორიცაა საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის საშუალოვადიანი სტრატეგიები და წლიური სამოქმედო გეგმები, ასევე წლიური სამოქმედო გეგმის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშები. საბჭო ასევე იკრიბება

საჭიროებისამებრ, საჯარო ფინანსების მართვის სფეროში არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული კვლევებისა და შეფასებების განსახილველად. საბჭოს შეხვედრების ფორმატი ხელს უწყობს საჯარო ფინანსების მართვის სფეროში ჩართულ ყველა სამთავრობო მხარესთან, ისევე როგორც არასამთავრობო სექტორთან და საერთაშორისო პარტნიორებთან კოორდინირებულ თანამშრომლობას.

მოქმედი საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგია არის მეოთხედ განახლებული ოფიციალური დოკუმენტი და მოიცავს 2023-2026 წლების პერიოდს¹⁵. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში საქართველოს ფინანსთა სამინისტრო მუდმივად აფასებს და აანალიზებს არსებულ პროგრესს და შესაბამისად გეგმავს შემდგომ ნაბიჯებს. სახელმწიფო ხარჯებისა და ფინანსური ანგარიშვალდებულების შეფასების (PEFA) ბოლო, განახლებული ანგარიში¹⁶ მომზადდა 2022 წელს და მისი ვალიდაცია მოხდა ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის მიერ. ასევე, საჯარო ფინანსების მართვის გენდერულ ჭრილში შეფასების დოკუმენტი (GRPFM - Gender Responsive Public Finance Management)¹⁷ პირველად მომზადდა 2022 წელს, PEFA-ს სამდივნოს მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. აღნიშნული შეფასებები მოიცავს 2019-2021 წლების პერიოდს. გარდა ამისა, სახელმწიფო ინვესტიციების მართვის შეფასება (PIMA – Public Investment Management Assessment) და ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება (FTE -Fiscal Transparency Evaluation) მომზადდა 2022 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით. 2023 წელს გამოქვეყნდა ღია ბიუჯეტის კვლევის განახლებული ინდექსი, რომლის მიხედვით საქართველო ბიუჯეტის გამჭვირვალობის შეფასებით, კვლავ, უკვე მეორედ, იკავებს პირველ ადგილს მსოფლიოს 125 ქვეყანას შორის.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

- ✓ საბიუჯეტო სისტემის შემდგომი გაუმჯობესება - **ბიუჯეტირება**;
- ✓ მდგრადი ვალის მართვა და საშინაო ბაზრის განვითარება - **ვალის მართვა**;
- ✓ სახელმწიფო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) და ფინანსური ანგარიშგების სრულყოფილი დანერგვა - **ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება**;
- ✓ საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკის და ადმინისტრირების შემდგომი გაუმჯობესება - **საგადასახადო და საბაჟო საკითხები**;
- ✓ მაკროეკონომიკური ანალიზის და მოდელირების, ასევე მდგრადი ფისკალური პოლიტიკის გაუმჯობესება - მაკროეკონომიკური ანალიზი და ფისკალური პოლიტიკა;
- ✓ მაკროეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური ფაქტორებით, აგრეთვე პირობითი ვალდებულებებით და კვაზიფისკალური ოპერაციებით გამოწვეული რისკების მუდმივი მონიტორინგი, ანალიზი და მათზე რეაგირება - **ფისკალური რისკების მართვა**;

¹⁵ <https://mof.ge/5613>

¹⁶ <https://www.pefa.org/node/5197>

¹⁷ <https://www.pefa.org/node/5164>

- ✓ შიდა ფინანსური კონტროლის მექანიზმების დანერგვა საჯარო ფინანსების ეფექტური მართვის - სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა;
- ✓ კერძო სექტორის საწარმოების აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის სისტემის გაუმჯობესება, ანგარიშგების და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების ზედამხედველობა - ბუღალტრული აღრიცხვა, ანგარიშგება და აუდიტის ზედამხედველობა.

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგია თითოეულ ზემოაღნიშნულ მიმართულებაზე მოიცავს:

- ✓ სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები;
- ✓ მოსალოდნელი საბოლოო შედეგები 2026 წლისთვის და თითოეული წლის შუალედური შედეგები;
- ✓ დადასტურების წყარო სხვადასხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები (PEFA, TADAT, PIMA და სხვა);
- ✓ საბაზო და სამიზნე ინდიკატორები 2026 წლისთვის;
- ✓ შესაძლო რისკები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საჯარო ფინანსების მართვასთან დაკავშირებული სტრატეგიული დოკუმენტებია:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია 2023-2026 წლებისთვის;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია 2021-2024 წლებისთვის;
- ✓ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2023-2025 წლებისთვის;
- ✓ საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2022-2024 წლებისთვის;
- ✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის განვითარების სამოქმედო გეგმა 2023-2027 წლებისთვის.

კანონმდებლობა ფისკალური პოლიტიკის მართვის სფეროში

საჯარო ფინანსების მართვის საკანონმდებლო ჩარჩო და ფისკალური პოლიტიკის წარმმართველი უწყებების როლები და პასუხისმგებლობები განსაზღვრულია საქართველოს კონსტიტუციით, ორგანულ კანონით „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით. საშუალოვადიანი ბიუჯეტის მომზადებასთან, საბიუჯეტო კლასიფიკაციასთან, შედეგზე ორიენტირებულ - პროგრამულ ბიუჯეტირებასთან, საინვესტიციო პროექტების მართვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს მთავრობის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტებით.

ფისკალური წესები

საქართველოში ფისკალური წესები ამოქმედდა 2014 წლიდან. 2019 წელს საქართველოს მთავრობის ინიციატივით ცვლილება შევიდა „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონში, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია მოამზადოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტი და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშები აღნიშნული კანონით დადგენილი ფისკალური წესების შესაბამისად. საქართველოს მთავრობის სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ფისკალური პარამეტრების დაცვა ფისკალური ზღვრების ფარგლებში. საქართველოს პარლამენტი პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დამტკიცება დადგენილი ფისკალური წესების ზღვრების ფარგლებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით არ ამოქმედდება საგამონაკლისო პუნქტები და საქართველოს მთავრობა საქართველოს პარლამენტს წარუდგენს აღნიშნულ კანონით დადგენილ ზღვრულ პარამეტრებში დაბრუნების სამოქმედო გეგმას.

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილია შემდეგი ფისკალური წესები:

- ✓ **ბალანსის წესი** - არაუმეტეს მთლიანი შიდა პროდუქტის 3%. ბიუჯეტის დეფიციტის ზღვარი დადგენილია სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტისთვის.
- ✓ **ვალის წესი** - არაუმეტეს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%. ზღვარი დადგენილია მთავრობის ვალისთვის, რომელიც მოიცავს საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებს.
- ✓ **შემოსავლების წესი** - დაუშვებელია ახალი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის შემოღება გარდა აქციზისა, რეფერენდუმის გარეშე (ეს წესი მოქმედებს 2030 წლამდე).

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს, რომ ფისკალური წესების დაცვა უნდა მოხდეს, როგორც ასიგნებების დაგეგმვის, ისე საკასო შესრულების დროს.

გამონაკლისი უზრუნველყოფს ფისკალური პოლიტიკის მოქნილობას ეკონომიკური რეცესიის ან საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში და იძლევა მკაფიო განმარტებას ორგანული კანონის საგამონაკლისო პუნქტების ამოქმედების შესახებ და კანონით განსაზღვრულია 3 წლიანი ვადა, რომლის ფარგლებშიც ზღვრული პარამეტრები უნდა დაბრუნდეს დადგენილ ზღვრებს.

საქართველო იცავს ფისკალურ წესებთან შესაბამისობას და მის დაბალ მაჩვენებლებს დადგენილ ზღვრებთან შედარებით. ამასთან, კოვიდ პანდემიის დროს ამოქმედდა საგამონაკლისო პუნქტები, როგორც ეკონომიკური რეცესია, ასევე საგანგებო მდგომარეობა. შესაბამისად, პანდემიის პერიოდში ჯანდაცვის, სოციალური და ეკონომიკური მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების შედეგად დეფიციტის მაჩვენებელმა გადააჭარბა დადგენილ ზღვარს და მშპ-სთან 9.1%, ხოლო მთავრობის ვალის შეფარდება მშპ-სთან 60.1% შეადგინა. ორგანული კანონის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ვალდებულია, რომ დეფიციტის და ვალის მაჩვენებლები დაუბრუნდეს დადგენილ ზღვრებს 3 წლის ვადაში და აღნიშნული ინფორმაცია წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა აღნიშნული საშუალოვადიანი დაგეგმვის ფისკალურ ჩარჩო (BDD) დოკუმენტში, ასევე ვალის მართვის სტრატეგიაში აისახა ვალის და დეფიციტის მაჩვენებლების დაბრუნება დადგენილ ზღვრებში ერთი წლით ადრე 3 წლიანი ვადის ამოწურვამდე - 2022 წელს. 2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი ითვალისწინებს აღნიშნული პარამეტრების უსაფრთხო დონეზე შენარჩუნებას, პროგნოზებში ფისკალური წესები ლიმიტებზე დაბლაა შენარჩუნებული.

ვალის მდგრადობის ანალიზი

ვალის მდგრადობის ანალიზი მზადდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტთან ერთად და წარედგინება საქართველოს პარლამენტს. ანალიზში გამოყენებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიდგომის თეორიული ჩარჩო, რომელიც განისაზღვრება 5 ცალკეული და 1 კომბინირებული შოკის სცენარით შემდგომი 10 წლის განმავლობაში¹⁸.

ფისკალური ინსტიტუტები და ინსტრუმენტები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი არის ყოვლისმომცველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს საქართველოს საბიუჯეტო სისტემას, როგორც ფისკალური პოლიტიკის მართვის მთავარ ინსტრუმენტს. საქართველოს პარლამენტმა დღეს მოქმედი საბიუჯეტო კოდექსი დაამტკიცა 2009 წელს, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების საბიუჯეტო პროცესის მარეგულირებელ ჩარჩოს. კანონი განსაზღვრავს და არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

- ✓ საბიუჯეტო სისტემის პრინციპები;
- ✓ მხარჯავი დაწესებულებების და საბიუჯეტო ორგანიზაციების სტატუსი;
- ✓ საბიუჯეტო პროცესი და საბიუჯეტო კალენდარი;
- ✓ გადასახდელების საშუალოვადიანი და წლიური დაგეგმვა, შესრულების წესები და პროცედურები;
- ✓ ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის ფისკალური ურთიერთობები (მათ შორის, განაწილებული გადასახადები, ბიუჯეტის შემოსავლების განაწილების წესები სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის და მუნიციპალიტეტებისთვის გადასაცემი ტრანსფერის სახეები);
- ✓ სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის კონსოლიდირებაზე და შესრულებაზე გადანაწილებულ როლებს და პასუხისმგებლობებს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არის ძირითადი ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც პასუხისმგებელია საჯარო ფინანსების მართვაზე, ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვაზე და შემოსავლების ადმინისტრირებაზე. ამ სფეროში ჩართული ორგანიზაციები არიან:

- ✓ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი - დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტი, რომლის მთავარი მიზანია ფისკალური პოლიტიკის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი

¹⁸ <https://www.mof.ge/en/5234>

ანალიზით, კვლევითა და შეფასებით, ხელი შეუწყოს საჯარო ფინანსების მართვაზე საპარლამენტო ზედამხედველობის გაძლიერებას და ფისკალური მდგრადობას საშუალოვადიანი პერიოდისთვის.

- ✓ **სახელმწიფო აუდიტის სამსახური** - სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს აუდიტს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ძირითადი ამოცანებია ხელი შეუწყოს სახელმწიფო სახსრების კანონიერ, ეფექტიან და ეფექტურ ხარჯვას, რათა ხელი შეუწყოს სახელმწიფო ფინანსების მართვის გაუმჯობესებას.
- ✓ **საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი** - აკონტროლებს საბიუჯეტო პროცესს და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებას, ამზადებს შესაბამის დასკვნებს, რეკომენდაციებსა და გადაწყვეტილებებს, განიხილავს ბიუჯეტის პროექტებს, ამზადებს რეკომენდაციებს, ატარებს განხილვასა და შეთანხმებას სხვა კომიტეტებსა და ფრაქციებში.
- ✓ **სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო** - დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს მთავრობის უშუალო ზედამხედველობით (პრემიერ-მინისტრის აპარატი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია). სააგენტოს თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ზედამხედველობას და მონიტორინგს უწევს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერებას, იცავს საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციის პრინციპებს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების ოპერაციების განხორციელებისას.

საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი ითვლება დამოუკიდებელ ფისკალურ ინსტიტუტად, რომელიც დაარსდა 1997 წელს. 2014 წლიდან გადაიდგა ნაბიჯები საკანონმდებლო გარემოს გაუმჯობესებისკენ. დაგეგმილი ცვლილებები მიზნად ისახავს საბიუჯეტო ოფისის მარეგულირებელი გარემოს დაახლოებას OECD-ის პრინციპებთან, რომელიც შემუშავებულია დამოუკიდებელი ფისკალური ინსტიტუტებისთვის. ამჟამად პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი აწარმოებს ანალიზს ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე და რეგულარულად განიხილავს ბიუჯეტის შესრულების პროცესს, ასევე, წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში შეტანილ ცვლილებებს, აფასებს საქართველოს მთავრობის ფისკალური პოლიტიკის შესაბამისობას არსებულ ფისკალურ წესებთან და საშუალოვადიან ფისკალურ მდგრადობასთან.

საბიუჯეტო სისტემა და ბიუჯეტის პრინციპები განსაზღვრულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით. საბიუჯეტო სისტემის ერთ-ერთი - „ერთიანობის“ პრინციპი (მე-4 მუხლის პირველი ნაწილი) უზრუნველყოფს მეთოდოლოგიებისა და სტანდარტების ერთიანობას ყველა დონის ბიუჯეტისთვის. ამ ეტაპზე, გამოყენებულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის GFSM საბიუჯეტო კლასიფიკაცია სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე და შესაბამისად, ყველა მუნიციპალიტეტი იყენებს იმავე სტანდარტს, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტის მხარჯავი დაწესებულებები. შეიქმნა საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემები (e-PFMs), რომლის ფარგლებში 2012 წლიდან სრულად არის ჰარმონიზებული ბიუჯეტირების (eBudget) და სახაზინო (eTreasury) სისტემები. საბიუჯეტო კლასიფიკაცია (GFSM) ყოვლისმომცველია და შეესაბამება საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხარჯების ეკონომიკურ და ფუნქციონალურ კლასიფიკაციას და ჩამოყალიბებულია, როგორც

ბიუჯეტის მართვის ისე ხაზინის მართვის ელექტრონულ სისტემებში. 2015 წლიდან, მუნიციპალიტეტების, ასევე საჯარო სამართლის იურიდიული პირების კომერციულ ბანკებში გახსნილი ყველა ანგარიში გადავიდა ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომლის მეშვეობით შესაძლებელია განხორციელდეს ფინანსური ოპერაციების სწორი აღრიცხვა დროის რეალურ რეჟიმში საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება GFSM 2014 სტანდარტს. ყველა გადასახდელი და შემოსავალი აისახება ფინანსურ ანგარიშებში და შესაბამისად ფინანსური აღრიცხვის გარე საბიუჯეტო ოპერაციები არ არსებობს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დროის რეალურ რეჟიმში აქვს წვდომა ნაერთი ბიუჯეტის ყველა ქვე სექტორის დონეზე არსებულ ინფორმაციაზე, გარდა სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოებისა. მიმდინარეობს სახელმწიფო საწარმოების რეფორმა, რომლის ფარგლებში სექტორიზაციის შედეგად სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოები ეტაპობრივად გადმოვლენ ხაზინის ერთიან ანგარიშზე. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში 2023 წელს განხორციელებული ცვლილების შედეგად (114⁶-ე მუხლი) სამთავრობო სექტორისათვის მიკუთვნებული საწარმოების ხაზინის მომსახურებაზე გადმოსვლა დაგეგმილია 2027 წლამდე.

წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის პაკეტი, რომელიც განსახილველად წარედგინება საქართველოს პარლამენტს, გარდა იმ ინფორმაციისა, რომელიც მტკიცდება კანონით, დამატებით მოიცავს სახელმწიფოს ერთიანი ბიუჯეტის დაწესებულებების ყველა ოპერაციებს (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები), ფისკალური რისკების ანალიზს, რომელიც მოიცავს პირობით ვალდებულებებს, მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზს, საშუალოვადიანი პროგნოზების შედარებას, პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის დანართებს, ვალის მდგრადობის ანალიზს, საგადასახადო დანახარჯების ანალიზს და სხვა.

წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიც მზადდება GFS მეთოდოლოგიის საფუძველზე, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგია საჯარო სექტორში ეფუძნება ამ დარიცხვაზე დაფუძნებულ საჯარო სექტორის აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (IPSASs). სახაზინო სამსახური ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ცენტრალური ხელისუფლებისთვის. ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მიზნით, ცენტრალური და ადგილობრივი (მუნიციპალიტეტები და ავტონომიური რესპუბლიკები) სახელმწიფოს ერთიანი მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებგვერდზე: www.treasury.ge.

როგორც ზემოთ არის აღწერილი, საქართველო იყენებს სტატისტიკისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებს და აქვს კარგი პრაქტიკა სისტემატურად შემოიღოს, დანერგოს და განაახლოს შესაბამისი კანონმდებლობა და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო მითითებები, ასევე საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისი ელექტრონული სისტემები. ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების ფარგლებში, მიმდინარეობს მუშაობა ESA 2010 სტანდარტთან შესაბამისობის დანერგვის მიმართულებით.

საშუალოვადიანი დაგეგმვის ფისკალური ჩარჩო (MTBF) - ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი არის საშუალოვადიანი დაგეგმვის ინსტრუმენტი საჯარო ფინანსების მართვაში საქართველოში, დოკუმენტი მოიცავს მაკროეკონომიკურ და ფისკალურ ჩარჩოს 4 წლიან პერიოდში (დასაგეგმი წელი და შემდგომი 3 წელი). დოკუმენტი მზადდება 2005 წლიდან და ყოველწლიურად განახლებადია. დოკუმენტის სტრუქტურა და შინაარსი თანდათან გაუმჯობესდა. 2018-2022 და 2023-2026 წლების საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა საბიუჯეტო დოკუმენტაციის შემდგომი სრულყოფა, დოკუმენტის არეალი გაფართოვდა და მოიცავს:

- ✓ სრულყოფილ ინფორმაციას ფისკალური პარამეტრების შესახებ და საბიუჯეტო დოკუმენტაციის ფისკალურ წესებთან შესაბამისობის შესახებ, რომელიც დადგენილია ორგანული კანონით (ბალანსის წესი, ვალის წესი, შემოსავლების წესი).
- ✓ შემოსულობებისა და გადასახდელების პროგნოზებს საშუალოვადიან პერიოდში არსებული პოლიტიკის ფარგლებში (საბაზისო ინფორმაცია) და ახალი პოლიტიკის ინიციატივებს;
- ✓ წინა პერიოდის საშუალოვადიანი პარამეტრებიდან გადახრების გამომწვევი მიზეზების დეტალურ ახსნა-განმარტებას.

ჩანართი 1. საშუალოვადიანი დაგეგმვა საქართველოში – ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ყოველი წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობა დადგენილებით განსაზღვრავს მხარჯავი დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების შემადგენლობაში შემავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისა) მიერ წარსადგენი ინფორმაციის ნუსხას და წარდგენის ვადებს. დადგენილებით დამტკიცებულია დანართების ფორმები, რომლის მიხედვითაც ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით ეტაპობრივად წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის მომზადების მიზნით საქართველოს მთავრობის დადგენილება დამტკიცდა 2024 წლის პირველ მარტს N62 დადგენილებით. დადგენილების მე-5 მუხლში გაწერილია ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნებისთვის შემუშავებული მეთოდოლოგიით საქართველოსთვის 2025–2027 წლების „საშუალოვადიანი ეკონომიკური რეფორმების“ (Economic Reform Program) პროგრამის დოკუმენტის მომზადების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებები. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო კოორდინაციას უწევს დოკუმენტის მომზადებას შესაბამის დარგობრივ სამინისტროებთან თანამშრომლობით, გარდა ამისა, დადგენილებით დამტკიცდა სტრუქტურული

რეფორმების ახალი დანართი, რომლის მიხედვით სამინისტროებს დაევალოთ ინფორმაციის მომზადება და წარმოდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროში.

შედეგად, 2025-2028 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტში აისახა ინფორმაცია 2025-2027 წლების „საშუალოვადიანი ეკონომიკური რეფორმების“ (Economic Reform Program) პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმების თაობაზე.

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის სტრუქტურა მოიცავს თავებს და დანართებს. დოკუმენტის პირველი ნაწილია სამთავრობო პროგრამა „მხოლოდ მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ“. დოკუმენტი ასევე, მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- ✓ მაკრო-ფისკალური ჩარჩო (საბაზისო, ოპტიმისტური და პესიმისტური სცენარები);
- ✓ სახელმწიფოს ერთიანი, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების აგრეგირებული მაჩვენებლები;
- ✓ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს სამინისტროების და სხვა მხარჯავი დაწესებულებებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების და რიცხოვნობების ზღვრული მოცულობები საშუალოვადიანი პერიოდისთვის;
- ✓ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს სამინისტროების და სხვა მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამების გადასახდელების პროგნოზები საშუალოვადიან პერიოდში;
- ✓ ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების პრიორიტეტები (აისახება საბოლოო ვერსიაში).

საქართველოს სამინისტროები და სხვა მხარჯავი დაწესებულებები საშუალოვადიან დაგეგმვაზე მუშაობას იწყებენ მარტში. სამინისტროებში იქმნება სამუშაო ჯგუფები, რომელიც კოორდინაციას უწევს ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესს.

ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების საქართველოს პარლამენტისთვის შეთანხმების შემდეგ, საქართველოს მთავრობა იწონებს ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის პირველად ვარიანტს ყოველი წლის 10 ივლისამდე.

აღნიშნული მოიცავს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს სამინისტროების და სხვა მხარჯავი დაწესებულებების განახლებულ საშუალოვადიან პროგნოზებს, რის საფუძველზეც მზადდება **საბიუჯეტო განაცხადები და წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს არაუგვიანეს 1 სექტემბრისა.**

ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის განახლებული ვერსია წარედგინება საქართველოს პარლამენტს წლიური ბიუჯეტის კანონის პროექტთან და თანდართულ მასალებთან ერთად (არაუგვიანეს 1 ოქტომბერს, 5 ნოემბერს და 30 ნოემბერს), ხოლო დოკუმენტის საბოლოო ვერსია ავტონომიური რესპუბლიკების და მუნიციპალიტეტების პრიორიტეტებთან ერთად წარედგინება საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს არაუგვიანეს 31 იანვრისა. მარტში კი კვლავ იწყება საშუალოვადიანი დაგეგმვის შემდგომი ციკლი.

სტრატეგიულ დაგეგმვასა და ბიუჯეტს შორის კავშირები

ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს ძირითად საშუალოვადიან ფისკალურ ჩარჩოს, გამომდინარეობს სამთავრობო პროგრამიდან, ხოლო წლიური ბიუჯეტი თავის მხრივ შეესაბამება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტით გათვალისწინებულ პარამეტრებს. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით უზრუნველყოფილია საქართველოს სამინისტროების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების წლიურ ბიუჯეტთან და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტთან შესაბამისობა.

ეფექტიანი მმართველობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების განმტკიცების მიზნით, საქართველოში საჯარო მმართველობის რეფორმა, ევროპული საჯარო მმართველობის პრინციპების შესაბამისად, 2015 წლიდან ხორციელდება. 2023 წლიდან კი, აქტიურად მიმდინარეობს რეფორმის მეორე ფაზა 2023-2026 წლების სტრატეგიის ფარგლებში. რეფორმის ფარგლებში შემუშავდა და საქართველოს მთავრობის დადგენილებებით დამტკიცდა პოლიტიკის დაგეგმვის დოკუმენტის სახელმძღვანელო (N629, 30.12.2016) და პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესი (N629, 20.12.2019). აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შესაბამისობას და კავშირებს წლიურ ბიუჯეტთან და ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის საშუალოვადიან ჩარჩოსთან. სამოქმედო გეგმებში თითოეული აქტივობის მიხედვით მიეთითება დაფინანსების წყარო, დაფინანსების ოდენობა და შესაბამის ბიუჯეტში არსებული პროგრამული კოდი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება კონკრეტული ღონისძიება. ამის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოს მთავრობის განვითარების სტრატეგია - ხედვა 2030 და სამოქმედო გეგმები.

თავის მხრივ საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში 2022 წლიდან შემოღებულ იქნა ახალი „პოლიტიკის კლასიფიკატორი“ ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემის (eBudget) მეშვეობით, ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების პოლიტიკის კლასიფიკატორთან დაკავშირების ერთგვარი მექანიზმი, რაც შესაძლებლობას აძლევს მხარჯავ დაწესებულებებს როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივ დონეზე მათ მიერ განხორციელებული პროგრამები/ქვეპროგრამები დააკავშირონ სხვადასხვა პოლიტიკის მიმართულებებთან, როგორებიცაა: გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDG), გენდერული თანასწორობა, კლიმატის ცვლილება (შერბილება, ადაპტაცია), ადამიანური კაპიტალის მიზნები, სამთავრობო სტრატეგიები და ა.შ. რეფორმის ფარგლებში, საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის სტრატეგიის შესაბამისად დაგეგმილია, რომ მხარჯავ დაწესებულებებს მიეცეთ არა მხოლოდ მათ მიერ დაგეგმილი პროგრამების პოლიტიკის კლასიფიკატორებთან დაკავშირების, არამედ თითოეული კლასიფიკატორის ფისკალური გავლენის მითითების შესაძლებლობა საშუალოვადიან პერიოდში. აღნიშნული ინფორმაცია, თავის მხრივ ხელს შეუწყობს შესაბამისი პოლიტიკის მიმართულებით მეტად ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებას.

4.10. საჯარო ფინანსების მდგრადობა


მიმდინარე პოლიტიკის სამომავლო შედეგებისა და ხარჯების რაოდენობრივი განსაზღვრა მნიშვნელოვანია იმისათვის რომ ეფექტიანად იყოს მართული და თავიდან იქნას აცილებული გრძელვადიანი პერიოდის რისკები და ამ რისკებიდან მომდინარე საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული პრობლემები. აქედან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პირველ მცდელობას, ფისკალური რისკების ანალიზის ჩარჩოს ფარგლებში გრძელვადიანი ტრენდის შეფასებისა და მდგრადობის ინსტრუმენტების შემუშავების შესახებ, 2023 წელს ჰქონდა ადგილი.

ფისკალური რისკების გრძელვადიანი ანალიზის ჩარჩო შეეხება ორ გრძელვადიან ფისკალურ რისკს, რომლების წინაშეც ამჟამად იმყოფება საქართველო და რომლის წინაღმდეგეც მიმართავს გარკვეულ რისკის შემსუბუქების ღონისძიებებს:

- (i) დემოგრაფიულ ცვლილებებთან ასოცირებული რისკები
 - ა. ჯანმრთელობის დაცვის ხარჯები და მათი ზეგავლენა ფისკალურ დეფიციტსა და ვალზე
 - ბ. შესაძლო შედეგები პენსიებთან და შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით
- (ii) კლიმატის ცვლილება და სტიქიური მოვლენები
 - ა. კლიმატის ცვლილების სცენარები გრძელვადიან ფისკალურ მდგრადობასთან მიმართებაში
 - ბ. კლიმატის ცვლილებით განპირობებული სპეციფიკური ფისკალური რისკები

საქართველოში უკვე სახეზეა მოსახლეობის მკვეთრი დაბერების მზარდი ტენდენცია. ამჟამად, ოთხ სამუშაო ასაკის პირზე ერთი ასაკოვანი პირი მოდის. 2074 წლისათვის უკვე შესაძლოა ორ ან სამ სამუშაო ასაკის პირზე ერთი პენსიონერი მოდიოდეს.

გრაფიკი 22. დემოგრაფიული სცენარები საქართველოში, 1950-2100



წყარო: გაეროს მოსახლეობის პროგნოზები, 2023; ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებები. ასაკოვანი პირების დამოკიდებულების კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგნაირად: ასაკოვანი პირების (65 წლის და ზევით) რაოდენობა გაყოფილი სამუშაო ასაკის (15-64 წლის) მოსახლეობის რაოდენობაზე

სავარაუდოა, რომ ასაკოვანი მოსახლეობა უკვე ქმნის ფისკალურ ზეწოლას. როგორც წესი უფროსი ასაკის მოსახლეობას, ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობასთან შედარებით, აქვს ქრონიკული დაავადებების უფრო მაღალი ტვირთი, როგორიცაა მაგალითად, ართრიტი, ხერხემლის ტკივილი, გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი და მენტალური ჯანმრთელობის პრობლემები და ისინი არიან 2013 წელს დანერგილი პირველადი უნივერსალური ჯანდაცვის სისტემის მთავარი მომხმარებლები, რომელშიც შედის უფასო ამბულატორიული მომსახურება და დიაგნოსტიკური კვლევები. სქემის ადმინისტრირების ხარჯმა გააორმაგა ჯანდაცვის წილი მთლიან ხარჯებში.

გრძელვადიან პერიოდში დაბერების გამო საბიუჯეტო ხარჯებზე ზეწოლისა და ნელი ეკონომიკური განვითარების კომბინაცია გაართულებს საქართველოს მიერ გრძელვადიანი ფისკალური მდგრადობის შენარჩუნების პროცესს. მომდევნო 50 წლის განმავლობაში მოსალოდნელია ჯანდაცვის ხარჯის ზრდა მშპ-ს 0.3%-დან 0.7%-მდე ინტერვალით მაშინ, როცა ზემოაღნიშნული ხარჯის ზრდა ყველაზე მეტად შესამჩნევია დაბალი შობადობის სცენარში. ჯანდაცვის ხარჯი იმატებს შობადობის სამივე (საშუალო, მაღალ და დაბალ) სცენარში. ჯანდაცვის გაზრდილი ხარჯი იწვევს უფრო მაღალ დეფიციტს და ვალს. ამის გარდა, მოსალოდნელია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მშპ შედარებით მცირე იქნება დაბალი შობადობის სცენარში დანარჩენ ორ სცენართან შედარებით. შემცირდება საგადასახადო შემოსავლები, გაიზრდება დეფიციტი და მოიმატებს ვალის მშპ-სთან შეფარდება. 2073 წელს დაბალი შობადობის სცენარში ვალის მშპ-სთან შეფარდება 17 პროცენტული პუნქტით მეტი იქნება საბაზისო სცენართან შედარებით. 2060-იანი წლებისათვის როგორც საბაზისო, ისე დაბალი შობადობის სცენარებში, სახელმწიფო ვალი გადააჭარბებს განსაზღვრული მშპ-ს ფისკალური წესით განსაზღვრულ 60 პროცენტს და არამდგრად აღმავალ ტრაექტორიას წარმოშობს.

მოსახლეობის დაბერების გამო, გრძელვადიან პერსპექტივაში, საპენსიო ხარჯებიც გაიზრდება (გრაფიკი 23). საპენსიო ასაკის მოსახლეობის ზრდის მიუხედავად, გრძელვადიანი პროგნოზების დაშვებების მიხედვით, მიმდინარე ინდექსაციის რეჟიმის¹⁹ შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ:

- საპენსიო ხარჯების მშპ-სთან ფარდობითი მაჩვენებელი არათუ არ გაიზრდება, არამედ შემცირდება მომდევნო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.
- შემცირდება ე.წ. ჩანაცვლების ნორმა²⁰, როგორც დაბალი ასაკის (70 წლამდე), ისე მაღალი ასაკის (70 წელს ზემოთ) პენსიონერთათვის.



¹⁹ არსებული ინდექსაციის რეჟიმის მიხედვით, 70 წლამდე ასაკის მოსახლეობას ყოველწლიურად პენსია გაეზრდება ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციის მიხედვით (მინიმუმ 20 ლარით), ხოლო 70 წელზე მეტი ასაკის მოსახლეობას კი პენსია ეზრდება ბოლო 12 თვის საშუალო ინფლაციის ოდენობისა და ბოლო 6 კვარტლის ეკონომიკური ზრდის 80%-ის მიხედვით (მინიმუმ 25 ლარით)

²⁰ ხელფასების საშუალო ზრდასთან და დემოგრაფიასთან დაკავშირებით არსებულ გამარტივებულ დაშვებებზე დაყრდნობით

გრაფიკი 23: დემოგრაფიის გაგლეზა საპენსიო დანახარჯებზე, 2019-2074

ჩანაცვლების ნორმა – ზომიერი (საშუალო) შობადობის
სცენარი (პროცენტი)

საპენსიო ხარჯები (მშპ-ს პროცენტი)



წყარო: გაეროს მოსახლეობის პროგნოზები, 2024; ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებები

23-ე გრაფიკის მარჯვენა ნაწილში ნაჩვენებია კლიმატის საბაზისო სცენარი (შობადობის სხვადასხვა სცენარის პირობებში. როგორც ჩანს, სამივე სცენარის შემთხვევაში საპენსიო ხარჯების მშპ-სთან ფარდობა არსებული პირობებით 2040-50-იან წლებამდე მუდმივად მცირდება, შემდეგ კი, უკვე როგორც პენსიის ზრდის, ისე - დემოგრაფიის ცვლილების ეფექტის გამო, ზრდა შეინიშნება. დაბალი შობადობის სცენარის მიხედვით, საპენსიო ხარჯები 2074 წლისათვის მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება, თუმცა ამ ფაქტის მიუხედავად, იგი მაინც არ აღემატება 2024 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს.

მოსახლეობის დაბერებას შესაძლოა დამატებითი ეფექტები ჰქონდეს გრძელვადიან ფისკალურ მდგრადობაზე. მაგალითად, გადასახადების ამოღება შესაძლოა განსხვავდებოდეს მომუშავეთა ასაკის მიხედვით. შედარებით ასაკოვანმა მომუშავეებმა შესაძლოა ნაკლები გადასახადი გადაიხადონ ინდივიდუალურად. გარდა ამისა, მომდევნო 50 წლის განმავლობაში საპენსიო ხარჯი შესაძლოა განსხვავდებოდეს შობადობის სცენარის მიხედვით.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით: საქართველოში საშუალო ტემპერატურა იზრდება მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან და მისი ზრდა ნავარაუდევია გლობალურ საშუალო მონაცემზე მეტად ოცდამეერთე საუკუნის დასასრულისათვის.²¹ ზემოხსენებულის შედეგად, კლიმატის ცვლილების ყველაზე არასასურველ ეფექტებად მოიაზრება გვალვა, წყალდიდობა და მეწყერი. კლიმატის ცვლილების რისკები გავლენას მოახდენს საქართველოს მთლიან ეკონომიკაზე, მოწყვლადი საკითხები ძირითადად ენერგეტიკის სფეროში იქნება ფოკუსირებული. რადგან ადგილობრივად წარმოებულ ენერგია ძირითადად დამოკიდებულია ჰიდროელექტროენერგიაზე. აღსანიშნავია რომ 2015 წელს ადგილობრივად წარმოებული ელექტროენერგიის 78% მოდიოდა ჰიდროელექტროენერგიაზე.

საქართველოში ფისკალური რისკების შესაფასებლად კლიმატის ოთხი სხვადასხვა სცენარი გამოიყენება (ჩანართი 2). ეს სცენარები ეფუძნება მთავრობათაშორის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხილულ კლიმატის ცვლილების შეფასების უახლეს ანგარიშს (IPCC 2021). გამოფრქვევის

²¹ კლიმატის რისკის ქვეყნის პროფილი (2021). მსოფლიო ბანკის ჯგუფი, აზიის განვითარების ბანკი

(ემისიების) თითოეული სცენარი დამყარებულია ხუთი სტანდარტიზებული სოციო-ეკონომიკური, ტექნოლოგიური და პოლიტიკის განვითარების სცენარიდან (სახელად სოციო-ეკონომიკური გზა, Socio-Economic Pathway) ერთ-ერთზე:


ჩანართი 2: კლიმატის სცენარები

- **პარიზი:** SSP1-2.6 IPCC სცენარის საფუძველზე, რომლის ფარგლებშიც 2015 წლის პარიზის სამიტზე ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები სრულდება, გლობალური ტემპერატურის მატება საუკუნის ბოლოს ნარჩუნდება წინა-სამრეწველო დონეზე (2° (გრადუს) ცელსიუსზე დაბალი) მაღლა.
- **ზომიერი:** SSP2-4.5 IPCC სცენარის საფუძველზე, გამოფრქვევები კვლავ იზრდება არსებული ტენდენციების შენარჩუნების ფონზე და სტაბილიზდება საუკუნის დასასრულს. ამ სცენარის მიხედვით, კლიმატის შემსუბუქების პოლიტიკები კვლავ მოქმედებს არსებული ტენდენციის პარალელურად, მაგრამ ქვეყნები არ ახორციელებენ უფრო აგრესიულ ქმედებებს პარიზის სამიტზე ნაკისრი თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად.
- **მაღალი:** SSP3-7.0 IPCC სცენარის საფუძველზე კლიმატის შემსუბუქების ღონისძიებების გაძლიერების ნაცვლად, ქვეყნები იწყებენ მათ მიერ განხორციელებული პოლიტიკების მასშტაბების შემცირებას შეზღუდული ენერგოეფექტიანობის გაზრდის და წიაღისეული საწვავის სტაბილური გამოყენების ფონზე.
- **ცხელი (მწვავე):** ამ სცენარში გამოფრქვევები მაღალი სცენარის მსგავსადაა, თუმცა ამ შემთხვევაში ყველა იმ კლიმატის მოდელს შორის, რომელშიც SSP3-7.0 გამოფრქვევაა გამოყენებული, ტემპერატურის 90-ე პერცენტილი გამოიყენება, ნაცვლად მაღალი სცენარისთვის გამოყენებული საშუალო ტემპერატურის პროგნოზისა.

საჯარო ფინანსების მდგარდობა გაუარესდება კლიმატის ცვლილების სცენარების სიმძიმის ზრდის პარალელურად (გრაფიკი 24). გრძელვადიან პერსპექტივაში კლიმატის ცვლილება შეანელებს პროდუქტიულობის ზრდას უფრო მკაცრ სცენარებში, შეამცირებს საგადასახადო შემოსავლებს და გაზრდის დეფიციტსა და ვალს. მაგალითად, 2074 წელს ცხელ (მწვავე) სცენარში ვალის მშპ-სთან შეფარდების კოეფიციენტი 13 პროცენტით მეტია საბაზისო სცენართან შედარებით. 2074 წლისათვის კლიმატის ყველა სცენარში, სახელმწიფო ვალი მშპ-ს ფისკალური წესის 60%-იან ზღვრულ ოდენობას აღემატება და უფრო მკაცრი სცენარების პირობებში საკმაოდ არამდგრად აღმავალ ტრაექტორიას წარმოშობს. ცხელი (მწვავე) სცენარის პირობებში ნავარაუდევია, რომ 2074 წელს ბიუჯეტის დეფიციტი საბაზისო სცენართან შედარებით მშპ-ს 1%-ული პუნქტით გაუარესდება.

გრაფიკი 24. საქართველოში კლიმატის ცვლილების სცენარების ფისკალური ეფექტები

პირველადი ბალანსი და მთლიანი სალდო, მშპ- ვალის მშპ-სთან შეფარდება, 2014-74
ს პროცენტი, 2074



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშება

მთავრობა აქტიურ ნაბიჯებს დგამს კლიმატთან დაკავშირებული რისკების სამართავად სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ჩარჩოში კლიმატის ცვლილების ინტეგრირების გზით. განხორციელდა კლიმატის სახელმწიფო ინვესტიციების მართვის ეფექტიანობის შეფასება (PIMA) და დაიწყო აქტიური ნაბიჯების გადადგმა ძირითადი რეკომენდაციების შესასრულებლად, მათ შორის:

- უზრუნველყოფა იმისა, რომ კლიმატის ეროვნული სტრატეგიები და ამოცანები სრულად ინტეგრირებული იყოს ეროვნული, დარგობრივი და სივრცითი დაგეგმარების პროცესებში.
- კლიმატთან დაკავშირებული კრიტერიუმების ძირითად საკითხად ჩართვა პროექტის შეფასებისა და პროექტის შერჩევის პროცესებში და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება ხსენებული კრიტერიუმების გამოყენებისათვის.
- კლიმატთან დაკავშირებული პროექტების იდენტიფიცირება და ანგარიშგება და რესურსების განაწილება ბიუჯეტის, აღრიცხვისა და აქტივების მართვის სისტემებში კლიმატის ტეგირების შემოღების გზით.

2024 წლის I კვარტალში დაასრულა საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგია, რამაც, პროდუქტიულობის ხელშეწყობის რეფორმებთან და კლიმატის ცვლილების შემსუბუქებისა და ადაპტაციის ღონისძიებებთან ერთად, შესაძლოა ხელი შეუწყოს ფისკალური ზეწოლის შემსუბუქებას. საშუალო-ვადიანი შემოსავლების სტრატეგია უნდა შეეხოს კლიმატის ცვლილებით განპირობებული ეკონომიკური სტრუქტურული ცვლილებების შედეგად არსებული საგადასახადო ბაზის პოტენციურ შემცირებას. რაც შეეხება ხარჯების ნაწილს, მომდევნო მნიშვნელოვანი ნაბიჯია კლიმატის ცვლილების ადაპტაციის ღონისძიებებისა და პროდუქტიულობის ხელშეწყობის პოლიტიკების მხარდასაჭერად საჭირო ფისკალური დანაკლისის იდენტიფიცირება და გაზომვა, რაც საბიუჯეტო დაფინანსებას მოითხოვს, მაგალითად, განათლების სფეროში. ეს პოლიტიკები შემდგომ უნდა შეფასდეს კლიმატის ცვლილების მიმართ ეკონომიკურ მოქნილობასთან მიმართებაში მიღწეული გრძელვადიანი პროგრესის თვალსაზრისით.

საჯარო ფინანსების მდგრადობის ანალიზის გაფართოების მიზნის იგეგმება მთლიანი დოკუმენტის მიმდინარე დაფარვის გაზრდა და გაუმჯობესება, რაც მოიცავს **პენსიებთან დაკავშირებული გრძელვადიანი რისკების** ჩართვასა და დაშვებებისა და პარამეტრების განახლებას, რაც გამოყენებულია ფისკალური რისკების გრძელვადიანი ანალიზის ჩარჩოს მომზადებისას.

5. სტრუქტურული რეფორმები 2025-2027

5.1 საქართველოში სტრუქტურული რეფორმების არსებული ჩარჩო

საქართველოსთვის 2024-2026 წლების ეკონომიკური რეფორმების პროგრამის მომზადების პროცესში, სტრუქტურული რეფორმების ნაწილის წარდგენა, როგორც ამ პროცესში პირველად მონაწილე კანდიდატი ქვეყნისათვის სავალდებულო არ იყო.

თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის სისტემა საკმარისად მჭიდროდ აკავშირებს მთავრობის სტრატეგიულ, სექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებსა და ბიუჯეტის საშუალოდ გეგმებს, მათ შორის ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის (BDD), მეშვეობით, რომელიც მუდმივად განახლებადი დოკუმენტია, 4 წლიანი პერიოდისათვის და წარმოადგენს წლიური ბიუჯეტის დაგეგმვის საფუძველს.

ქვეყნის პირველი „ეკონომიკური რეფორმების პროგრამა 2024-2026“ წლებისათვის, სტრუქტურული რეფორმები ნაწილში დაეყრდნო მთავრობის სტრატეგიულ დოკუმენტს „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგია“, რომელიც დამტკიცებული იქნა 2022 წლის 3 ნოემბერს და მისგან გამომდინარე წლიურ სამოქმედო გეგმებს, ასევე ქვეყნის საშუალოვადიანი დაგეგმვის დოკუმენტს (2024-2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტი) და 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული ბიუჯეტის დანართს.

გასათვალისწინებელია, რომ სტრატეგიის თანახმად „განვითარების გრძელვადიანი ხედვა საქართველოს ხელისუფლებას უმთავრეს პოლიტიკურ მიზნებად უსახავს ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და სოციალური თანასწორობის უზრუნველყოფას, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერებას, დემოკრატიის, მართლმსაჯულებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას“, სრულ შესაბამისობაშია იმ თემატიკასთან, რასაც ევროკავშირის მეთოდოლოგიის თანახმად უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიკური რეფორმების პროგრამის, სტრუქტურული რეფორმების ნაწილი: კონკურენტუნარიანობა, მდგრადობა და მედეგობა და ადამიანური კაპიტალი და სოციალური პოლიტიკა.

მთავრობის სტრატეგია - ხედვა 2030 მოიცავს 4 მიმართულებით, 35 მიზანს (28 მიზანი მე-2 - მე-4 მიმართულებებით) და 90 ამოცანას:

1. საგარეო პოლიტიკა და რუსეთ-საქართველო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება და საზოგადოებრივი უსაფრთხოება;
2. ეკონომიკური განვითარება;
3. სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალი განვითარება
4. სახელმწიფო მმართველობა

ეკონომიკური რეფორმების პროგრამის მომზადების მიზნებისათვის ყურადღება გამახვილდა მე-2 - მე-4 მიმართულებებზე და შემუშავდა სპეციალური დამატებითი დანართი, რომელიც აჩვენებს „ხედვა 2030“-ის და ეკონომიკური რეფორმების პროგრამის მეთოდოლოგიით განსაზღვრული თემატიკის თანხვედრას (იხილეთ დანართი #..).

იხილეთ „ხედვა 2030“ - https://www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf

იხილეთ „ეკონომიკური რეფორმების პროგრამა 2024-2026, მე-5 თავი
https://www.mof.ge/images/File/2024/Biujeti_mimartulebebi/01.03.2024/Economic_Reform_Program_2024-2026_Georgia.pdf

5.2 შერჩეული სტრუქტურული რეფორმები

ა) რეფორმის აღწერა

5.2.1. კონკურენტუნარიანობა

5.2.1.1 რეფორმა #1: საშინაო კაპიტალის ბაზრის განვითარება

ERP გზამკვლევის მიმართულება - iii. ეკონომიკური ინტეგრაციის რეფორმები; ხედვა 2030 - მიზანი 2.1: მაკროეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა და ეკონომიკის სტრუქტურული გაუმჯობესების ხელშეწყობა GOAL 2.5: კაპიტალის ბაზრის განვითარება; SDG - 8, 10



1. რეფორმის აღწერა

კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულები, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. ეს მოიცავს საკანონმდებლო ბაზის ცვლილებებს, ინსტიტუციური ინვესტორების დამატებას, სავალდებულო დასაქმებულთა საპენსიო სქემის შემოღებით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებით, ბაზრის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელებით, ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერებით. პროგრესის მიუხედავად, საქართველოს კაპიტალის ბაზარი საჭიროებს განვითარებისათვის შემდეგ ნაბიჯებს. ეკონომიკის მცირე ზომიდან გამომდინარე არსებული გამოწვევების მიუხედავად, ეკონომიკის მდგრადი ზრდის პირობებში შესაძლებელია ხელშესახები პროგრესის მიღწევა და რესურსების მეტი ეფექტიანი გამოყენება.

რეფორმა ორ ძირითად მიმართლებას გულისხმობს, მიწოდების ინსტრუმენტების გამრავლფეროვნება და გაზრდა, მათ შორის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეშვეობით და მოთხოვნის გაზრდა ინსტიტუციური ინვესტორების და სამიზნე (benchmark) ინდიკატორების გაზრდით

ა. 2025-2027 დაგეგმილი აქტივობები

5.2.1.1.1. ბაზარზე ფასიანი ქაღალდების სახეების, რაოდენობის და ხელმისაწვდომობის გაზრდა (5.1)

წამყვანი უწყებები: ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

5.2.1.1.2. ადგილობრივი კაპიტალის ბაზარზე ინვესტორების ბაზის გაზრდა (მოთხოვნის გაზრდა) (5.2)

წამყვანი უწყებები: ფინანსთა სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების

სამინისტრო

2. შედეგების ინდიკატორები

ინდიკატორი	ბაზა (2021)	შუალედური მიზანი (2027)	მიზანი (2030)
შიდა ვალის წილი მთლიან პორტფელში	19.5%	36.4%	40.4%
არარეზიდენტი ინვესტორების წილი მთავრობის ფასიან ქაღალდებში	9.6%	25%	30%
საშინაო ვალი მშპ-თან	9.7%	15%	17.5%
კორპორაციული ობლიგაციების წილი მშპ-თან (საფინანსო ინსტიტუტების გარეშე)	4.36%	8%	11%
ფასიანი ქაღალდების ბაზრის კაპიტალიზაცია მშპ-თან	3.9%	6%	8.5%
პორტფელური ინვესტორების წილი მშპ-თან	15.8%	17%	19%

(ათასი ლარი)

ღირებულება	2025	2026	2027	პროგრამული კოდი ბიუჯეტში
საშინაო ფასიანი ქაღალდების განვითარება	2 585.0	2 685.0	2 980.0	ფინანსთა სამინისტრო პროგრამული კოდი 23 01

5.2.1.2. რეფორმა #2: გაუმჯობესებული სასურსათო უსაფრთხოება და ირიგაციის და დრენაჟის სისტემა

(ERP გზამკვლევის მიმართულება - iv. სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და მომსახურება ხედვა 2030 მიზანი 2.13: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო და სასურსათო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება; SDG – 1, 2, 3, 5, 8, 9, 13)



1. რეფორმის აღწერა

სოფლის მეურნეობის მიმართულებით, საქართველო მიზნად ისახავს საქართველოში წარმოებული აგრო-პროდუქტების კონკუნტუნარიანობის გაზრდას და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის შემდგომ განვითარებას. მნიშვნელოვანია რომ არსებული ტენდენციების და საერთაშორისო ბაზრების გამოწვევების გათვალისწინებით გაძლიერდეს კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე მიმართული პროგრამები.

სოფლის მეურნეობის სისტემის რეფორმის ფარგლებში გაგრძელდება მუშაობა მიწის მართვის სისტემის სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნაზე, გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია მიწის ბალანსის წლიური ანგარიშების მოსამზადებლად. სისტემის გამართვის შედეგად შესაძლებელი იქნება სასოფლო სამეურნეო მიწის რესურსების აღრიცხვა ბუნებრივი, ეკონომიკური, სამართლებრივი, ეკოლოგიური მონაცემების მიხედვით.

გაგრძელდება მუშაობა ირიგაციის სისტემების რეაბილიტაციისა და წლის რესურსების მართვის რეფორმაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სოფლის მეურნეობის სისტემაში გამართული ირიგაციის ხელმისაწვდომობა და ამავე დროს აღნიშნული სისტემის მართვის ჯანსაღი სტანდარტების დანერგვა.

a. 2025-2027 წლების დაგეგმილი აქტივობები

5.2.1.2.1. ირიგაციის სისტემის რეაბილიტაცია

წამყვანი უწყებები: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახელმწიფო საწარმო “საქართველოს მეღიორაციის კომპანია”

5.2.1.2.2. სასოფლო სამეურნეო მიწის მდგრადი მართვა

წამყვანი განმახორციელებელი უწყება: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო

2. შედეგების ინდიკატორები

ინდიკატორი	საბაზო (2021)	შუალედური შედეგი (2027)	მიზანი (2030)
ამელირებული ფართობი	198 727 ჰა	291 527 ჰა	300 727 ჰა

ეკონომიკური რეფორმების პროგრამა ERP 2025-2027

მიწის მართვის მონიტორინგის სისტემით დაფარული მიწის ფართობი.	0	70%	100%
--	---	-----	------

(ათასი ლარი)

ხარჯი	2025	2026	2027	პროგრამული კოდი ბიუჯეტში
რეაბილიტირებული საირიგაციო სისტემები ²²	129 100	222 220	244 620	გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროგრამული კოდი 31 06
მათ შორის დონორები დაფინანსებული	30 750	68 500	73 000	
მიწის მართვის მონიტორინგის პროგრამა	6 200	7 560	5 100	გარემოსდაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო პროგრამული კოდი 31 15
მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის მართვის პროექტი (WB)	5 000	5 400	6 000	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო პროგრამული კოდი 26 09

²² https://www.mof.ge/images/File/2024_Biujeti/26-12-2023/danartebi/19.kapitaluri%20me3%20wardgena.doc

5.2.2. მდგრადობა და მედეგობა

5.2.2.1. რეფორმა #3: განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა

ERP გზამკვლევის მიმართულება - i. მწვანე გარდაქმნა; iii. ენერგეტიკის ბაზრის რეფორმა; ხედვა 2030 - მიზანი 2.7: ენერგეტიკის სექტორის მდგრადობის უზრუნველყოფა SDG – 7, 13



1. რეფორმის აღწერა

ენერგო რესურსების მოხმარების დინამიკის დაბალანსებისა და ენერგო უსაფრთხოების პარამეტრების გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება მუშაობა ადგილობრივი რესურსების მეტი რაციონალური გამოყენების, კონკურენტული ბაზრის და საინვესტიაციო გარემოს შექმნის, ენერგოეფექტურობის გაძლიერებისა და ენერგო რესურსების მიწოდების მდგრადი სისტემის უზრუნველყოფის მიმართულებით.

შემდგომი საშუალოვადიანი პერიოდისათვის განსაკუთრებით პრიორიტეტული მიმართულებაა განახლებადი ელექტრო ენერგიის რესურსების შემდგომი განვითარება და ელექტრო ენერგიის დაკავშირებადობის გაზრდა, მათ შორის შავი ზღვის წყალქვეშა კაბელით.

a. 2025-2027 წლების დაგეგმილი აქტივობები

5.2.2.1.1. განახლებად ენერგიის წყაროების განვითარება Develop renewable energy sources (7.2);

წამყვანი უწყებები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

5.2.2.1.2. ენერგო რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და მიწოდების მდგრადობის უზრუნველყოფა (7.4);

წამყვანი უწყებები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

5.2.2.1.3. ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა (7.3)

წამყვანი უწყებები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2. შედეგების ინდიკატორები

ინდიკატორი	საბაზო (2021)	შუალედური შედეგი (2027)	მიზანი (2030)
------------	---------------	-------------------------	---------------

ეკონომიკური რეფორმების პროგრამა ERP 2025-2027

განალეზადი ენერგიის დადგმული სიმძლავრე	- ქარი: 21 MW; - ჰიდრო: 3 370 MW; - მზე: 0 MW	ქარი: 617 MW; ჰიდრო: 4 282 MW; მზე: 232 MW	ქარი: 976 MW ჰიდრო: 4 852 MW მზე : 232 MW
მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები	4 367 კმ	5 690 კმ	5 840 კმ
ენერგოეფექტურობის ახალი სტრატეგიით აშენებული ახალი შენობები	0	2 355	3 055

(ათასი ლარი)

ხარჯი	2025	2026	2027	პროგრამული კოდი ბიუჯეტში
სისტემური გადამცემი ხაზების ქსელის განვითარება	149 000	160 000	180 000	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24 14
მ.შ. დონორის დაფინანსებული	133 200	145 600	152 000	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24 14
მ.შ. შავის ზღვის წყალქვეშა კაბელის გეოტექნიკური კვლევები (WB)	25 000	55 000	5 000	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24 14

ხარჯი	2025	2026	2027	პროგრამული კოდი ბიუჯეტში
ენერგეტიკის სექტორის ტექნიკური დახმარება (GESRP) (EU-NIF)	2 534	1 400	500	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24 13

5.2.2.2. რეფორმა #4: გაძლიერებული დაკავშირებადობა

ERP გზამკვლევის მიმართულება - ii. ციფრული გარდაქმნა; iv. სატრანსპორტო საბაზრო რეფორმა; ხედვა 2030 - მიზანი 2.8: საქართველოში სატრანსპორტო და ლოგისტიკური სექტორების კონკურენტუნარიანობის გაზრდა და მდგრადი და ეფექტური სატრანსპორტო კავშირების უზრუნველყოფა, მიზანი 2.9: ციფრული ეკონომიკის და ინფორმაციული საზოგადოების განვითარება; GOAL 2.11: საბაზო ინფრასტრუქტურის განვითარება; SDG – 9, 11



1. რეფორმის აღწერა

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია საქართველოს სატრანსპორტო და ლოგისტიკური სექტორების კონკურენტუნარიანობის შემდგომი გაძლიერება და დაკავშირებადობის გაუმჯობესობა არსებული პოტენციალის უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით. აღნიშნული მიმართულება გულისხმობს დამატებული ღირებულების გენერირების ზრდას ტრანსპორტის და სასაწყობო მეურნეობებიდან. ამ მიმართულებით სამუშაოები გაგრძელდება საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტის საერთაშორისო სტანდარტებთან შემდგომ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და დაკავშირებადობის შემდგომი ზრდის მიზნით.

ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია ჩქაროსნული რკინიგზის განვითარება, ახალი სარკინიგზო მიმართულებები, საერთაშორისო აეროპორტები და გაზრდილი ამწეობის საზღვაო პორტები/ტერმინალები, მათ შორის ანაკლის ღრმაწყლოვანი პორტი.

ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ხელი შეეწყობა ლოგისტიკის ცენტრების შექმნას, რაც ასევე მნიშვნელოვანია მულტიმოდალური

ლოგისტიკური ქსელის განვითარებისათვის სახმრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში. მნიშვნელოვანია ამ მიმართულების განვითარება რეგიონში და ქვეყანაში არსებული საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად.

a. 2025-2027 წლების დაგეგმილი აქტივობები

5.2.2.2.1. საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტის შემდგომი განვითარება და საერთაშორისო დაკავშირებადობის გაზრდა (8.2)

წამყვანი უწყებები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

5.2.2.2.2. საერთაშორისო და მეორადი საგაზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (11.1)

წამყვანი უწყებები: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და გზების დეპარტამენტი

5.2.2.2.3. მაღალი სიჩქარის ინტერნეტ ინფრასტრუქტურის განვითარება

წამყვანი უწყებები: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

2. შედეგების ინდიკატორები

ინდიკატორი	საბაზო (2021)	შუალედური შედეგი (2027)	მიზანი (2030)
TEN-T ქსელის ინტეგრაცია	55%	≥85%	100%
საერთაშორისო ტვირთების ტრანსპორტირება (სარკინიგზო და სახმელეთო) (მლნ ტონა)	23.2	≥27	≥34
პორტში გემების მომსახურების დრო	48 hours	60 minutes	60 minutes
ბოჭკოვანი კაბელით დაფარული რთულად მისაწვდომი სოფლის ტიპის დასახლებები	124	174	400
შავი ზღვის წყალქვეშა კაბელი	1	1	2
აშენებული/რეაბილიტირებული ჩქაროსნული გზების სიგრძე	219	542	760

(ათასი ლარი)

ხარჯი	2025	2026	2027	პროგრამული კოდი ბიუჯეტში
ანაკლის ღრმეწყლოვანი პორტი	150 000	180 000	125 000	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24 17 02
საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება	10 460.0	11 258	12 385	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24 28
სახმელეთო ტრანსპორტის რეგულირება	26 107	26 200	26 300	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24 29
სარკინიგზო ტრანსპორტის რეგულირება	2 200	2 200	2 200	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24 21
ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (მათ შორის Log-in Georgia)	106 950	90 000	90 000	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო 24 08
საგაზო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	1 592 600	1 649 500	1 671 900	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო 25 02
მათ შორის აღმოსავლეთ- დასავლეთის და ჩრდილოეთ სამხრეთის	905 000	610 000	480 000	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

ხარჯი	2025	2026	2027	პროგრამული კოდი ბიუჯეტში
ჩქაროსნული მაგისტრალი				სამინისტრო 25 02 03

5.2.3. სოციალური პოლიტიკა და ადამიანური რესურსები

5.2.3.1. რეფორმა #5: მოსახლეობის გაუმჯობესებული ჯანმრთელობის დაცვა

ERP გზამკვლევის მიმართულება - iv. ჯანმრთელობის დაცვა; ხედვა 2030 - მიზანი 3.1: მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებული მდგომარეობა; SDG – 3, 5;



1. რეფორმის აღწერა

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, საყოველთაო ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესებითა და ფინანსური ტვირთის თანასწორი განაწილების გზით.

2030 წლისათვის ჯანმრთელობის საყოველთაო მოცვა გაეროს მდგრადი განვითარების პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს, რისთვისაც მნიშვნელოვანია სისტემაში შესაბამისი ინვესტიციების განხორციელება და დაფინანსებს გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევა, რაც სიღარიბისგან დაცვის აუცილებელი წინაპირობაა.

მთავრობა აგრძელებს მუშაობას მექანიზმებზე, რომელიც შესაძლებელს გახდის ფარმაცევტულ პროდუქტებზე უკეთეს წვდომას და სამედიცინო სერვისების მიღებისთვის ფინანსურ ბარიერებს შეამცირებს (მაგ. რეფერენსული ფასები), ასევე გაამრტივებს კომპლექსურ თანაგადახდის სისტემას.

a. 2025-2027 წლების დაგეგმილი აქტივობები

5.2.3.1.1. რესურსების ეფექტურად გამოყენება და ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (1.1);

წამყვანი უწყებები: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

5.2.3.1.2. მაღალი ხარისხის, ეფექტური და უსაფრთხო სამედიცინო პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება (1.2)

წამყვანი უწყებები: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

2. შედეგების ინდიკატორები

ინდიკატორი	საბაზო (2021)	შუალედური შედეგი (2027)	მიზანი (2030)
მოსახლეობის წილის ჯიბიდან გადახდის კატასტროფული ხარჯებით	17.4%	12%	10%
საყოველთაო ჯანდაცვით მოცვის ინდექსი	68%	85%	95%
წამლების წილი ჯიბიდან დანახარჯებში	48%	30%	25%

(ათასი ლარი)

ხარჯი	2025	2026	2027	პროგრამული კოდი ბიუჯეტში
ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები:				საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 27 03
მათ შორის	1 220 000	1 281 000	1 345 000	27 03 01

ხარჯი	2025	2026	2027	პროგრამული კოდი ბიუჯეტში
საყოველთაო ჯანდაცვა				
მათ შორის ორგანოთა ტრანსპლანტაცია	8 500	8 500	8 500	
მათ შორის სპინალურ- კუნთოვანი ატროფია	13 000	13 000	13 000	
მათ შორის გლუკოზის მუდმივი მონიტორინგი	6 000	6 000	6 000	
მათ შორის 18 წლამდე ასაკის ონკოლოგიური დიაგნოზის მქონდე პაციენტთა მკურნალობა	26 100	26 100	26 100	

5.2.3.2. რეფორმა #6: განათლება

ERP გზამკვლევის მიმართულება - i. განათლება და უნარები; ხედვა 2030 - მიზანი 3.6: ადამიანზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის განათლების სისტემის განვითარების ხელშეწყობა განათლების მიმართულებით თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის მიზნით SDG – 4, 8, 9;



1. რეფორმის აღწერა

საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის, მათ შორის სხვადასხვა სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის მაღალი ხარისხის განათლებაზე ხელმისაწვდომობა მთავრობის პრიორიტეტია.

განათლების რეფორმის ფარგლებში გაგრძელდება მუშაობა მასწავლებელთა გადამზადებისა და კარიერაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განათლების მიმართულებით. განვითარდება შეფასების სისტემა, კარიერის დაგეგმვისა და წახალისების მექანიზმები.

გაგრძელდება მუშაობა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემებზე.

პროფესიული განათლების მიმართულებით გაძლიერდება მუშაობა კერძო სექტორის ჩართულობისა და პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უკეთესი შესაბამისობის მიმართულებით.

a. 2025-2027 წლების დაგეგმილი აქტივობები

5.2.3.2.1. ადრეული, სკოლამდელი და განათლების ინსტიტუტების მიერ ხარისხიანი, განვითარებაზე ორიენტირებული ზრუნვისა და განათლების პროცესის უზრუნველყოფა (6.1)

წამყვანი უწყებები: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;

პარტნიორი უწყებები: მუნიციპალიტეტები

5.2.3.2.2. ზოგადი განათლების თითოეული სტუდენტისათვის ეფექტური, შესაბამისი და სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებში აკადემიური, პიროვნული, სოციალური და სწავლის კომპეტენციების განვითარებას (6.2).

წამყვანი უწყებები: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;

არსებული გამოწვევების და მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების მიწოდება (6.3)

წამყვანი უწყებები: საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო;

პარტნიორი უწყებები: უნარების განვითარების სააგენტო, კერძო სექტორი

2. შედეგების ინდიკატორები

ინდიკატორი	საბაზო (2021)	შუალედური შედეგი (2027)	მიზანი (2030)
ავტორიზებული სკოლამდელი და ზოგადი განათლების დაწესებულებების წილი	0	40%	100%
პროფესიული განათლებიდან გარიცხვის წილი	33%	30%	23%
პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი	49%	62%	70%

(ათასი ლარი)

ხარჯი	2025	2026	2027	პროგრამული კოდი ბიუჯეტში
სკოლამდელი და ზოგადი განათლების პოლიტიკა და მართვა	1 903 915	2 200 215	2 088 175	32 02
განათლების ინფრასტრუქტურა	904 115	950 000	960 000	32 07 25 07
სკოლამდელი განათლების დაფინანსება	480 000	530 000	570 000	ადგილობრივი ბიუჯეტები

5.3 რეფორმების შეჯამება

რეფორმა	აღწერა
რეფორმის მიმართულება - კონკურენტუნარიანობა:	
- რეფორმა #1	საშინაო კაპიტალის ბაზრის განვითარება: კაპიტალის ბაზრის განვითარების მიმართულებით, ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. ეს მოიცავს საკანონმდებლო

რეფორმა	აღწერა
	ბაზის ცვლილებას, ინსტიტუციური ინვესტიციების შემოღებას, სავალდებულო დასაქმებულთა საპენსიო სქემის შემოღებით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებით, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებით, ბაზრის ხელშეწყობის პროგრამების განხორციელებით, ბაზრის მარეგულირებელი ჩარჩოს გაძლიერებით. პროგრესის მიუხედავად, საქართველოს კაპიტალის ბაზარი საჭიროებს განვითარებისათვის შემდეგ ნაბიჯებს. ეკონომიკის მცირე ზომიდან გამომდინარე, არსებული გამოწვევების მიუხედავად, ეკონომიკის მდგრადი ზრდის პირობებში შესაძლებელია ხელშესახები პროგრესის მიღწევა და რესურსების მეტი ეფექტიანი გამოყენება. რეფორმა ორ ძირითად მიმართლებას გულისხმობს, მიწოდების ინსტრუმენტების გამრავლფეროვნება და გაზრდა, მათ შორის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მეშვეობით და მოთხოვნის გაზრდა ინსტიტუციური ინვესტიციების და სამიზნე (benchmark) ინდიკატორების გაზრდით
- რეფორმა #2	გაუმჯობესებული სასურსათო უსაფრთხოება და ირიგაციის და დრენაჟის სისტემა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, საქართველო მიზნად ისახავს საქართველოში წარმოებული აგრო-პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდას და თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფას. ამ მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებების მიზნად ისახავს სოფლის მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვის შემდგომ განვითარებას. მნიშვნელოვანია რომ არსებული ტენდენციების და საერთაშორისო ბაზრების გამოწვევების გათვალისწინებით გაძლიერდეს კონკურენტუნარიანობის გაძლიერებაზე მიმართული პროგრამები. სოფლის მეურნეობის სისტემის რეფორმის ფარგლებში გაგრძელდება მუშაობა მიწის მართვის სისტემის სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნაზე, გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია მიწის ბალანსის წლიური ანგარიშების მოსამზადებლად. სისტემის გამართვის შედეგად შესაძლებელი იქნება სასოფლო სამეურნეო მიწის რესურსების აღრიცხვა ბუნებრივი, ეკონომიკური, სამართლებრივი, ეკოლოგიური მონაცემების მიხედვით. გაგრძელდება მუშაობა ირიგაციის სისტემების რეაბილიტაციისა და წლის რესურსების მართვის რეფორმაზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სოფლის მეურნეობის სისტემაში გამართული ირიგაციის

რეფორმა	აღწერა
	ხელმისაწვდომობა და ამავე დროს აღნიშნული სისტემის მართვის ჯანსაღი სტანდარტების დანერგვა.
რეფორმა – მდგრადობა და მედეგობა	
- რეფორმა #3	განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა განახლებადი ენერგია და ენერგოეფექტურობა ენერგო რესურსების მოხმარების დინამიკის დაბალანსებისა და ენერგო უსაფრთხოების პარამეტრების გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება მუშაობა ადგილობრივი რესურსების მეტი რაციონალური გამოყენების, კონკურენტული ბაზრის და საინვესტიაციო გარემოს შექმნის, ენერგოეფექტურობის გაძლიერებისა და ენერგო რესურსების მიწოდების მდგრადი სისტემის უზრუნველყოფის მიმართულებით. შემდგომი საშუალოვადიანი პერიოდისათვის განსაკუთრებით პრიორიტეტული მიმართულებაა განახლებადი ელექტრო ენერგიის რესურსების შემდგომი განვითარება და ელექტრო ენერგიის დაკავშირებადობის გაზრდა, მათ შორის შავი ზღვის წყალქვეშა კაბელით.
- რეფორმა #4	გაძლიერებული დაკავშირებადობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია საქართველოს სატრანსპორტო და ლოგისტიკური სექტორების კონკურენტუნარიანობის შემდგომი გაძლიერება და დაკავშირებადობის გაუმჯობესება არსებული პოტენციალის უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით. აღნიშნული მიმართულება გულისხმობს დამატებული ღირებულების გენერირების ზრდას ტრანსპორტის და სასაწყობო მეურნეობებიდან. ამ მიმართულებით სამუშაოები გაგრძელდება საზღვაო და სახმელეთო ტრანსპორტის საერთაშორისო სტანდარტებთან შემდგომ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით და დაკავშირებადობის შემდგომი ზრდის მიზნით. ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია ჩქაროსნული რკინიგზის განვითარება, ახალი სარკინიგზო მიმართულებები, საერთაშორისო აეროპორტები და გაზრდილი ამწეობის საზღვაო პორტები/ტერმინალები, მათ შორის ანაკლის ღრმაწყლოვანი პორტი. ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ხელი შეეწყობა ლოგისტიკის ცენტრების შექმნას, რაც ასევე მნიშვნელოვანია მულტიმოდალური ლოგისტიკური ქსელის განვითარებისათვის სახმრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში.

რეფორმა	აღწერა
	მნიშვნელოვანია ამ მიმართულების განვითარება რეგიონში და ქვეყანაში არსებული საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად.
რეფორმა - სოციალური პოლიტიკა და ადამიანური რესურსები	
- რეფორმა #5	მოსახლეობის გაუმჯობესებული ჯანმრთელობის დაცვა საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შემდგომ გაუმჯობესებას, საყოველთაო ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის ხარისხის გაუმჯობესებითა და ფინანსური ტვირთის თანასწორი განაწილების გზით. 2030 წლისათვის ჯანმრთელობის საყოველთაო მოცვა გაეროს მდგრადი განვითარების პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს, რისთვისაც მნიშვნელოვანია სისტემაში შესაბამისი ინვესტიციების განხორციელება და დაფინანსების გრძელვადიანი მდგრადობის მიღწევა, რაც სიღარიბისგან დაცვის აუცილებელი წინაპირობაა. საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას მექანიზმებზე, რომელიც შესაძლებელს გახდის ფარმაცევტულ პროდუქტებზე უკეთეს წვდომას და სამედიცინო სერვისების მიღებისთვის ფინანსურ ბარიერებს შეამცირებს (მაგ: რეფერენსული ფასები), ასევე გაამარტივებს კომპლექსურ თანაგადახდის სისტემას.
- რეფორმა #6	განათლება საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის, მათ შორის სხვადასხვა სპეციალური საჭიროებების მქონე პირთათვის მაღალი ხარისხის განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია. განათლების რეფორმის ფარგლებში გაგრძელდება მუშაობა მასწავლებელთა გადამზადებისა და კარიერაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განათლების მიმართულებით. განვითარდება შეფასების სისტემა, კარიერის დაგეგმვისა და წახალისების მექანიზმები. გაგრძელდება მუშაობა ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების დაფინანსების სისტემებზე. პროფესიული განათლების მიმართულებით გაძლიერდება მუშაობა კერძო სექტორის ჩართულობისა და პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან უკეთესი შესაბამისობის მიმართულებით.

6 .დანართები

ხედეა 2030	ERP გზამკვლევი											
	კონკურენტუნარიანობა					მედეგობა და მდგრადობა			ადამიანური კაპიტალი და სოციალური პოლიტიკა			
	ა. ბიზნეს გარემოს და არაფორმალური ეკონომიკის შემცირება	ბ. სახელმწიფო საწარმოების რეფორმა	გ. ეკონომიკური ინტეგრაციის რეფორმები	დ. სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და სერვისები	ე. კვლევა, განვითარება და ინოვაციები	ა. მწვანე გადასვლა/ციფრული გარდაქმნა	ბ. ენერგეტიკის ბაზრის რეფორმა	გ. სატრანსპორტო ბაზრის რეფორმა.	ა. განათლება და უნარები	ბ. დასაქმება და შრომის ბაზარი	გ. სოციალური დაცვა და ინკლუზიურობა	დ. ჯანმრთელობის დაცვა
2. ეკონომიკური განვითარება	2.1 მაკროეკონომიკური განვითარება	2.1 მაკროეკონომიკური	2.11 რეგიონალური განვითარება	2.2 საგარეო ვაჭრობა		2.8 ციფრული ეკონომიკა და ინფორმაციული ტექნოლოგიები	2.6 ენერგეტიკა	2.7 ტრანსპორტი და ლოგისტიკა				
	2.2 საგარეო ვაჭრობა			2.5 მინერალები და სამთო მოპოვება		2.10 ინფრასტრუქტურის განვითარება						
	2.3 სამეწარმეო და საინვესტიციო აქტივობები			2.9 ტურიზმი		2.13 გარემოს დაცვა						
	2.4 კაპიტალის ბაზარი			2.10 ინფრასტრუქტურის განვითარება								
				2.12 სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარება								
3. სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალი	3.10 სახელმწიფო სერვისები		3.5 მიგრაცია და სამუშაო ძალა		3.6 განათლება და მეცნიერება				3.6 განათლება და მეცნიერება	3.დასაქმება	3.2 სოციალური დაცვა	3.1 ჯანმრთელობის დაცვა
			3.11 სამოქალაქო თანასწორობა და ინტეგრაცია						3.7 ახალგაზრდობის პოლიტიკა	3.4 შრომის უფლებები		
									3.8 კულტურა	3.5 მიგრაცია და		

ხედეა 2030	ERP გზამკვლევი											
	კონკურენტუნარიანობა					მედევობა და მდგრადობა			ადამიანური კაპიტალი და სოციალური პოლიტიკა			
	ა. ბიზნეს გარემოს და არაფორმალური ეკონომიკის შემცირება	ბ. სახელმწიფო საწარმოების რეფორმა	გ. ეკონომიკური ინტეგრაციის რეფორმები	დ. სოფლის მეურნეობა, მრეწველობა და სერვისები	ე. კვლევა, განვითარება და ინოვაციები	ა. მწვანე გადასვლა/ციფრული გარდაქმნა	ბ. ენერგეტიკის ბაზრის რეფორმა	გ. სატრანსპორტო ბაზრის რეფორმა.	ა. განათლება და უნარები	ბ. დასაქმება და შრომის ბაზარი	გ. სოციალური დაცვა და ინკლუზიურობა	დ. ჯანმრთელობის დაცვა
										სამუშაო ძალა		
									3.9 სპორტი			
4. საჯარო ადმინისტრირება		4.1 საჯარო ადმინისტრირება										